# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№261 (12636) 6 ნოემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


# ალექსმა რეალს დასცინა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## დელ პიეროს დუბლის წყალობით იუვემ მადრიდში 45-წლიანი შესვენების შემდეგ მოიგო...




ჩემპიონთა ლიგა. ტექნიკური შედეგები »»» 15



## რას უპირებენ შეგრტს?

ახალკაცს ველაპარაკე და ჩემთვის ეს არის გადამწყვეტი

სამწვრთნელო საკითხი »»» 2

## მჭედლიძემ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ... რა ისმის ნაკრებიდან?

»»» 2



## ესპანეთში უნდა ვაჩვენო, რატომ ამირჩიეს დრაფტზე მეხუთე ნომრად

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან »»» 12

ეროვნული ბიბლიოთეკა



საჭირბოროტო საკითხი

# სტუკალოვი გადადგა, რას უპირებენ შეგრტს?

რუსეთის ახალგაზრდულის მთავარი მწვრთნელი **ბორის სტუკალოვი**, რომლის გუნდმა ცოტა ხნის წინ ქართველ თანატოლებს 4:0 მოუგო, თანამდებობიდან გადადგა.

„სტუკალოვის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიეთ. ჩვენ გვყავდა ძალიან კარგი გუნდი, რომელსაც გაცილებით უკეთესი შედეგი უნდა ჰქონოდა. მე არ ვამბობ, რომ ესპანეთისთვის აუცილებლად უნდა მოგვეგო. ჩვენ თვით საქართველოსთანაც კი წავაგეთ. მოკლედ, პლეი ოფში გასვლა მაინც შეიძლებოდა. სტუკალოვმა თავად დაწერა გადადგომის შესახებ განცხადება და რა თქმა უნდა, ამ განცხადებას დავაკმაყოფილებთ“,- ამბობს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვიტალი მუტკო** „სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

მაშ ასე, სტუკალოვი თავად გადადგა, „თვით საქართველოს“ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ შეგრტი** კი თანამდებობაზე რჩება. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ქართულ ინტერნეტფორუმებში ერთი ამბავი ატყდა - ქართველ მწვრთნელებს ვერაფერს უბედავთ, უცხოელებთან კი დიდი გული გაქვთო - ჟურნალისტებს მოგვმართეს. არის ამაში სიმართლის მარცვალი, თუმც ქართველების მიმართ „რიდი“ არ ნიშნავს იმას, რომ შეგრტისადმი ჩვენი პრეტენზიები უსაფუძვლოა.

აშკარაა, რომ ფეხბურთის ფედერაციაში ხორვატის მიმართ განსხვავებული მიდგომებია. პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** მას სულაც ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოიაზრებდა, ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** კი შეგრტს დაუყოვნებლივ გადადგომისკენ მოუწოდებდა.

შეგრტი კი ფეხს არ იცვლის. მან საინტერესო სვლები გააკეთა - თავად გამოვიდა „ლელოსთან“ კონტაქტზე და „ახსნა“, თუ რატომ არ უნდა გადამდგარიყო. თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, არ ისურვა პასუხის გაცემა იმ მწვავე კითხვებზე (რატომ ათამაშებდა პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელებს და რატომ არ აქცევდა ყურადღებას თავიანთ ასაკში აშკარად გამორჩეულ მოთამაშეებს), რომელიც ჩვენი მხრიდან დაისვა. საინტერესოა, რომ რუსეთთან წაგების შემდეგ ის მინსკიდან იმუქრებოდა - ჩამოვალ, ახალკაცს დაველაპარაკები და ყველაფერს ვიტყვიო... ჩამოვიდა, მაგრამ დაელაპარაკა თუ არა ახალკაცს, ვერ გეტყვით. საყურადღებოა ფედერაციის პრეზიდენტის ამასწინანდელი ფრაზა - შეგრტის საკითხი ალმასკომზე გასატანად არ მომწიფებულაო...

გავიხსენოთ, რომ ჯერ ოქტომბრის დასაწყისისთვის იგეგმებოდა ალმასკომის მოწვევა, მერე - ბულგარეთთან მატჩის შემდეგ, მაგრამ... ისე, ბევრს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ფედერაციამ შეგრტის საკითხი მიაჩუმათა და მის მოხსნას აღარ აპირებდა. თუმცა გუშინ შევიტყვეთ, რომ ალმასკომის სხდომის გამართვის თარიღს ფეხბურთის ფედერაცია პარასკევს დაასახელებს. ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად **უჩა უგულავას** დავუკავშირდით:

„დიახ, პარასკევს გადაწყდება, როდის გაიმართება ალმასკომის სხდომა. რაც შეეხება შეგრტის მოხსნა-არმოხსნის საკითხს, ამაზე ალმასკომის წევრები საკუთარ პოზიციას დააფიქსირებენ. მესმის, რომ დაგვიანდა, მაგრამ ჯერ სანაკრებო თამაშები იყო, მერე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები... არადა, ახალგაზრდული ნაკრების თემა ძალზე მნიშვნელოვანია და ამ საკითხზე მშვიდ ვითარებაში უნდა ვიმსჯელოთ,“ - გვითხრა გენერალურმა მდივანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

---



ინტერვიუ პეტარ შეგრტთან

## ახალკაცს ველაპარაკე და ჩემთვის ეს არის გადამწყვეტი

### კუპერს ჩემი დახმარება თუ არ სჭირდება, ესეც უნდა ვიცოდი

**პ**ეტარ შეგრტი ჯერაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცია და უკან დახევას არ აპირებს - კვლავ პოსტზე დარჩენა სურს. ამ კაცზე იმდენი დაიწერა და ითქვა, თითქოს, მისი საკითხი გადალძუებული უნდა იყოს, მაგრამ თავად ასე არ მიაჩნია და იბრძვის. შეგრტი მაშინაც მედგრად იბრძოდა, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების დროებით მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და მერე ამ თანამდებობაზე დარჩენის კანდიდატიც იყო. შეგრტი ამ ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ისევ ყინჩად უჭირავს თავი. ხორვატი შეგრტი ის კაცია, აგვისტოს მოვლენების დროს, უმეტესობა უცხოელების დარად, საქართველო რომ არ დატოვა, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები კი მისი ხელმძღვანელობით შესარჩევის ჯგუფში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ამ ყველაფერზე შეგრტს თავისი არგუმენტები აქვს, თუმც ახლა მთავარი ის უნდა იყოს, დარჩება თუ არა 21-წლამდელების ხელმძღვანელად...

**- ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, რომ თქვენ, როგორც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს, კონტრაქტი დეკემბერში გეწურებათ, როგორც ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს კი გაისად, ნოემბერში. რა პერსპექტივას ხედავთ? მხოლოდ ტექნიკურ დირექტორად დარჩებით, თუ?..**

- სწორი ინფორმაცია ასეთია: როგორც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელსა და როგორც ტექნიკურ დირექტორს, კონტრაქტი კიდევ ერთი წელი მაკავშირებს ფეხბურთის ფედერაციასთან.

**- როგორც უნდა იყოს, კულუარებშიც და ოფიციალურ დონეზეც უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ შეგრტი აღარ უნდა იყოს საქართველოს 21-წლამდელთა დამრიგებელი...**

- ჩემი კონტრაქტის ვადა ჯერ არ ამოწურულა და არც ყოფილა ლაპარაკი ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემს დარჩენა-არდარჩენაზე. მე ვმუშაობდი იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდები რაც შეიძლება ხარისხიანად მოგვემზადებინა და სწრაფად მიგვეწოდებინა ეროვნული ნაკრებისთვის - ასეთი იყო კლაუს ტოპმიოლერის მიმართულება. ამას წინათ ვენაში გახლდით ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა კონფერენციაზე და ყველამ აღიარა - ასე სწრაფად რომ მიეწოდება ამდენი ახალგაზრდა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებს, ამაში დიდი შრომაა ჩადებული, ასეთი შედეგი აქამდე არავის ჰქონიაო. ამ კონფერენციაზე იყვნენ ფაბიო კაპელო, ოლივერ ბირჰოფი, იოახიმ ლიოვი, ბერნდ შტანგე...

**- ...და კაპელომ და ბირჰოფმა იციან, რა ხდება საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში?**

- შტანგემ, ბირჰოფმა და ლიოვმა იციან ზოგადი სურათი, ისინი ხედავენ ყოველივე ამას. თუ გადავხედავთ ევროპის ეროვნულ ნაკრებებს, ამდენი ახალგაზრდა ფეხბურთელი ასე მოკლე დროში, მგონი, არსად მისულა.

**- ფედერაციის რამდენიმე მესვეურმა პრესაშიც გამოხატა საკუთარი აზრი - ისინი თქვენ არ გიჭერენ მხარს...**

- უცნაურია, რადგან ამ ადამიანებს ჩემთან არ ულაპარაკიათ. რუსეთთან თამაშის წინ ვესაუბრე ნოდარ ახალკაცსა და გრიგოლ ცაავას. ავუხსენი - რაკი ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებს დავუთმეთ, რუსეთთან მატჩისთვის სერიოზული პრობლემები გვექნება-მეთქი. იმ სიტუაციაზე, რაც ამ თამაშის წინ შეგვექმნა, ვენაში ვილაპარაკე ჰიცტფელდთან, ფოგთსთან, შტანგესთან... ყველამ მითხრა - ნორმალური არ იყო, ასეთ სიტუაციაში საქართველოში რომ დარჩიო. ერთია სპორტული მხარე, მეორე კი ის, როცა ქვეყანაში შექმნილი საომარი სიტუაციის დროს უცხოელი მწვრთნელი იქ რჩება. შტანგე იმავე სიტუაციაში აღმოჩნდა, როცა ომის დროს ერაყში დარჩა. უცხოელი მწვრთნელი მიდის სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, იღებს გასამრჯელოს და როცა საომარი სიტუაციაა, არჩევანი უნდა გააკეთოს - მე დავრჩი და ჩემი ხასიათი ყველას დავანახე. ბევრმა მითხრა - არასწორი არჩევანი გააკეთეო. რუსეთთან მატჩისთვის მეც ვიყავი დაცლილი ემოციებისგან, მეც ადამიანი ვარ... ომის შემდეგ მოგვიხდა ბელარუსში ჩასვლა და რუსეთთან თამაში. ეროვნული ნაკრებისთვის დათმობილ ფეხბურთელთა გარდა, ტრავმის გამო დაგვაკლდნენ რევაზ ბარაბაძე და ჯაბა კანკავა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ისეთი პერიოდი იყო, ფეხბურთელების დიდი ნაწილი კარგ კონდიციაში არ იყო. რუსეთთან ითამაშეს ივანაშვილმა, თარგამაძემ, ბეგლარიშვილმა, შონიამ... ისინი ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან და ამ ასაკში ვერ უძლებენ დიდ ზეწოლას, თუმც დიდი მომავალი აქვთ.

**- დავანებოთ თავი რუსეთთან მატჩს, ერთი თამაშით ყველაფერი არ განისაზღვრება. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. ახლა ის უფრო აქტუალურია, რა არჩევანს გააკეთებს ფეხბურთის ფედერაცია. მანამდე კი ეს უნდა გკითხოთ: სამწვრთნელო კარიერაში ჯერ არ გაქვთ ისეთი მიღწევები, ევროპის ერთ-ერთი ეროვნული ნაკრები რომ ჩაგებარებინათ, თუმცა საქართველოს უპირველესი გუნდის გაწვრთნა ძლიერ გენადათ...**

- არ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, მანამდე სად მქონდა ნამუშევარი. საქართველოში ორი წელი ვიყავი და ქართველ ფეხბურთელებზე დიდი ინფორმაცია დამიგროვდა. როცა ეროვნული ნაკრები ესტონეთსა და პორტუგალიას ეთამაშებოდა, არავის უნდოდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ხორვატიის ნაკრების თავკაც სლავენ ბილიჩს მანამდე არ გაუწვრთნია დიდი გუნდები, მაგრამ ნაკრებში წარმატებით იმუშავა. ბერტი ფოგტსსაც არ გაუწვრთნია დიდი გუნდები, ვიდრე გერმანიის ეროვნულ ნაკრებში დაინიშნებოდა. ყველა მწვრთნელი საიდანღაც იწყებს თავის გზას... ჩემი ამბიცია იმითიც იყო განპირობებული, რომ ესტონეთისა და პორტუგალიის მატჩების შემდეგ ფეხბურთელები კმაყოფილნი იყვნენ ჩემი მუშაობით. ამაზე აზრი გამოთქვეს კიდეც ხიზანიშვილმა, კობიაშვილმა, იაშვილმა... ფედერაციის მესვეურებსაც ცუდი არაფერი უთქვამთ... როგორც კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ექტორ კუპერი დაინიშნა, ჩემი ამბიცია გვერდით გადავდე და გადავწყვიტე, რაც შემეძლო, არგენტინელს ყველანაირად დავხმარებოდი. ვაგრძელებ მუშაობას ტექნიკურ დირექტორად, დავეხმარე 17-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდში მოსახვედრად და ახლა იმავეს გაკეთებას შევეცდები 19-წლამდელთა ნაკრებშიც. ხოლო თუ რა მოხდება 21-წლამდელთა გუნდში, ამას უნდა დაველოდოთ.

**- ჯერ არ გილაპარაკიათ ფედერაციის მესვეურებთან, თუმც სიტუაციას ვერ გავექცევით - ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად თქვენი დარჩენა ბევრს არ უნდა. იქით ხომ არ გიცდიათ დალაპარაკება ფედერაციის ხელმძღვანელებთან?**

- ნოდარ ახალკაცს ველაპარაკე და ჩემთვის ეს არის გადამწყვეტი. უჩა უგულავასა და გოგი ქავთარაძეს რომ ვხვდები, ხელის ჩამორთმევითა და პირზე კოცნით ვესალმები. ჩემი საქმე მაქვს, ვმუშაობ და თუ ვინმეს რამე სურს, სიამოვნებით დაველაპარაკები.

**- თუ კონფიდენციალური არ არის, იქნებ მოგვითხროთ ახალკაცთან საუბრის ზოგიერთ მომენტზე?**

- ნოდარი არ არის კმაყოფილი შედეგით და, რა თქმა უნდა, მეც უკმაყოფილო ვარ. ჟურნალისტების მხრიდან კრიტიკაც ნორმალურია, მაგრამ მე იმ ხალხმაც გამაკრიტიკა, ვინც ომის დროს საქართველოში არ იყო...

**- ...და რა სიტუაცია გამოიკვეთა ახალკაცთან საუბრის შემდეგ?**

- დეკემბერში ყველა ერთად დავსხდებით და დავილაპარაკებთ. ფედერაციამ მკაფიოდ უნდა იცოდეს, რა სურს კუპერს, რას ელის ახალგაზრდული ნაკრებისგან და მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. კუპერი კარგად მუშაობს და ყველანაირად ვეცდები, მასთან მჭიდროდ ვითანამშრომლო, მაგრამ თუ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ეს არ სჭირდება, ესეც უნდა ვიცოდე.

**- როგორ აჭყობთ, საქართველოში და მის საფეხბურთო სამყაროში პოპულარული ხართ? საზოგადოების სიმპათია თქვენს მხარესაა?**

- აგვისტოს ომის დროს ბევრმა ნაცნობმა დამირეკა და სამსახური შემომთავაზა. მეუბნებოდნენ - ასეთი გუნდით შეუძლებელია წარმატებით თამაში საერთაშორისო დონეზეო... მაგრამ მაინც საქართველოში დავრჩი და რუსეთთან ვითამაშე, არ მინდოდა საქართველოს მიტოვება. ამით მსურდა მადლობის გადახდა საქართველოსთვის. თუ ვინმე უკმაყოფილოა ჩემი მუშაობით, პირდაპირ მითხრას. ყოველთვის პატივს ვცემ იმ გადაწყვეტილებას, რასაც ფეხბურთის ფედერაციაში იღებენ. ისე კი, იდეალისტი უნდა იყო, დარჩე სამუშაოზე, როცა 5-7 თვე ხელფასს ვერ აიღებ, მაგრამ... მაგრამ მაინც მინდა ვიმუშაო ამ ხალხისთვის და ამ ქვეყნისთვის.

**დავით თავართქილაძე**

---

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U 17. ევროპის ჩემპიონატი — ელიტრაუნდის წინ

# ნაკრების თავკაცი ანდერლეხტთან ვირტუოზს ნახავს

მოგეხსენებათ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპიდან ელიტრაუნდში გავიდა. ფინალისწინა ეტაპის მატჩები მარტში გაიმართება, მეტოქეები კი 4 დეკემბრის წილისყრისას გაირკვევა. გაზაფხულამდე დიდია დროა, თუმც 17-წლამდელთა დამრიგებელმა **გელა შეყილაძემ** გუნდის გასაძლიერებლად აქტიურ სელექციას მიჰყო ხელი. თანაშემწე **ლევან ხომერიკთან** ერთად ის მალე ბელგიას გაემგზავრება, სადაც მწვრთნელთა კურსებს (17-20 ნოემბერი) გაივლის. შეყილაძე იქ კურსების დაწყებამდე ჩავა, რადგან სხვა მიზანიც აქვს - როგორც გავიგეთ, ბელგიური „ვესტერლოს" ჭაბუკთა გუნდში 15 წლის **ზურაბ მანდარია** თამაშობს. შეყილაძეს მისი საქმეში ნახვა სურს და საამისოდ, „ანდერლეხტთან" თამაშსაც დაესწრება. აი, რა გვითხრა ბატონმა გელამ:


გელა შეყილაძე

„ზურაბ მანდარია 1993 წელსაა დაბადებული, მაგრამ „ვესტერლოს" 17-წლამდელთა გუნდში უფროსების გვერდით ათამაშებენ. მანდარიას მშობლები ათიოდე წლის წინ წასულან საქართველოდან. მას მერე ზურა ბელგიაში იზრდება. „ვესტერლომდე" ის ლიეჟის „სტანდარდის" ჭაბუკთა გუნდში იყო... „ვესტერლოში" ჭაბუკთა დამრიგებელს მასზე ვესაუბრე და საკმაოდ კარგად დამიხასიათა. მითხრა - პატარა ვირტუოზი და უნივერსალია, დაცვაშიც კარგად თამაშობს და ნახევარდაცვაშიცო. მისი ნახვა მინდა და ამიტომაც ადრე ჩავდივარ ბელგიაში. „ანდერლეხტისა" და „ვესტერლოს" მატჩს უნდა დავესწრო".

შეყილაძემ „ლელოსთან" სელექციაზეც ისაუბრა. ის კიდევ რამდენიმე პოზიციაზე მოსინჯავს ახალ ფეხბურთელებს. შეყილაძის თქმით, ბელგიიდან დაბრუნების შემდეგ, მისი გუნდი ადგილობრივ კლუბებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. უცხოურ გუნდებთან სპარინგები კი 4 დეკემბრის წილისყრის შემდეგ დაიგეგმება. ამ საკითხზე რამდენიმე ქვეყნის ფედერაციასთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

„თხუთმეტამდე ქვეყნის ფედერაციასთან გვაქვს მოლაპარაკება, მათ შორის, პორტუგალიასთან, ესპანეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან... პლუს, ლუქსემბურგთან, რომელიც ასევე ელიტრაუნდშია გასული. ამხანაგურ მატჩებს იანვარ-თებერვალში გავმართავთ" - გვამცნო ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

დავით ცაბაძე

ლეგიონერი — ლევან მჭედლიძე


ლევან მჭედლიძე

# იმდენი ვირბინე, კინაღამ გული გამისკდა

## მჭედლიძემ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ... რა ისმის ნაკრებიდან?

გუშინდელ „ლელოში" გაუწყეთ, რომ „პალერმოს" ექიმები **ლევან მჭედლიძეს** ვარჯიშის უფლებას ჯერ არ აძლევდნენ, მაგრამ ყველაფერი სასიკეთოდ შეტრიალდა - ექიმებმა მას ხელმეორედ ჩაუტარეს გამოკვლევა და წვრთნის ნებაც დართეს. ლევანმა გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

„ამხელა პაუზის შემდეგ პირველივე ვარჯიშზე მდენი ვი ბინე, კინაღამ გული გამი და. ძალიან მონდომებული ვიყავი, ძალიან მომენატრა თამაში" - გვითხრა მჭედლიძემ, როცა მას იტალიაში შევეხმიანეთ.

ცხადია, ლევანი ჯერ ვერ იქნება ოპტიმალურ ფორმაში და თამაშსაც, ალბათ, მოგვიანებით განაახლებს. 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რუმინეთთან სტუმრად ამხანაგური მატჩი აქვს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მჭედლიძე გუნდს ვერ დაეხმარება.

„მზად ვარ ყველაფრისთვის, მით უმეტეს, ეროვნული ნაკრებისთვის. ჩემთვის უმთავრესი სწორედ ისაა, რომ საკუთარ ქვეყანას გამოვადგე. რუმინეთთან მატჩისთვის კი მიწვევა არ მომსვლია" - ესეც მჭედლიძის სიტყვებია.

რა თქმა უნდა, თუ მჭედლიძე რუმინეთთან არ იქნება, ამით არაფერი დაშავდება - არც 18 წლის ფორვარდისთვის და არც ჩვენი ნაკრებისთვის. მთავარია, ლევანმა ფორმა მალე აღიდგინოს, როგორმე „პალერმოს" ძირითადში დამკვიდრდეს და მერე გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება, სანაკრებო ბატალიებისთვის სრულ მზადყოფნაში რომ იყოს.

დავით თავართქილაძე

U 19. ევროპის ჩემპიონატი — საკვალიფიკაციო ეტაპის წინ

# იტალიაში, ტოსკანასა და ემპოლისთან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ რაუნდს 22 ნოემბერს დაიწყებს. **ზაურ სვანაძის** გუნდმა მზადების დასკვნითი ეტაპი დაიწყო. მისი პირველი ნაწილი თბილისში ჩატარდება, მეორე კი იტალიაში. აპენინებზე წამსვლელთა საბოლოო შემადგენლობა ხუთიოდ დღეში გაირკვევა.

ჩვენი 19-წლამდელები იტალიაში 12 ნოემბერს გაემგზავრებიან. სვანაძის გუნდი პიზის მახლობლად, პატარა საკურორტო ქალაქ მონტე კანტინიში დაბინავდება. იქვე, ქართველები ორ ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებენ - 13 ნოემბერს კოვერჩანოს სახელგანთქმულ ტექნიკურ ცენტრში ტოსკანის ჭაბუკთა რეგიონულ ნაკრებს გაეჯიბრებიან, მეორე სპარინგს კი „ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდთან, ამავე კლუბის ბაზაზე გამართავენ.

მზადების პარალელურად, სვანაძე მეტოქეებზე ინფორმაციას აგროვებს. 19 ნოემბერს ჩვენი გუნდი იტალიიდან კვიპროსზე ჩაფრინდება და მზადებას იქ გააგრძელებს, 22 ნოემბერს კი ჯგუფურ რაუნდს დანიასთან მატჩით გახსნის.


ზაურ სვანაძე

დავით ცაბაძე

ლეგიონერი — გოგიტა გოგუა

# კონფლიქტი, ტრავმა თუ ტრანსფერი?


გოგიტა გოგუა

„ტომთან" მატჩში ნალჩიკის „სპარტაკის" ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** არ უთამაშია. ჟურნალისტები რატომღაც მწვრთნელსა და ქართველს შორის კონფლიქტზე დაეჭვდნენ და ნალჩიკელთა დამრიგებელ **იური კრასნოჟანს** სპეციალური კომენტარიც გააკეთებინეს. უკვე გამცნეთ, რომ კრასნოჟანმა გოგუასთან ურთიერთობაში პრობლემები გამორიცხა...

როგორც იტყვიან - ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. რუსული წყაროების ცნობით, გოგუა ნალჩიკის „სპარტაკის" დუბლებში გადაიყვანეს. პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ქართველმა ნახევარმცველმა მუხლის ტრავმა მიიღო და დარჩენილ სამ შეხვედრაში ველარ ითამაშებს. სპორტულ ინტერნეტფორუმებში კი გოგუას ტრანსფერზეც ალაპარაკდნენ.

მოკლედ, გოგუას ირგვლივ სიმშვიდე რომ არ არის, ფაქტია. ინფორმაციის ზღვაში სიმართლის გარკვევა ძნელია. სამწუხაროდ, გოგიტასთან დაკავშირებაც ვერაფრით მოვახერხეთ. როგორც იტყვიან, აღდგომა და ხვალეო. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

დავით ცაბაძე

ექო

# ვიზიტი შედგა, პრობლემები დარჩა

## პატარქალიშვილი მთავრობას დახმარებას სთხოვს და ახალ პროექტს სთავაზობს: არგენტინაში ქართული გუნდი იასპარეზებს

საქართველოში დიეგო მარადონას ისტორიულმა ვიზიტმა ათასობით გულშემატკივარი გაახარა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლეგენდარული ფეხბურთელისა და მისი მეგობრების სტუმრობა სათანადო დონეზე ვერ იყო ორგანიზებული და პრობლემები დღემდე მოუგვარებულია, გასასტუმრებელი დარჩა გარკვეული ხარჯები.

„მადლიერი ვარ ძმები არველაძეების, ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის. მათ დიდი თანადგომა გამიწიეს. სამწუხაროდ, არგენტინელთა სტუმრობამ სერიოზული ვალები დაგვიტოვა" - გვითხრა პროექტის ავტორმა და შემსრულებელმა **ნიკო პატარქალიშვილმა**.

ვალების დაფარვა მან ქვეყნის პრეზიდენტსა და სპორტის მინისტრს წერილობითი ფორმით სთხოვა. წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ არგენტინაში მალე ქართული გუნდი იასპარეზებს, სახელწოდებით - „ხეარგი" (ხეორხია არგენტინას ნიშნავს შემოკლებით - ავტ). აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკომ:

„საქართველოსა და არგენტინის მეგობრობის კიდევ ერთი დასტური „ხეარგის" ჩამოყალიბებაა. ამჟამად, ამ გუნდის რეგისტრაციაზე კლუბის პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი ედუარდო დელგადო მუშაობს. დელგადო მალე ჩამოვა საქართველოში, რათა ამ ახალი გუნდისთვის სხვა ფეხბურთელებიც შეარჩიოს. „ხეარგი" ჩემი და დელგადოს ძალისხმევის ნაყოფია. ამ გუნდში ის 10 ჭაბუკი ფეხბურთელი ირიცხება, რომლებიც დღემდე სტაჟირებას გადიან არგენტინაში. მათ უკვე საგრძნობლად აიმაღლეს კლასი. ისინი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს გამოადგებიან. გაისად, ივნისში, თბილისში შოუბოლი იგეგმება".

**უჩა უგულავა**, სფფ-ის გენერალური მდივანი: „ფინანსური შემწეობა ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან ერთგვარი კეთილი ნება იყო. რაც შეეხება გაისად შოუბოლის საკითხს, ეს არგენტინელებმა თავად შემოგვთავაზეს. ამ თამაშში მიიღებს თუ არა მონაწილეობას დიეგო მარადონა, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. საკითხი მთლიანად შესათანხმებელია არგენტინულ მხარესთან. მანამდე ჯერ დიდი დროა, წინ მთელი 8 თვეა და ვნახოთ".

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ფედერაცია

# ფიფამ გრანტი დაგვიმტკიცა

## რაში დახარჯავს ფედერაცია თანხას...



პროექტ „გოლი 1"-ის გრანტით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მცხეთის ტექნიკური ცენტრი ააშენა. მერე იყო „გოლი 2", რისი წყალობითაც საგურამოში ხელოვნურსაფრიანი მოედანი დაიგო. ფიფას პრეზიდენტ **იოზეფ ბლატერის** იდეა იყო, რომ ყველა ფედერაციას საკუთარი სახლი და ტექნიკური ცენტრი ჰქონოდა. შენობა და ბაზა აშენდა, რას მოხმარდება „გოლი 3"-ით გათვალისწინებული თანხები? ამის თაობაზე საქართველოში ვიზიტის დროს ბლატერისგან რამდენიმე მოსაზრება მოვისმინეთ. ფიფას ევროპული პროექტების კოორდინატორმა **ევა პასკიემ** კი გვირჩია - აჯობებს, მწვრთნელთა სკოლა გახსნათო.

*„ნაკრების ტექნიკურ ცენტრში ახალგაზრდა მოთამაშეთა აკადემიის, მწვრთნელთა სკოლის ან დაოსტატების კერების გახსნა და დაფინანსება სჯობია. თუმცა თანხა მთლიანად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეხედულებით დაიხარჯება"* - ბრძანა ქალბატონმა პასკიემ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული იმაზე, თუ რაში უნდა დაგვეხარჯა ფიფას გრანტი. დღეს კი ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** აცხადებს, რომ თანხა ნაკრების ახალი და ძველი ბაზების მოსაწესრიგებლად უნდა დაიხარჯოს.

პასკიეს რჩევა უდავოდ გონივრული იყო, მაგრამ... ეტყობა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პრიორიტეტულად სხვა მიმართულება მიაჩნია. უგულავამ ისიც გვითხრა, რომ ფიფას შესაბამის კომიტეტში ამ საკითხზე იმსჯელეს და საქართველოს გრანტი გამოუყვეს. პროექტი დამტკიცებულია და მისი განხორციელება 2009 წლიდან დაიწყება.

*„გრანტი უკვე გამოყოფილია და ისიც გადაწყვეტილია, რომ მას ძველი და ახალი ბაზების მოსაწესრიგებლად გამოვიყენებთ - ნაწილს საგურამოში დავხარჯავთ, ნაწილს მცხეთის ტექნიკურ ცენტრში. სხვათა შორის, მცხეთაში ბალახი უკვე დავთესეთ. „ბასაზე" მოედნის მშენებლობას გრუნტის წყლები აბრკოლებდა. ამ პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნეთ და მოედანი ბუნებრივზე მაღლა ავწიეთ. არ არის გამორიცხული, 1000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნაც ავაშენოთ. საგურამოში კი ცენტრალურ მოედანზე 3000-კაციან ტრიბუნას მოვაწყობთ და 1200-ლუქსიან განათებასაც დავამონტაჟებთ. ეს იქნება პატარა და ძალიან ლამაზი სტადიონი"* - გვითხრა უგულავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

შავი ზღვის აუზის თამაშები

# ვინ წარადგენს საქართველოს?

როგორც გაუწყეთ, **თამაზ თევზაძე** რუმინეთის ქალაქ პოიანა ბრაშოვში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშების ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. აქვე შეგახსენებთ იმასაც, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების მეორე სპორტული თამაშები 2010 წლის 20-27 ივნისს რუმინეთის საპორტო ქალაქ კონსტანცაში გაიმართება. მასში მონაწილეობას რეგიონის 12 ქვეყანა (რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, სერბეთი, მოლდოვა, თურქეთი, უკრაინა, ბულგარეთი) მიიღებს.

შეჯიბრება სულ თორმეტ სახეობაში გაიმართება, მათ შორის, ფეხბურთშიც. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მრჩეველ თამაზ თევზაძეს იმის გასაგებად დავუკავშირდით, რომელი საფეხბურთო გუნდი თუ ნაკრები წარადგენს საქართველოს ხსენებულ ტურნირში.

*„ტურნირი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. 2006 წელს თამაშები ტრაბზონში ჩატარდა და მასში მონაწილეობდა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც მაშინ ჰერბერტ ცანკერი წვრთნიდა. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ საფეხბურთო ტურნირშიც შესაბამისი ასაკის გუნდი დაუშვან და არა 17-წლამდელები. სწორედ ამის გამო, ჯერ ვერ ვამბობთ, რომელი ასაკობრივი ნაკრები ითამაშებს კონსტანცაში. ეს საკითხი 2009 წლის მაისში გადაწყდება. ყველაფერი დამოკიდებულია სინგაპურში 2010 წლის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რომელ ასაკსაც სინგაპურის ოლიმპიადაზე დაუშვებენ, იმ ასაკის ნაკრებები ითამაშებენ რუმინეთშიც".*

ისე კი, საინტერესოა, რამდენად რეალურია შავი ზღვის აუზის თამაშების საქართველოში ჩატარება? თევზაძე გვპასუხობს:

*„მე არ მაქვს ამის თქმის პრეროგატივა, მაგრამ პირადად ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებთ, მსგავსი სურვილის თუნდაც გამჟღავნება სწორი ნაბიჯი იქნებოდა. ისევე, როგორც „ბორჯომი 2014"-ის შემთხვევაში, ანალოგიური ინიციატივების წამოყენება საქართველოს ყველანაირად წაადგება. ახლა ჩვენთან ამგვარი ტურნირების მასპინძლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის, მაგრამ მომავალში ბათუმის ან ფოთის კანდიდატურა რომ წარვადგინოთ, ურიგო არ იქნება. თუმცა ეს მაინც სახელმწიფოს გადასაწყვეტია და არა ჩემი. თუკი ამის სურვილი იქნება, განაცხადი ტურნირის გამართვამდე ოთხი წლით ადრე უნდა შევიტანოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ადამია მაინც დუბლებში

**გიორგი ადამია** ბაქოს „ნეფთჩის" დუბლებში ვარჯიშობს. მართალია, თავიდან მან ეს იუარა და დროებით საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებამ პოზიცია შეაცვლევინა.

როგორც ჩანს, გიორგიმ ეს განცხადება ცხელ გულზე გააკეთა, მერე კი მიხვდა, რომ ამგვარი საქციელისთვის მკაცრი სასჯელი ელოდა და **რასად სადიგოვისა** და **ალექსანდრ ჩერტოგანოვის** კვალდაკვალ „ნეფთჩი 2"-ში გადავიდა.

გიორგის გადაწყვეტილება ბაქოელთა მთავარი მწვრთნელის **ჰანს-იურგენ გედეს** მოთხოვნას არ უკავშირდება. ადამიას გარდა, გერმანელმა კიდევ ოთხი ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენება გადაწყვიტა. 27 წლის ქართველი თავდამსხმელი დუბლებში მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად გადაბარგდა.

ის უკვე ოთხი წელია აზერბაიჯანის ყველაზე ტიტულოვან კლუბში თამაშობს, „თანამეგობრობის თასის" ბომბარდირი გახდა და კლუბის ერთ-ერთი ძვირადღირებული ფეხბურთელია. ახლა კი ადამია იძულებულია, კონტრაქტის დასრულებამდე „ნეფთჩიში" დარჩეს. ამ კონტრაქტის ვადა 2009 წლის მაისში იწურება. ბაქოელთა ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ დასჯილებისადმი რომელიმე კლუბის დაინტერესების შემთხვევაში, მათ ტრანსფერს არ შეეწინააღმდეგება.

**მერაბ მამულაშვილი**

# პარამონოვი რუსეთისკენ

საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ტანმაღალი (194 სმ) ფეხბურთელი **დიმიტრი პარამონოვი** ერთი წელია ქვეყნიდან წავიდა. ის მოლდოვურ „დაჩიაში" თამაშობდა, თუმცა მცირე ხნით.

*„ჩემი მენეჯერი მამუკა ჯუღელია. მან „დაჩიაში" წამიყვანა, მაგრამ იქ ფეხი მოვიტეხე. ოპერაცია ერთი თვის წინ გავიკეთე და ახლა რეაბილიტაციას გავდივარ. წესით, მოედანს ნოემბრის ბოლოს უნდა დავუბრუნდე და იმედია, ვარჯიშს ჩვეულებრივი დატვირთვით შევძლებ"* - გვითხრა პარამონოვმა.

უახლოეს მომავალში კი ის რუსეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას: *„რუსეთში წავალ სათამაშოთ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სად და რომელ კლუბში მოვეწყობი. ჯუღელი რაღაც ვარიანტებს მპირდება და ვნახოთ, ალბათ რამე გამოვა. რუსეთის მოქალაქეობა მაქვს და ეს საქმეს გამიიოლებს, ანუ ლეგიონერის სტატუსი არ მექნება".*

შეგახსენებთ, რომ 26 წლის თავდამსხმელი ქუთაისის „ტორპედოში", თბილისის „ლოკომოტივსა" და „ზესტაფონში" თამაშობდა. პარამონოვს **რევაზ ძოძუაშვილი** დიდ იმედებს უკავშირებდა, ჩვენებურ „კოლერადაც" მოიხსენიებდა, მაგრამ ტრავმებმა მას თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# აზერბაიჯანში ქართველები წინ მიიწევენ

## ყაზახეთის ჩემპიონატი ჩვენებური დუელით დასრულდა

აზერბაიჯანში თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩები გაიმართა. 5 მეოთხედფინალისტის ვინაობა ცნობილია, სამიც დღეს გაირკვევა. ზაქათალის „სიმურგი" გუბის „სპარტაკს" საპასუხო მატჩშიც სასტიკად გაუსწორდა. თუ პირველ შეხვედრაში საინგილოს წარმომადგენლებმა 7:1 მოიგეს (თავი **გრიგოლ დოლიძემაც** გამოიჩინა), გუბაში 8:0 დაფიქსირდა. გაგიკვირდებათ და, ამ მატჩში ქართველებს ერთი გოლიც არ გაუტანიათ. **გიორგი ჭელიძის** „ნეფთჩიმ" საპასუხო შეხვედრაც მოუგო (3:0) მოიკ-ს და მეოთხედფინალში იოლად გავიდა.

ძალზე დაძაბული გამოდგა „თურანისა" და „კაბალას" საპასუხო დუელი. პირველი მატჩი **თორნიკე აფციაურის** გუნდმა 2:1 მოიგო, მაგრამ საპასუხოში გოლი გაუშვა და 79-ე წუთამდე აგებდა. ასეთ შემთხვევაში მომდევნო სტადიაზე „თურანი" გადიოდა. სტუმრები ბოლოსლა გამოფხიზლდნენ. აფციაურმა ერთი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან, თუმცა შემდეგ **ქენან ქარიმოვს** ორჯერ გაატანინა - 2:1. ასე რომ, „კაბალა" შემდგომ ეტაპზეა. ბაქოს „ოლიმპიკმა" იშვიათი კონტრშეტევის წყალობით სტუმრადაც 1:0 დაამარცხა „ქარვანი". მეოთხედფინალშია **ალეკო გოგობერიშვილის** „ყარაბახიც", რომელიც აუტსაიდერ „ბაკილის" დაუზავდა - 0:0 (პირველი მატჩი 3:0). ამ შეხვედრაში „ბაკილის" ფორვარდმა **გივი ჩხეტიანმა** გოლის გატანის ასპროცენტიანი მომენტი გაანიავა.

დღეს **ამირან მუჯირისა** და **გიორგი დემეტრაძის** „ბაქი" „უნივერსიტეტს" ეწვევა, თუმცა ამ თამაშს მნიშვნელობა ნაკლებად აქვს - „ბაქიმ" პირველი მატჩი 10:0 მოიგო, ხოლო დემეტრაძემ ჰეთ-ტრიკი შეასრულა. ყველაზე დიდ ინტერესს **კახა ცხადაძის** „სტანდარდისა" და ჩემპიონ „ინტერის" დაპირისპირება იწვევს. პირველი მატჩი 2:2 მორჩა.

ყაზახეთში კი ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. მწვრთნელთა გადადგომებისა და სკანდალების „წყალობით" პირველობა სულ ორმა ქართველმა ლეგიონერმა ჩაამთავრა - **ლაშა ნოზაძემ** (ყარაღანდის „შახტიორი") და **ლაშა ჭელიძემ** (ყიზილორდას „კაისარი"). პრემიერლიგის ბოლო ტურში სწორედ ეს ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, მაგრამ ქართული დუელი არ შედგა - დიდი ხნის შესვენების შემდეგ „შახტიორის" განაცხადში ნოზაძე გამოჩნდა, ოღონდ, სათადარიგოთა სკამზე. ჭელიძემ კი შეუცვლელად ითამაშა მატჩში, რომელიც ქართველი მცველის გუნდისთვის სავალალოდ დასრულდა - „კაისარმა" 0:5 წააგო და ჩემპიონატი 49 ქულით მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა. „შახტიორმა" 37 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა, რაკი მატჩის ჩაწყობისთვის ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციამ 9 ქულა დააკლო (სხვა შემთხვევაში, მეხუთე ადგილზე გადიოდა).

ამ სეზონის პირველ ნაწილში „შახტიორს" **რევაზ ძოძუაშვილი** წვრთნიდა, გუნდში კი ნოზაძესთან ერთად **ლევან მელქაძეც** თამაშობდა. უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკში" თითქმის მთელი სეზონი გაატარეს **ზვიად** და **გიზო ჯელაძეებმა**. უფროსი ძმა, ზვიადი კაპიტანიც იყო იმ გუნდისა, რომელიც ჩაწყობილი თამაშის გამო ლიგიდან მოკვეთეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# კაუნასმა შანსი ხელიდან გაუშვა

ლიტვაში „კაუნასმა" ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი დაკარგა - გუშინ ქართველთა გუნდი A ლიგის გადამწყვეტ მატჩში ლიდერ „ეკრანასთან" სტუმრად 1:2 დამარცხდა. მართალია, ჩემპიონი ჯერ კიდევ ეჭიდება ხავსს, მაგრამ წარმოუდგენელია, დარჩენილ ორ ტურში („კაუნასს" 3 მატჩი დარჩა ჩასატარებელი) „ეკრანასი" 8-ქულიან უპირატესობას გაანიავებს.

ქართული დუეტიდან „კაუნასის" სასტარტოში **აკაკი ხუბუტია** იყო, **ნუკრი მანჩხავა** კი სათადარიგოთა შორის გახლდათ. ის შესვენების შემდეგ შევიდა სათამაშოდ **მარიუს ჩინიკასის** ნაცვლად. ხუბუტიამ ყვითელი ბარათი მიიღო და 69-ე წუთზე შეცვალეს კიდეც. „ეკრანასს" 59 ქულა აქვს, „კაუნასს" 51.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მივიწყებული სახელები

ზურაბ ფოფხაძე

# რუსეთის ნაკრებში ვერ ვითამაშებდი...

მეოცე ჩემპიონატის „განსაკუთრებულობაზე“, ალბათ, კიდევ ბევრი გვექნება სალაპარაკო; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თურმე, ჩვენთანაც თამაშობენ „საინტერესო“ ფეხბურთელები. თანაც, თქვენ წარმოიდგინეთ, პირველ ლიგაშიც! „ლელო“ ცოტა ხნის წინათაც წერდა, რომ პირველ ლიგაში რამდენიმე ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს. ვაღიარებთ: ერთი კაცი გამოგვრჩა, ვინც საკუთარი გუნდის მოთამაშე-მწვრთნელია და... თავის დროზე საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდა! თერთმეტი წელიწადი ლეგიონერიც იყო და ერთ-ერთი პირველი ქართველიც გახლდათ, რუსული გუნდის კაპიტნად რომ აირჩიეს. ზურაბ ფოფხაძეზე მოგახსენებთ, წლევანდელი პირველი ლიგის ყველაზე გამოცდილ და, რაც მთავარია, ტიტულოვან ფეხბურთელზე. ფიზიკურად ძლიერ და ათლეტური აღნაგობის მოთამაშეს არაერთი პლუსი ჰქონდა: არც გამძლეობა დაენუნებოდა, არც - სისწრაფე; აღარაფერს ვამბობთ უნივერსალიზმზე - დაცვაში ორივე ფლანგის გაკონტროლებაც შეეძლო და მეტოქის ფორვარდების პერსონალური მეურვეობაც; ხშირად „საყრდენადაც“ გვინახავს და გოლების გატანაც არ იყო მისთვის „უცხო ხილი“. სამწუხაროდ, კარიერის პიკზე მყოფს, რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს საქართველოს ნაკრებში არ იძახებდნენ. უფრო ზუსტად, არასაკმარისად ენდობოდნენ...

...რუსეთსა თუ უკრაინაში თერთმეტწლიანი ბურთაობის მერე ფოფხაძე იქ დაბრუნდა, საიდანაც დაიწყო კიდეც საფეხბურთო კარიერა - ლაგოდეხის „ჰერეთში“! საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ყველაზე ცნობად სახეს გუშინ შევეხმიანეთ და ახლანდელის გარდა, ძველი ამბების გახსენებაც ვთხოვეთ...

**- 36 წლის ასაკში ისევ დიდ ფეხბურთში აპირებთ დაბრუნებას?**

- რასაც სერიოზული ფეხბურთი ჰქვია, იმ დონეს ნაღდად ველარ დავაკმაყოფილებ; სამწუხაროდ, სამი წლის წინათ სერიოზული ტრავმა მივიღე და დიდ დატვირთვებს ორგანიზმი ვერ გაუძლებს. სამაგიეროდ, ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს ვეხმარები და გამოცდილებას ვუზიარებ.

**- „ჰერეთს“ რა მიზნები აქვს?**

- წინა სეზონი რეგიონალლიგაში გავატარეთ და მუდამ ლიდერთა შორის ვიყავით. ამჟამად, კონკრეტული ამოცანა არ გვაქვს: შევხედავთ, როგორ ვიასპარეზებთ პირველ ლიგაში და უკვე სეზონის ბოლოსკენ მომავლის მიზნებზეც დავფიქრდებით. მთავარია, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა (უმრავლესობა - ადგილობრივი), რომლებიც პირველ ლიგაში არცთუ იოლ თამაშებში საჭირო გამოცდილებას იძენენ.

**- გუნდს ვინ პატრონობს?**

- რაიონის გამგეობა ყველაფრით გვეხმარება; ამას გარდა, ჩვენს პრეზიდენტს ისაკო ცქიფურიშვილს კერძო ბიზნესი აქვს და ელემენტარული პირობებიც შეგვიქმნა. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლავთ, რომ „ჰერეთის“ საშინაო მატჩები ადგილობრივ ქომაგთა დიდ ინტერესს იწვევს. თანაც, ძველი თაობის გულშემატკივრებმაც „გაიხსენეს“ სტადიონზე მისასვლელი გზა...

**- მოთამაშე-მწვრთნელი ამ რამდენიმე ტურის წინ მოედნიდან გააძევეს...**

- მერწმუნეთ, წმინდა წყლის გაუგებრობა მოხდა - პირველ ტაიმში ერთი ყვითელი ბარათი მქონდა მიღებული და მატჩის მიწურულს, მეორედ სრულიად აბსურდულ სიტუაციაში გამაფრთხილეს...

**- მოდით, უფრო სასიამოვნო თემაზე გავაგრძელოთ საუბარი და გვინდა, რომ თქვენი კარიერის პირველი ნაბიჯები გაიხსენოთ.**

- 15 წლის ვიყავი, სოფელ ვარდისუბნის გუნდში რომ დავიწყე თამაში რობერტ ბერუაშვილთან. მერე ლაგოდეხის „ჰერეთში“ ჩავირიცხე და 1989 წელს 17 წლის ბიჭი თბილისის დუბლებში მიმიწვიეს. გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი ნემსაძე - თანატოლები ვართ და მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დუბლებში ასპარეზობამაც ბევრი რამ შემძინა.

**- ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას მშობლიურ რაიონში შეხვდით.**

- ორი სეზონი „ჰერეთში“ ვითამაშე, მერე კი თელავის „კახეთთან“ ერთად უმაღლესი ლიგის საგზური მოვიპოვეთ. თუმცა, მეოთხე ეროვნული ჩემპიონატი უკვე სხვა გუნდში - გურჯაანის „ალაზანში“ დავიწყე. არც მინანია - ოთარ გაბელიას თავკაცობით მართლაც მშვენიერი გუნდი გვყავდა და საბოლოოდ მესამე ადგილზეც გავედით.

**- გეთანხმებით, მაშინდელი „ალაზანი“ საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.**

- ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ: ოთარ კორღალიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, დათო უგრელიძე, მერაბ თევზაძე, დათო ნეფარიძე... სტადიონზეც სულ ანშლაგი იყო; ფანატიკოსი პრეზიდენტიც გვყავდა - მიშა ფურცელაძე, გუნდისთვის ყველაფერს რომ აკეთებდა.

**- ურიგო არც თქვენი მომდევნო გუნდი იყო - რუსთავის „მეტალურგი“.**

- გეთანხმებით - ძმები კილასონიები, ლევან კობიაშვილი, გოგა გახოკიძე, დათო ჩალაძე, სოსო გრიშიკაშვილი, ზაზა ზირაქიშვილი, ლევან ქებაძე - თითქმის ყველა მათგანს მერეც შესანიშნავი კარიერა ჰქონდა.

**- ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ყველა თავს არიდებს. იქნებ, თქვენ მაინც თქვათ, რა მოხდა 1995-96 წლების სეზონის ბოლო ტურში, როცა უეფას თასის საგზურის ბედი წყდებოდა?**

- ალბათ, უფრო ფსიქოლოგიური, შესაძლოა, რაიმე გარეშე ფაქტორიც იყო. თუ იმ შეხვედრას ჩვენ მოვიგებდით, უეფას თასზე ვიასპარეზებდით, ზესტაფონის „მარგვეთსაც“ მხოლოდ მოგება აწყობდა; აი, ფრის შემთხვევაში კი... ფოთის „კოლხეთს“ უნდა ეხეირა. თუმცა, ჩვენს გუნდში მატჩამდე უკვე არაჯანსაღი სიტუაცია იყო - სპონსორები, ფაქტობრივად, მთელი მეორე წრე გვატყუებდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ თასის ნახევარფინალის განმეორებით მატჩში აღარ მივდიოდით - ბოიკოტი გამოვაცხადეთ...

**- ამ ყველაფერს „მარგვეთთან“ მატჩთან რა კავშირი ჰქონდა?**

- უბრალოდ, შეურაცხმყოფელია, როცა ფეხბურთელს ეტყვი: აი, შევხედავთ, იმ გადამწყვეტ მატჩს როგორ ითამაშებთ და დავალიანებასაც ამის მერე გაგისტუმრებთო. რა ვიცი, იქნებ, ვილაცეებს არც სურდათ, რომ „მეტალურგი“ უეფას თასზე გასულიყო - ხარჯი ხომ გაცილებით მეტი იქნებოდა. მერე, ცოტა არ იყოს, უცნაური საუბრებიც უძლოდა იმ შეხვედრას: თითქოს, 85-ე წუთამდე გოლი ჩვენ უნდა გაგვეტანა; სინამდვილეში კი მატჩის მიწურულს სტუმრებმა აქეთ გაგვიტანეს გოლი. შეიძლება, ფსიქოლოგიურად მოგვადუნეს კიდეც, არ ვიცი, ზუსტად ვერავინ გეტყვით. ერთი კი ფაქტია, რომ მთლად „სუფთა“ მატჩი არ იყო და, კიდევ ვიმეორებ, ამაში დიდი როლი ჩვენი გუნდის მაშინდელმა სპონსორებმაც ითამაშეს...



**- ბევრი ქართველი ფეხბურთელისგან განსხვავებით, თქვენ ერთობ უპრობლემოდ შეძელით რუსეთის ჩემპიონატის არცთუ სუსტ გუნდში ჯერ ადგილის დამკვიდრება, მერე კი - კაპიტნობა.**

- ეს ტრანსფერი ვლადიმერ გუცაევის რეკომენდაციით განხორციელდა; პირველივე ამხანაგური მატჩის მერე, მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ავერიანოვმა ჩემი საკითხი დადებითად გადაწყვიტა. სულ კი „კრილია სოვეტოვში“ სამწელიწად-ნახევარი ვითამაშე და, ალბათ, ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდიც იყო.

**- მაშინდელი რუსული პრესისგან ყოველთვის მაღალ შეფასებებს იღებდით...**

- 1998 წლის სეზონის დასრულების მერე „სპორტ-ექსპრესმა“ „კრილია სოვეტოვის“ საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელა. ხშირად ვხვდებოდი სხვადასხვა ნომინაციაში, თუმცა ყველაზე დიდი პატივი მაინც კაპიტნად არჩევა გახლდათ. თანაც, ფარული კენჭისყრა ჩატარდა და გუნდმა მე ამირჩია. სხვებსაც სამართლიანი პრეტენზია უნდა ჰქონოდათ: ვიტალი საფრონოვი და ზურაბ წიკლაური ადგილობრივები იყვნენ, ჩვენებური მამუკა მინაშვილიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა.

**- ავერიანოვი ახსენეთ და ეს მწვრთნელი თქვენ ყველთვის გენდობოდათ.**

- წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იყო და ქართველების მიმართაც განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. სულ იმას ამბობდა, სადაც კი მიმუშავია, გუნდში, სულ ცოტა, სამი ქართველი ფეხბურთელი მაინც უნდა მყავდესო. ამასთან, ერთობ სამართლიანი კაციც გახლდათ, რასაც ვერ ვიტყვით მის შემცვლელზე. ალექსანდრ ტარხანოვიც არანაკლები დონის სპეციალისტი იყო, ოღონდ, ავერიანოვისგან განსხვავებით, გუნდში ლიდერებსა და ავტორიტეტებს არ ცნობდა. ბოლოს ისე ამითვალწუნა, მივედი და გათავისუფლება ვთხოვე.

**- იმ პერიოდში საქართველოს ნაკრებშიც გიძახებდნენ. თუმცა, ალბათ, გული გწყდებოდათ, რომ უფრო მეტ შანსს იმსახურებდით.**

- შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ რუსეთის ნაკრებში თამაშს მთავაზობდნენ. „კრილია სოვეტოვში“ ჩემს მეორე სეზონს ვატარებდი, როცა ეს ამბავი „მახარეს“ - კანდიდატთა შორის ჩაგრიცხესო. ყველა პრობლემის მოგვარებასაც (მოქალაქეობის მიღების ჩათვლით) შემპირდნენ მთავარი იყო მხოლოდ ჩემი თანხმობა. მაგრამ ქართველი ვარ, კარიერის დასრულების მერე სამშობლოში უნდა ჩამოვსულიყავი და იმ ნაბიჯს როგორ გადავდგამდი?..

**- და მაინც, ჩვენს ნაკრებში ჩატარებული ოთხიოდე შეხვედრა ცოტა არ გეჩვენებათ?**

- ორჯერ ამხანაგურში ვითამაშე, ორჯერაც ოფიციალურში - ნორვეგიელებთან თბილისშიც და ოსლოშიც. თანაც, ჯერ ვლადიმერ გუცაევი მოხსნეს, მერე მისი შემცვლელი იოჰან ბოსკამპიც. სამწუხაროდ, მათ მერე ვინც მოვიდა, იმათგან ერთი შანსიც ველარ მივიღე...

**- თქვენი რუსული კარიერა მერე სხვა გუნდებში გაგრძელდა.**

- ჯერ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ ვითამაშე, მერე კი ვლადიკავკაზის „ალანიაში“. სამწუხაროდ, „ალანიაში“ თამაშის დროს მეტოქემ მძიმე ტრავმა მომაყენა - იდაყვი ნეკნებში ჩამარტყა და სასუნთქი დიაფრაგმაც დამიზიანა. მკურნალობას, სულ მცირე, ოთხი-ხუთი თვე სჭირდებოდა, შემეძლო ამ დროის განმავლობაში ხელფასიც ამეღო, მაგრამ ჩემი სურვილით მოვითხოვე გათავისუფლების ფურცელი მოეცათ. როცა მოვმჯობინდი, ორი წელი უკრაინაში, კრივოი როგის „კრივბასში“ ვითამაშე, მერე კი ისევ რუსეთს დავუბრუნდი.

**- ბევრისთვის მოულოდნელი იყო თქვენი გამოჩენა „მეტალურგ-კუზბასში“.**

- 33 წლის ასაკში დავუბრუნდი რუსეთის ჩემპიონატს; ახლაც მიმაჩნია, რომ ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებდი, მაგრამ ტრავმის რეციდივმაც შემაწუხა და არანორმალურმა გრაფიკმაც. ყოველ მეორე-მესამე დღეს თამაშები გვიწევდა - ფაქტობრივად, სულ თვითმფრინავში ვიჯექით. მერე ისევ სამარაში დავბრუნდი და საოლქო პირველობაზე ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, ის დონე არ იყო, მაგრამ უფეხბურთოდ საკუთარი თავი ვერ წარმომედგინა. ბოლოს კი გულმა ისევ სამშობლოსკენ გამომიწია და ახლა იქ ვარ, საიდანაც დაიწყო ჩემი, როგორც ფეხბურთელის, კარიერა!..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული-ატლეტიკო. გამოხმაურება

# იყო თუ არა პენალტი?

## ბენიტესს ეჭვი არ ეპარება, პერნია კი ამბობს, მსაჯმა შეცდომის გამო ბოდიში მომიხადაო


სტივ ჯერარდმა საკამათო 11-მეტრიანი მშვიდად აქცია გოლად

„ლივერპულისა" და „ატლეტიკოს" სამშაბათის მატჩი სკანდალით დასრულდა. ესპანელები შვედ არბიტრ **მარტინ ჰანსონს** თითიდან გამოწოვილი 11-მეტრიანის დანიშვნაში ადანაშაულებენ. პირენეელი ჟურნალისტების აზრით, „როხიბლანკოს" ორი ქულა მსაჯმა მოპარა.

94-ე წუთი მიმდინარეობდა. „ატლეტიკოს" საჯარიმოში ბურთის დასაუფლებლად **სტივ ჯერარდი** და **მარიანო პერნია** შეებრძოლნენ ერთმანეთს. „ლივერპულის" კაპიტანი მინდორზე თეატრალურად დაეცა. ჰანსონმა დაუყოვნებლივ პენალტის ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი.

საჯარიმო დაზარალებულმა ჯერარდმა შეასრულა. მან **მაქსი როდრიგესის** მიერ 37-ე წუთზე გატანილი გოლი გაქვითა. „ატლეტიკოს" ეგონა, რომ სამი ქულა ჯიბეში ედო და ფლეი ოფში გადიოდა. საეჭვო პენალტის ხარჯზე „ლივერპული" ზედიზედ მეორე მარცხს გადაურჩა. გასულ უქმეებზე მან „ტოტენჰემთან" დათმო (1:2) და 16-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.

"ლივერპულის" თავკაცმა **რაფა ბენიტესმა** ატეხილი ხმაური უსაფუძვლოდ მიიჩნია: *"ეს რომ მოედნის ცენტრში მომხდარიყო, აუცილებლად დაინიშნებოდა ჯარიმა. რაკი წესები საჯარიმო მოედანში დაირღვა, დაინიშნა პენალტი. ამ საღამოს „ლივერპული" მინიმუმ ერთ ქულას იმსახურებდა."*

ოთხი ტურის შემდეგ „ატლეტიკოსა" და „ლივერპულს" თანაბარი ქულები აქვთ. ისინი ხუთი ქულით ალემატებიან ჯგუფის დანარჩენ წევრებს - „მარსელსა" და „ეინდჰოვენს". ამ უკანასკნელთ ფლეი ოფში გასვლის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვთ. გუშინწინდელი შედეგის მიუხედავად, ესპანური და ინგლისური გრანდები ლიგის მომდევნო ეტაპზე ითამაშებენ.

მაქსი როდრიგესის გოლი **ჯეიმი კარაგერის** პოზიციურ შეცდომას მოჰყვა. ეს არ არის პირველი შემთხვევაში ამ სეზონში, როდესაც ინგლისელი მცველი უხეშად ცდება. „ლივერპულს" ძალიან აკლდა **ფერნანდო ტორესი**. მას „ატლეტიკოსთან" ორივე მატჩი გაუცდა. ტორესს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს.

„ატლეტიკოს" მეორე მწვრთნელმა **იგნასიო ამბრისმა** პენალტის გამო პოლემიკაში ჩაბმა ზედმეტად მიიჩნია: *„სიმართლე გითხრათ, იმ ადგილიდან ძალიან შორს ვიმყოფებოდი. თავს უფლებას ვერ მივცემ, იმაზე ვილაპარაკო, რაც არ დამინახავს. მომხდარი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ფეხბურთში ყველაფერი თვალის დახამხამებაში იცვლება. გვეგონა, რომ მომდევნო ეტაპის საგზური ჯიბეში გვედო. მეტოქემ კი ამ დროს გოლი გაგვიტანა. რა გაეწყობა. წინ კიდევ ორი თამაში გვაქვს, შევეცდებით, ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ."*

კომენტარი გააკეთა მარიანო პერნიამ. მან ესპანელ ჟურნალისტებს განუცხადა: *„თამაშის შემდეგ მსაჯმა ბოდიში მომიხადა"*. ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ წესები არ დაურღვევია და რომ არბიტრმა უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო: *„უშეცდომო არავინაა, მათ შორის, არც მსაჯი. სამწუხაროა, რომ იმ ეპიზოდში მარტო მან დაინახა უხეშობა. გულდასაწყვეტია, რომ გამარჯვება ხელიდან გავუშვით."*






საკამათო ეპიზოდი ლივერპულური მატჩის 94-ე წუთზე სტივ ჯერარდისა და მარიანო პერნიას მონაწილეობით

"ატლეტიკოსთან" მატჩში ინგლისელებს **დანიელ აგერი** დაუშავდათ. მეორე ტაიმში, მან თითი იტკინა. დანიელ მცველს მოედნიდან გასვლა მოუხდა. მოედნის კიდეზე, პირველადი დახმარების აღმოჩენას დიდი ხანი დასჭირდა. თამაშის შემდეგ ფეხბურთელი საავადმყოფოში წაიყვანეს. ეჭვობდნენ, რომ თითი მოტეხილი იყო.

აგერმა შაბათს, „ვესტ ბრომვიჩთან" შეიძლება არ ითამაშოს. ბენიტესის განკარგულებაში ორი ჯანმრთელი ცენტრალური მცველიღა რჩება - ჯეიმი კარაგერი და **სემი ჰიიპია**.

დაპირისპირება

# სერ ალექსი აღარც სქაის დაელაპარაკება

## ფერგიუსონისა და BBC-ის დაპირისპირება უკვე ოთხ წელს ითვლის

**სერ ალექს ფერგიუსონი**, დიდი ხანია, აღარ ელაპარაკება "ბი-ბი-სის". მათი ურთიერთობა 2004 წელს დაიძაბა. ბრიტანეთის სამაუწყებლო არხმა ეთერში გაუშვა დოკუმენტური ფილმი "ფერგი და მისი ვაჟი". მასში მოთხრობილი იყო, თუ როგორ აძალებდა მწვრთნელი ახალგაზრდა ფეხბურთელებს მის ვაჟთან კონტრაქტების გაფორმებას. სერ ალექსის შვილი იმხანად საფეხბურთო აგენტობით იყო დაკავებული.

ამ ფილმმა ფერგი ისე აღაშფოთა, რომ ტელევიზიას სასამართლოში უჩივლა. უკვე ოთხი წელია, "ბი-ბი-სის ეთერში სერ ალექსის ინტერვიუ არ გაჟღერებულა. და აი, გასულ უქმეებზე მწვრთნელი "სქაი ტი-ვი-საც" შემოსწყრა. ასე თუ გაგრძელდა, ფერგის სატელევიზიო კომენტარები, შეიძლება, საერთოდ ველარ ვიხილოთ. "სქაისთან" კონფლიქტის მიზეზი ტელევიზიის ეთერში, **უეინ რუნის** მისამართით გამოთქმული კრიტიკა გახდა. გუშინ ჩემპიონთა ლიგაში "იუნაიტედი" "სელტიკს" შეხვდა. ნამატჩევს სერ ალექსმა ინტერვიუს ჩასაწერად მისული "სქაის" გადამღები ჯგუფი უარით გაისტუმრა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრებს სრული ინფორმაციული ვაკუუმი ელოდებათ. საქმე იქით მიდის, რომ ამიერიდან ფერგის ინტერვიუები მხოლოდ საკლუბო არხზე იტრიალებს. MUTV საკაბელო არხია. ის ძალიან ძვირი ღირს. გულშემატკივრების აბსოლუტურ უმრავლესობას მისი დაყენების საშუალება არ აქვს.

ახლა უფრო კონკრეტულად სერ ალექსისა და "სქაის" დაპირისპირების შესახებ. ფერგი ორ მიმომხილველზეა განრისხებული - "ლივერპულის" ყოფილ ვარსკვლავ **ფილ ტომპსონსა** და "არსენალის" ყოფილ ნახევარმცველ **პოლ მერსონზე**. ისინი ამჟამად "სქაის" საფეხბურთო რედაქციაში მუშაობენ და ყოველი ტურის შემდეგ შემაჯამებელი პროგრამა მიჰყავთ.

ტომპსონმა თქვა - რუნი წითელ ბარათს იმსახურებდა, როდესაც "ევერტონთან" გასვლითი მატჩისას "მანჩესტერ იუნაიტედის" ლოგოს ემთხვიაო. მერსონის აზრით, რუნი "ჰალ სიტისთან" შეხვედრის დროსაც უნდა გაეგდოთ.

ფერგის "სქაისთან" ყოველთვის გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა. "სქაი" პრემიერლიგის ოფიციალური პარტნიორია. მას ინგლისის საფეხბურთო ლიგასთან 1.3 მილიარდ გირვანქად ღირებული სამწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. მწვრთნელების მოვალეობაში შედის ყოველი თამაშის შემდეგ ამ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში კომენტარის გაკეთება.

კომპანიის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ სერ ალექსთან ურთიერთობას უსწრაფესად მოაგვარებს. მომავალ უქმეებზე ინგლისში დიდი მატჩია. "არსენალი" "მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. როგორ შეიძლება, ასეთი თამაშის შემდეგ ფერგიმ კომენტარზე უარი თქვას.

პორტსმუთი


ტონი ადამსსა და ბენის ბერგკამპს არსენალი აერთიანებთ

# ადამსმა ბერგკამპი მიიწვია

## ჰოლანდიელმა ინგლისში დაბრუნებაზე თავაზიანი უარი განაცხადა

"პორტსმუთის" თავკაცმა **ტონი ადამსმა დენის ბერგკამპს** მეორე მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მაცდუნებელ წინადადებაზე უარი განაცხადა. ბერგკამპი ადამსის ძველი თანაგუნდელი და მეგობარია. ისინი "არსენალში" მოღვაწეობდნენ და არა ერთი დიდი ბრძოლა გადახდენიათ.

ადამსი "პორტსმუთის" სამწვრთნელო შტაბის შევსებას ცდილობს. ბერგკამპის გარდა, ის კიდევ ერთი ყოფილ თანაგუნდელს, **მარტინ კიოუნს** ესაუბრა. 43 წლის კიოუნმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ის "არსენალშია" დასაქმებული. ამას გარდა, "ბი-ბი-სის" ეთერში სპორტული გადაცემა მიჰყავს.

რაც შეეხება ბერგკამპს, ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ის ლონდონის მახლობლად დასახლდა, მაგრამ გასულ ზაფხულს "აიაქსის" ახალგაზრდულ გუნდში მიიწვიეს და ისიც დაუფიქრებლად გაემგზავრა. ადამსს იმედი ჰქონდა, რომ დენისს პრემიერლიგაში მუშაობის პერსპექტივით დააინტერესებდა, მაგრამ ჯერჯერობით მისმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

ადამსი: *"აუცილებელი არ არის, ჩემი გუნდის მომავალი წევრი აუცილებლად "არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი იყოს. მთავარია საჭირო კანდიდატის შერჩევა. იმედია, სასურველ მწვრთნელს უმოკლეს დროში გავუფორმებთ კონტრაქტს."*

ტოტენჰემი

# ლეს ფერდინანდიც რედნაპთან დაბრუნდა

**ჰარი რედნაპმა** "ტოტენჰემის" კიდევ ერთი ყოფილი ვარსკვლავი დაასაქმა. **ლეს ფერდინანდი** "მამლების" თავდამსხმელთა მწვრთნელი გახდა. ერთი კვირის წინ რედნაპის ასისტენტად 90-იანი წლების "ტოტენჰემის" ნახევარმცველი **ტიმ შერვუდი** დაინიშნა. ლეს ფერდინანდი **დარენ ბენტს, რომან პავლიუჩენკოს, ჯოვანი დო სანტოსსა** და "მანჩესტერიდან" იჯარით აყვანილ **ფრეიზერ კემპბელს** გაუწევს მეთვალყურეობას.

რედნაპი იანვრის ტრანსფერებისათვის მოუთმენლად ემზადება. მწვრთნელი შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს, რათა კრიზისს ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო. მან ჩელსელ **უეინ ბრიჯს** დაადგა თვალი. 28 წლის ფეხბურთელი "არისტოკრატების" თადარიგშია. **ეშლი კოულის** გამო მისი სათამაშო პრაქტიკა ფრიად შეზღუდულია. ფეხბურთელმა რამდენჯერმე მოისურვა სამსახურის შეცვლა, მაგრამ ყოველ სეზონს "ჩელსიში" იწყებს. თუ ის კლუბიდან წასვლას მოისურვებს, "ტოტენჰემი" მაშინვე შესთავაზებს კონტრაქტს.

"მამლების" გარდა, ბრიჯის შეძენა "მანჩესტერ სიტისაც" სურს. მოგეხსენებათ, "სიტი" ინგლისის უმდიდრესი კლუბია. მიმომხილველთა აზრით, მას ნებისმიერი ტრანსფერის განხორციელება შეუძლია. "სიტის" ხელმძღვანელობა სატრანსფერო ბაზარზე თვით ევროპულ გრანდებს ეპაექრება. "ტოტენჰემს" მასთან შანსი არ აქვსო, წერს "დეილი მეილის" ჟურნალისტი. თავად ბრიჯს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ფეხბურთელი 7 მილიონი გირვანქა ღირს - იმდენი, რამდენიც 2003 წელს "ჩელსიმ" "საუთჰემპტონს" მიუთვალა.

იანვრის ტრანსფერებისას "ტოტენჰემი" "რეინჯერსში" იჯარით გაშვებული საყრდენი ნახევარმცველის, **პედრო მენდეშის** დაბრუნებას შეეცდება. გლაზგოელებს ჯერ არაფერი უთქვამთ. „მამლები" მზად არიან, მენდეშის ნაცვლად შოტლანდიელებს მარჯვენა მცველი **ალან ჰატონი** შესთავაზონ. ეს უკანასკნელი "რეინჯერსის" ყოფილი წევრია. "ტოტენჰემმა" ის გასულ ზაფხულს წაიყვანა. რაც შეეხება **პედრო მენდეშს**, რედნაპი მას "პორტსმუთიდან" იცნობს და გუნდისათვის საჭირო ფეხბურთელად მიაჩნია.

"მამლების" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "ტოტენჰემმა" ფრანგული "რენის" თავდამსხმელ **ჯიმი ბრიანსაც** დაადგა თვალი. 23 წლის ფეხბურთელი 13 მილიონი ევრო ღირს. მას "პარი სენ ჟერმენი" და "ოლიმპიაკოსიც" აკვირდებიან.

და კიდევ, რედნაპს ახალი მეკარის ყიდვაც სურს. "დეილი მეილის" ცნობით, მისი ფავორიტია ნიუკასლელი **შეი გივენი**. 32 წლის ირლანდიელი გოლკიპერი 9 მილიონი ევრო ღირს. სასურველი მეკარეების სიაში არიან **დევიდ ჯეიმსი** (პორტსმუთი), **ბენ ფოსტერი** (მანჩესტერ იუნაიტედი) და **რობერტ გრინი** (ვესტ ჰემი).

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგის ალტერნატიული მიმოხილვა

# BRAVO ROMA, FAMOSES FAMAGUSTA!



ტურის გმირი ჯალოროსი დამსახურებულ გამარჯვებას ზეიმობს

ლონდონის „ჩელსი“ თამაშში სამ გოლს ძალიან იშვიათად უშვებს. იგივე ითქმის მილანის „ინტერზეც“. სამშაბათს „არისტოკრატებმა“ სამი გოლი „რომასგან“ მიიღეს, მილანელებმა კი... „ანორთოსისისგან“!

პირველი ჯგუფის პირველ მატჩში თავიდანვე ყველაფერი ნათელი იყო. ლურჯ კუთხეში „ჩელსი“: ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგაში ჯერ ერთი გოლიც კი არ ჰქონდათ გაშვებული და იტალიის დედაქალაქს პრემიერლიგის ლიდერის რანგში ესტუმრნენ. ყვითელ-წითელ კუთხეში კი „რომა“, რომელსაც განვლილ სამ ტურში ორი მარცხი ჰქონდა განცდილი და თანაც, „ჯალოროსის“ იტალიის ჩემპიონატის ბოლო 9 ტურში 6 მარცხი ჰქონდა ნანვნევი. შესაბამისად, თუკი იტალიელები ამ თამაშსაც წააგებდნენ, მათი დამრიგებელი **ლუჩანო სპალეტი** ნამდვილად ნოკაუტში ჩავარდებოდა. დავიჯეროთ, რომ „ჩელსის“ „რომა“ შეეცოდა? ყოველ შემთხვევაში, გასაკვირია, როგორ გაატანინეს ლონდონელებმა პირველი გოლი 100 წლის **კრისტიან პანუჩის** სამი მეტრიდან. ვინც ეს გოლი ნახა, მიხვდება, რომ ლონდონელებს რბილად რომ ვთქვათ, მეტი ყურადღება მართებდათ. სხვათა შორის, **მირკო ვუჩინიჩმაც** საკმაოდ ადვილად გახადა ანგარიში 2:0. თუ როგორ იზეიმა **ფრანჩესკო ტოტიმ** მისი გოლი, ყველამ ვნახეთ, თუმცა ამ ფაქტმა ვუჩინიჩს ხელი ნამდვილად არ შეუშალა იმაში, რომ ჩერნოგორიელს ათი წუთის შემდეგ კიდევ ერთხელ დაემწუხრებინა ლონდონელები. **ჯონ ტერის** პრესტიჟის გოლი და **დეკუს** გაძევება, ანუ ის, რაც ბოლოს მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებია.

„ბორდოსთან“ მატჩის წინ კლუჟელები იმაზე ოცნებოდნენ, რომ მატჩის შემდეგ „ჩელსის“ დევნა განეგრძოთ, მაგრამ რუმინულმა კლუბმა სენსაციური სვლა ვერ განაგრძო, „ბორდოსთან“ დამარცხდა და ოცნების კოშკებიც დაემსხვრა. არადა, „რომასთან“ მოგებისა და „ჩელსისთან“ ფრის შემდეგ „კლუჟი“ მართლაც კარგად მიდიოდა. „ბორდოსთან“ ორმა წაგებამ კი რუმინელები თავის, ბოლო ადგილზე მოსვა. არადა, **მაურიციო ტრომბეტას** გუნდს „ბორდოზე“ უარესად ნაღდად არ უთამაშია. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის, როდესაც რუმინელებმა 12 (!) კუთხური ჩააწოდეს, კარისკენ დარტყმები კი 10:1 იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშე ფრანგების მეკარე **მატიო ვალვერდეა.**

**ჰენკ ტენ კეიტი** უდიდეს ტაქტიკოსად მიიჩნევა. „ბარსელონაში“ მუშაობის დროს ის **ფრანკ რაიკაარდს** კარნახობდა ძალიან ბევრ რამეს და ეს მაშინ, როცა „ბარსამ“ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, „ჩელსიში“ კი **ავრაამ გრანტის** სუფლიორი გახლდათ. ახლა „პანათინაიკოსშია“ და ნახეთ, რა მოიფიქრა „ვერდერის“ წინააღმდეგ: ვერცხლისწყალივით მოძრავ და ძალიან სწრაფ **სიმაოს დიეგოს** დევნა და მისთვის თვალყურის დევნება დაავალა. შედეგი: ბრაზილიელი ფლეიმეიქერი აბსოლუტურად გაითიშა და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს გაუტოლდა, რითაც „ვერდერის“ შეტევა ფაქტობრივად მოკვდა. შესაბამისად, გასაკვირი აღარაა, რომ ათენელებმა ბრემენში 3:0 იმარჯვეს. თუმცა „მუსიკოსებს“ ჯერ კიდევ აქვთ მერვედფინალში გასვლის შანსი...

ძალიან ცუდი დღე ჰქონდა **ნიკოლას ბურდისოს** თამამად შეიძლება ითქვას, რომ არგენტინელმა **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისს“ ორი გოლი აჩუქა. **ჟოზე მოურინიოს** რეაქცია აბსოლუტურად გასაგები იყო: მან ბურდისოს მოედანი 57-ე წუთზე დაატოვებინა და მასთან ერთად, ასევე ძალიან სუსტად მოთამაშე **სტანკოვიჩი** და **მანსინიც** მოხსნა. ჟოზე გადარეული გახლდათ, რაც სულაც არაა გასაკვირი, მისი გუნდები ერთ თამაშში სამ გოლს ყოველდღე როდი უშვებენ. „ანორთოსისისთვის“ კი ზღაპარი გრძელდება. საკმარისია, ქეცბაიას გუნდმა მომდევნო ტურში შინ „ვერდერი“ დაამარცხოს, რომ თემურის გუნდს მერვედფინალში თამაში სავარაუდოდ განაღდებული ექნება.

14 დღის წინ „ბარსელონამ“ „ბაზელი“ მისსავე სტადიონზე 5:0 გაანადგურა და იმ მატჩში კატალონიელებს კიდევ ერთი ამდენის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მეტოქე დაინდეს. შესაბამისად, ჩვენ ყველანი „კამპ ნოუზე“ უარესს თუ არა, მიახლოვებით ასეთივე რბევას ველოდით, მაგრამ „ბარსამ“ თავი აღარ შეიწუხა. არცაა გასაკვირი, კატალონიელები ისედაც მერვედფინალში არიან, ისევე, როგორც ლისაბონის „სპორტინგი“, რომელმაც დონეცკის „შახტარს“ შესანიშნავ ფორმაში მყოფი **დერლეის** გოლით მოუგო. ეს მატჩი ფაქტობრივად წინა შეხვედრის იდენტური გახლდათ: „სპორტინგმა“ ისევ დაჯაბნა მეტოქე, უკრაინელებმა ისევ დაახლოებით 70-ე წუთისთვის გაუშვეს გოლი, თანაც, ისევ დერლეისგან და პორტუგალიელებმა ისევ 1:0 მოიგეს... დონეცკელები და შვეიცარიელები უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებენ.

მსგავსებები ბევრი იყო „ლივერპულისა“ და „ატლეტიკოს“ საპასუხო მატჩშიც: **ფერნანდო ტორესმა** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ისევ ვერ ითამაშა (ასევე ტრავმის გამო), მადრიდელთა სასტარტო შემადგენლობაში კვლავ ვერ ვიხილეთ **სერხიო აგუერო** და ეს მატჩიც 1:1 დამთავრდა.

„მარსელმა“ „ეინდჰოვენზე“ რევანში აიღო, თანაც 3:0 მოიგო და ქულებით კი გაუთანაბრდა, მაგრამ მაინც გაასწრო, რადგან წინა ტურში, ეინდჰოვენში პსვ-მ მხოლოდ 2:0 იმარჯვა. მაგრამ „ოლიმპიკიცა“ და „ეინდჰოვენიც“ „ატლეტიკოსა“ და „ლივერპულს“ 5-5 ქულით ჩამორჩებიან და თითქმის წარმოუდგენელია, რომელიმე მათგანმა მერვედფინალში გასვლა მოახერხოს...

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ლუჩანო სპალეტისთან

# რომამ გარდამტეხი მატჩი მოიგო

## ჯალოროსის თავკაცი ამ ეტაპზე 4-4-2 სქემით თამაშს აპირებს, მერე ვნახოთ...

გუშინდელი იტალიური პრესა ლუჩანო სპალეტის ფოტოებითაა აჭრელებული. „რომას“ თავკაცმა როგორც იქნა გაიხარა და ამასთან, შვებით ამოისუნთქა. ამის მიზეზი კი „რომას“ გამარჯვებაა, „ჯალოროსიმ“ ჩემპიონთა ლიგაში იძალა და ბევრის გასაკვირად ლონდონის „ჩელსი“ დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ დიდია შანსი ამ წარმატებამ კრიზისის დაძლევას დაუდოს სათავე. ამ და სხვა საკითხებზე სპალეტის თავისი მოსაზრება აქვს, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.

**- გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას, ელოდით რომ „ჩელსის“ ასეთი სხვაობით დაამარცხებდით?**

- მჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით, ანგარიშზე კი ნამდვილად არ მიფიქრია. თამაში პირველივე წუთებიდან სწორად წარვმართეთ, დაბალანსებული, ზომიერი ფეხბურთი ვითამაშეთ და შედეგიც მივიღეთ. უკანმოუხედავად წინ წასვლა დამღუპველი იქნებოდა, მეორე მხრივ, გოლის გატანაზეც უნდა გვეფიქრა და შესაბამისად, არც შეტევა დაგვვიწყებია. „ჩელსის“ ურიგო მატჩი სულაც არ ჩაუტარებია, ინგლისელები ორგანიზებულად მოქმედებდნენ და პირველ ტაიმში აგრესიულადაც უტევდნენ, მაგრამ სამი ქულა იმ გუნდმა მოიპოვა, რომელიც უფრო იმსახურებდა.

**- როგორ შეიძლება გუნდი სერია A-ში მე-17 პოზიციაზე იყოს და პრემიერლიგის ლიდერს ამარცხებდეს.**

- ამაში გასაკვირი არაფერია, როცა საუბარი მაღალი კლასის გუნდზე გვაქვს. შესაძლოა „რომას“ არ უდგას კარგი დროება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო მომენტში მობილიზაციას ვერ შევძლებთ და გადამწყვეტ მატჩს ვერ მოვიგებთ. სეზონის დაწყების დღიდან ვამბობ, რომ ჩემი გუნდის უმთავრესი პრობლემა ფსიქოლოგიურ ფაქტორშია. ფეხბურთელები მოტივაციას ვერ პოულობდნენ, რისი ახსნაც ძალიან მიჭირდა. ენთუზიაზმის დასაბრუნებლად დიდი მატჩის მოგება იყო საჭირო და ჩვენ ეს შევძელით. ამ გამარჯვებით ფსიქოლოგიური პრობლემა უნდა დავძლიოთ და პროგრესის გზას დავადგეთ.

**- ანუ კრიზისი დაძლეულია?**

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა დიდი იმედი კი მაქვს, რომ რთული დღეები უკან მოვიტოვეთ. „ჩელსისთან“ მატჩისას შეგირდების თვალებში ცეცხლი დავინახე, რამაც უზომოდ გამახარა. სეზონის დაწყების დღიდან იმას ვცდილობდი, რომ მათში ძველი ენთუზიაზმი დამენახა. სხვათა შორის, ამაში ლომის წილი ტიფოზებსაც მიუძღვით. ტურინში განცდილი მარცხის შემდეგ გულშემატკივრები ჩვენ ავტობუსს თავს დაესხნენ და შეურაცხყოფა მოგვაყენეს - აბა ეს ვის ესიამოვნებოდა, მაგრამ გარკვეული გარდატეხა ფეხბურთელთა ცნობიერებაში ამანაც მოახდინა. აქვე, მადლობას ვუხდი ტიფოზებს, „ჩელსისთან“ გულმხურვალედ გვიქომაგეს.

**- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად გუნდის თამაშში?**

- სიმშვიდე, აკადემიურობა. პირველივე წუთიდან გეგმის მიხედვით ვითამაშეთ და წინასწარ დაწერილი სცენარი მოედანზე 100%-ით გადავიტანეთ. ასეთ დროს ფეხბურთელებს არ გამოარჩევენ ხოლმე, მაგრამ ერთზე მაინც შევჩერდები ორიოდე სიტყვით. გამაოცა მატეო ბრიგიმ. მოედნის ცენტრში დანიელე დე როსისთან გავამწესე და მისმა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბევრს მოძრაობდა, ყველგან იყო, დაცვასაც ეხმარებოდა და თავდასხმასაც. არ დაგვავიწყდეს თუ რა დონის ნახევარმცველებთან უწევდა პაექრობა, მარტო ფრენკ ლამპარდის დასახელებაც კმარა. მომავალში მატეოს მეტი სათამაშო დრო მიეცემა. შეუდარებელი იყო მირკო ვუჩინიჩი, ჩერნოგორიელმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და იმედია, ასევე გააგრძელებს.

**- არაერთი მოწოდების შემდეგ, როგორც იქნა ტაქტიკა შეცვალეთ და 4-4-2-ზე გადახვედით...**

- მოწოდება და რჩევა არაფერ შუაშია. 4-4-2-ზე გადასვლა არსებულმა ვითარებამ მაიძულა. წამყვანი ნახევარმცველები ტრავმირებულნი არიან და ამ ეტაპზე ოთხი შუახაზელით სჯობს თამაში. უახლოეს მომავალში ამავე ტაქტიკით გავაგრძელებთ ასპარეზობას, შემდეგ კი შესაძლოა ისევ 4-5-1-ს დავუბრუნდეთ. რა თქმა უნდა, ახალ ტაქტიკას ახალი სისხლის ეფექტიც აქვს და არც ამის უარყოფა შეიძლება.

**- ბევრი თვლის, რომ 4-5-1 უნდა დაივიწყოთ, როგორც ჩანს, თქვენ ამ აზრზე არ ხართ.**

- რა თქმა უნდა, არა. სეზონის წინ გუნდიდან ორი შესანიშნავი გარემარბი წავიდა, ამანტინო მანსინი და ლუდოვიკ ჟიული. რა დასამალია და ხსენებული ტაქტიკა მათ გარეშე ნაკლებად ეფექტურია. თუმცა, 4-5-1-ზე საბოლოოდ უარის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ. უახლოეს მომავალში ფლანგებზე რამდენიმე ფეხბურთელს გამოვცდი, მათ შორის მაურო ესპოზიტოს, რომელსაც აქამდე იშვიათად უწევდა თამაში.

**- ამ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლის შანსი ერთი-ორად გაიზარდეთ, ახლა ყველაფერი თქვენს ხელშია.**

- დიახ, ასეა და ვეცდებით შანსი ბოლომდე გამოვიყენოთ. წინ ორი რთული პაექრობა გველის და მაქსიმალური კონცენტრაციით თამაშია საჭირო. ოთხი ქულა პლეი ოფში გასვლისთვის სრულიად საკმარისია, თუმცა ჩვენ მაინც




ექვსი ქულისთვის ვიბრძოლებთ. „ბორდო“ და „კლუჟი“ საკმაოდ ძლიერი კონკურენტები არიან, მათთან ჭიდილი იოლი არაა და ეს უკვე საკუთარ თავზე გამოვცადეთ. მეტოქის შეუფასებლობისთვის რუმინელებთან ერთხელ უკვე დავისაჯეთ, იგივე აღარ უნდა განმეორდეს.

**- სერია A-ში „რომა“ მე-17 ადგილზეა, რისთვის იბრძოლებს გუნდი ეროვნულ პირველობაზე?**

- სკუდეტოსთვის ბრძოლა ფაქტობრივად გამოირიცხა და ჩვენც ახალი მიზნები უნდა დავისახოთ. სამწუხაროდ, ჩემპიონატის სტარტზე ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ, რომლის ანაზღაურებაც ურთულესი საქმე იქნება. დღეს მხოლოდ კრიზისის დაძლევაზე ვფიქრობთ, ქულების მოგროვება უნდა დავიწყოთ, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები



იოახიმ ლიოვმა ტორსტენ ფრინგსთან ყველაფერი გაარკვია

# ბერლინში გარჩეული საქმე

## ინგლისთან ლემანს არ გააცილებენ. ლიოვმა ფრინგსიც შემოირიგა და ნოიერიც ახსოვს

**მიხაელ ბალაკის** შემდეგ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა ტორსტენ ფრინგსიც** შემოირიგა. ბუნდესმწვრთნელმა ჯერ კაპიტან ბალაკს მოაკეტინა, ახლა კი „ვერდერის" საყრდენ ნახევარმცველსაც, რომელიც უკმაყოფილო გახლდათ იმის გამო, რომ რუსეთთან და უელსთან მატჩებში ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშეს. ლიოვი ფრინგსს ბერლინში შეხვდა და განუმარტა, რომ ის ბუნდესგუნდისთვის საკმაოზე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა შეიძლება იყოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ 2010 წლის მუნდიალისთვის კარგ ფორმაში იქნება და სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიებს არ მოითხოვს, ანუ, კარგად მოიქცევა და მიიღებს იმას, რომ **თომას ჰიტცლშპერგერი** (შტუტგარტი) და **სიმონ როლფესი** (ლევერკუზენი) მისი კონკურენტები არიან.

*„ისევე, როგორც ოქტომბერში, როდესაც დიუსელდორფში ვისაუბრეთ, ტორსტენს ამჯერადაც ძალიან გულახდილად ველაპარაკე. მე მას კიდევ ერთხელ გარკვევით ავუხსენი, რომ გერმანიის ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეა, ოღონდ კონკურენცია უნდა მიიღოს. მან მომისმინა, ჩემი გადაწყვეტილება მიიღო და ბოდიში მოიხადა იმ სიტყვებისთვის, რაც უელსთან და რუსეთთან მატჩებისთვის თქვა,"* - განუცხადა ლიოვმა პრესას შეხვედრის შემდეგ.

ბოდიშის მოხდისა და კონკურენციაზე დათანხმების შემდეგ, ლიოვმა ფრინგსს უთხრა, რომ მას ჩინებული შანსი აქვს, მსოფლიოს 2010 წლის მუნდიალზე ითამაშოს.

ფრინგსი: *„ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, რომ მე არ ვარ განსაკუთრებული ფეხბურთელი, რომელიც სხვებზე მეტი უფლებებით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდესგუნდში 78 მატჩი მაქვს ჩატარებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ უელსთან და რუსეთთან მატჩების შემდეგ ძალიან ვიყავი განაწყენებული. სამწუხაროდ, მაშინ ცხელ გულზე რამდენიმე ისეთი განცხადება გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. კონკურენცია ჩემთვის მისაღებია, ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არ ვითხოვ. ჩემი ადგილის მოსაპოვებლად თავდაუზოგავად ვიბრძოლებ. თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ სათადარიგოთა სკამის ხეხვა ჩემთვის იოლად ასატანი ნამდვილად არ არის."*

ტორსტენის მიზანი, რა თქმა უნდა, 2010 წლის მუნდიალზე თამაშია და თანაც, აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში. *„ჩემი ქვეყნის დროშის ქვეშ თამაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩემს შანსს აუცილებლად გამოვიყენებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზო. ეს ჩემი ოცნებაა,"* - აღნიშნა ბრემენელმა.

### იოგის არც ნოიერი ავიწყდება და არც ვიზე

დიდი შანსია, რომ 19 ნოემბერს, როცა გერმანიის ნაკრები ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს, ბუნდესგუნდის კარი არც **რენე ადლერმა** დაიცვას და არც **რობერტ ენკემ** (ეს უკანასკნელი სულაც ტრავმირებულია). იოახიმ ლიოვი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ ამ მატჩში სულ სხვა მეკარეს ან მეკარეებს მისცეს თავის გამოჩენის შანსი. იოგი: *„მე არც მანუელ ნოიერი (შალკე) მავიწყდება და არც ტიმ ვიზე (ვერდერი). მომდევნო მატჩებში ჩვენ ამ კიპერებსაც მივცემთ თავის გამოჩენის შანსს. ნოიერის და ვიზეს დიდი იმედი მაქვს. 2010 წლის მუნდიალისთვის ისინიც სერიოზული კანდიდატები არიან."*

### ლემანი გამოსათხოვარი მატჩის ღირსი არაა?

როგორც იცით, **იენს ლემანს** ძალიან უნდოდა, რომ ინგლისთან მატჩი მისი გამოსათხოვარი თამაში ყოფილიყო. მაგრამ ვეტერან მეკარეს, რომელმაც ბუნდესგუნდის კარი 2006 წლის მუნდიალზე და ევრო 2008-ზე დაიცვა, ამ თხოვნაზე ლიოვმა უარი უთხრა. ბუნდესმწვრთნელის ამ გადაწყვეტილებას თითქმის არავინ დაეთანხმა, გარდა ერთისა... რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ ვინ იზიარებს ლიოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლემანი გამოსათხოვარი მატჩის ღირსი არაა - რა თქმა უნდა, იენსის მტერი **ოლივერ კანი**.

*„ახლა დაიწყება ისევ მთელი ალიაქოთი იმაზე, იმსახურებდა თუ არა იენსი გამოსათხოვარ მატჩს,* - წუხს კანი, - *პირადად ჩემი აზრით, ლიოვმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. გერმანიის ნაკრების არც ერთ ფეხბურთელს, ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ოფიციალურ მატჩში აღარ უთამაშია. ცხადია, იენსი ღირსეულ გაცილებას იმსახურებს, რადგან ბუნდესგუნდისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ რატომ უნდა დავუშვათ მის შემთხვევაში გამონაკლისი? მაშინ რა ვუყოთ მომავალში ბალაკს, შვაინშტაიგერს და სხვებს? იქნებ უვე ზეელერიც დავაბრუნოთ მოედანზე, არც მას ჰქონია გამოსათხოვარი მატჩი!"*

თვითონ ოლის გამოსათხოვარი მატჩი სექტემბერში შედგა და მასში ერთმანეთს „ბაიერნი" და გერმანიის ნაკრები დაუპირისპირდნენ, მაგრამ ეს არ იყო ოფიციალური შეხვედრა. გერმანიის ნაკრების მენეჯერი ოლივერი ბირჰოფი ამბობს: მართალია, იენსი ჩემი მეგობარია, მაგრამ ასეთ გამონაკლისს ვერ დავუშვებდითო. ლემანის გამო წუხან ბუნდესგუნდის ფეხბურთელებიც.

**ბასტიან შვაინშტაიგერი:** *„სამწუხაროა, მაგრამ ეს მწვრთნელის გადაწყვეტილებაა და ჩვენც უნდა დავთანხმდეთ. პირადად მე ძალიან გამიხარდებოდა, ინგლისთან იენსი რომ გაგვეცილებინა. ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ბერლინში გაცილება ლემანისთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ იქნებოდა."* **მიროსლავ კლოზე:** *„იენსი ალბათ ძალიან ნაწყენია, მაგრამ გაგვიხარდება, თუ მატჩის დროს ჩვენთან ერთად იქნება."*

თვითონ ლემანმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა. შეგახსენებთ, რომ იენსმა ბუნდესგუნდის კარი 61 მატჩში დაიცვა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იოგი შანსს მანუელ ნოიერსაც მისცემს

შალკე

# ვესტერმანი 2015 წლამდე?

## გელზენკირხენელები ჰაიკოს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

ალარ ვიცით, რა ვუწოდოთ **ჰაიკო ვესტერმანს** - მცველი, ნახევარმცველი თუ თავდამსხმელი. ფაქტია, რომ „შალკესა" და გერმანიის ნაკრების 25 წლის ფეხბურთელს ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და თუ საჭირო გახდა, ალბათ კარშიც წარმატებით ჩადგება. ვესტერმანის უნივერსალურობა ამ სეზონში გამოჩნდა. ჰაიკო წარმატებით თამაშობს როგორც ფლანგზე, ასევე ცენტრში და რაც მთავარია, გნებავთ, დაცვაში, გნებავთ, ნახევარდაცვაში და გნებავთ, თავდასხმაში, სადაც ბავშობაში თამაშობდა და გოლები გაჰქონდა. შესაბამისად, გასაკვირი სულაც არაა, რომ მას უკვე არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდა.



ჰაიკო ვესტერმანი

ჰაიკოს „შალკესთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. იქამდე ჯერ კიდევ სამი წელია. მიუხედავად ამისა, გელზენკირხენული კლუბის შეფები მისი დაკარგვის პერსპექტივით ძალიან არიან შეშფოთებულები და „ბილდის" ინფორმაციით, ვესტერმანისთვის ახალი კონტრაქტი მოამზადეს, რომელსაც ვადა 2015 წლამდე ექნება. *„ცხადია, ჩვენ არ გვინდა, რომ ასეთი შესანიშნავი ფეხბურთელი დავკარგოთ. ვესტერმანი „შალკესთვის" ნატვრისთვალია. ბოლო დროს მან უდიდესი პროგრესი განიცადა და ჩვენც მზად ვართ, ახლავე შევთავაზოთ ახალი ხელშეკრულების გაფორმება,"* - აცხადებს „შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**.

ამ უკანასკნელმა ვესტერმანი „შალკეში" 2007 წელს გადაიყვანა. მაშინ „ხუმარებმა" ბილეფელდის „არმინიას" ჰაიკოს სანაცვლოდ 2.8 მილიონი ევრო ჩაუთვალეს. დღეს ვესტერმანის ფასი მინიმუმ 16 მილიონია. მეტსაც გეტყვით: ნომინალური მცველი, ფორვარდ **კევინ კურანისთან** ერთად, ამ სეზონში ჯერ-ჯერობით „შალკეს" საუკეთესო გოლეადორია. მიულერი: *„ჰაიკო იორგ ბიომეს უნდა უმადლოდეს. სწორედ მან ურჩია, „შალკეში" გადადიო. მართალია, ყოველთვის მჯეროდა, რომ ვესტერმანი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამას ასე მალე შეძლებდა."*

როდესაც ჰაიკო პირველად გამოიძახეს ბუნდესგუნდში, „შალკეში" ხელფასი მოუმატეს. იმ შემთხვევაში, თუ ჰაიკო მიულერის წინადადებას დათანხმდება და ხელშეკრულებას 2015 წლამდე გააგრძელებს, მისი ყოველწლიური ჯამაგირი 3 მილიონ ევრომდე გაიზრდება. ამდენს „შალკეში" დღესდღეობით მხოლოდ კურანი და **ჯეფერსონ ფარფანი** იღებენ...

ჰოფენჰაიმი



სეიად სალიჰოვიჩი ჰოფენჰაიმში რჩება

# სალიჰოვიჩი ჰოფეს ერთგულია!

## მაგალითი სხვა ფეხბურთელებისთვის

„ჰოფენჰაიმის" ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს, ფლეიმეიქერ **სეიად სალიჰოვიჩს** არაერთი მთხოვნელი ჰყავდა. გარდა რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბისა, მას დორტმუნდის „ბორუსიაში", ბერლინის „ჰერტაში" და ლევერკუზენში ეპატიჟებოდნენ, მაგრამ 23 წლის ბოსნიელმა ნახევარმცველმა „ჰოფენჰაიმში" დარჩენა გადაწყვიტა და კლუბთან, რომელიც ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს, კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა.

*„სეიადი შესანიშნავი მაგალითია სხვა მოთამაშეებისთვის, რომლებსაც ასევე გამოუჩნდნენ მთხოვნელები. სალიჰოვიჩი ჩვენს გუნდს რეგიონალლიგიდან მოჰყვება და ასი პროცენტით დარწმუნებული გახლდით, რომ სხვაგან წასვლას არ მოისურვებდა. პირადად ჩემთვის, ისევე როგორც მთავარი მწვრთნელისთვის და გუნდის მფლობელ დიტმარ ჰოპისთვის, „ჰოფენჰაიმი" სალიჰოვიჩის გარეშე წარმოუდგენელია,"* - აცხადებს „ჰოფეს" გენერალური მენეჯერი **იან შინდელმაიზერი**.

სალიჰოვიჩს ამ სეზონში 11-ივე მატჩში აქვს მონაწილეობა მიღებული და 4 გოლითა და 6 საგოლე პასით გამოირჩა, რის შემდეგაც მთხოვნელების რიგი დაუდგა. *„მე ამ გუნდს ძალიან ვემადლიერები და თანაც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე „ჰოფენჰაიმზე" უკეთეს გუნდში ნამდვილად ვერ მოხვდები, თუნდაც ეს მადრიდის „რეალი" იყოს. შესანიშნავი შანსი მაქვს, რომ რალფ რანგნიკის ხელში ბევრი რამ ვისწავლო,"* - ეს სალიჰოვიჩის სიტყვებია. სეიადი „ჰოფეში" 2006 წელს „ჰერტადან" გადავიდა. იმხანად „სოფლელები" რეგიონალლიგაში თამაშობდნენ. სალიჰოვიჩს „ჰოფეს" მაისურით 57 თამაშში 16 გოლი აქვს გატანილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# კალდერონს ფლორენტინოსთან შეხვედრა ელის

## ორი პრეზიდენტი ერთმანეთის დაკნინებას შეეცდება

წუხელ **რამონ კალდერონმა** მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაახმაურა. მიმდინარე წლის 7 დეკემბერს მადრიდის "რეალის" საზოგადოების წევრთა ასამბლეა გაიმართება. სამეფო კლუბის საზოგადოება ესპანური გრანდის ცხოვრებას დიდწილად განაპირობებს. გუნდის პრეზიდენტს სწორედ ამ საზოგადოების წევრები ირჩევენ ხოლმე, თუმცა მისი ფუნქცია მხოლოდ არჩევნებით არ შემოიფარგლება. უკვე არჩეულმა პრეზიდენტმა წელიწადში ერთხელ ასამბლეა უნდა მოიწვიოს და ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბაროს. სხვათა შორის, საზოგადოების წევრებში ყოფილი პრეზიდენტებიც გვხვდებიან. ამის გათვალისწინებით, 7 დეკემბერს რამონ კალდერონს **ფლორენტინო პერესთან** ფრიად უსიამოვნო შეხვედრა ელის. წინასწარვე გაცხადდა, რომ სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ამჟამინდელ უმაღლეს ხელისუფალს ოპონენტის როლში მოევლინება და იმის დამტკიცებას შეეცდება, რომ სენიორ კალდერონის მოღვაწეობა ტოტალურად წარუმატებელია. პერესის აზრით, ორი საჩემპიონო ტიტული არაფერზე მეტყველებს, მის დროს ხომ "რეალმა" ჩემპიონთა ლიგა ორჯერ დაიპყრო. მას შემდეგ ეს ოცნება მიუწვდომელია და ბატონი ფლორენტინო სწორედ ამ უსიამოვნო ფაქტზე აპელირებით აპირებს ოპონენტის დაკნინებას.



ფლორენტინო პერესი რეალის ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებს

კალდერონმა თადარიგი აქედანვე დაიჭირა და პერესზე ასეთი რამ თქვა: *"ფლორენტინოს ნახვა ნამდვილად არ გამახარებს, მაგრამ ის "რეალის" სოსიოა და მოთმინება მმართებს. ვიცი, პერესი ჩემს გასაკრიტიკებლად ემზადება, მაგრამ უსაფუძვლო ბრალდებების მოგერიება არ გამიჭირდება. მისი შეცდომების გამო "რეალი" სერიოზულ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა. ამ კრიზისის ავბედითი შედეგების აღმოფხვრა მე და ჩემს მეგობრებს მოგვიხდა. ჩვენი სწორი და დაუღალავი მუშაობის წყალობით ყველა ვალი გავისტუმრეთ და სოლიდური მოგებაც მივიღეთ. აი, ეს არის სწორი მენეჯმენტი და არა ის, რასაც ფლორენტინო პერესი აკეთებდა. ის გაუცნობიერებელ პოლიტიკას აწარმოებდა, გუნდს ეგრეთ წოდებული გალაქტიკოებით ავსებდა და ბიუჯეტს ძირს უთხრიდა. მადლობა ღმერთს, ხელისუფლებაში ჩვენ მოვედით და გუნდი გაკოტრებას გადავარჩინეთ."*

ილია ნიკოლაიშვილი

არგენტინა

# მარადონა საქმეს შეუდგა

გუშინდელ ნომერში გაუწყებდით, რომ **დიეგო მარადონა** ოფიციალურად დაინიშნა არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ის საქმეს უკვე შეუდგა და დაასახელა იმ ლეგიონერთა ვინაობა, ვისაც შოტლანდიასთან შეხვედრაში დაეყრდნობა. მან გამოიჩინა სულგრძელობა და პატივი სცა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასა და "ბარსელონას" შორის გაფორმებულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, **ლიონელ მესი** ნაკრების საკონტროლო შეხვედრებში გამოძახებული არ იქნება. მის სიაში ვარსკვლავი მართლაც არ ფიგურირებს. "როიტერის" ინფორმაციით, არგენტინის ნაკრების იმ წევრთა სია, რომლებიც ადგილობრივ ჩემპიონატში გამოდიან, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

**მეკარეები** - ხუან პაბლო კარისო (ლაციო), სერხიო რომერო (ალკმაარი);

**მცველები** - ნიკოლას ბურდისო (ინტერი), ფაბრიციო კოლიჩინი (ნიუკასლი), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), დანიელ დიასი (ხეტაფე), გაბრიელ ჰაინცე (რეალი), ხავიერ ძანეტი (ინტერი);

**ნახევარმცველები** - ანხელ დი მარია (ბენფიკა), ფერნანდო გაგო (რეალი), ლუჩო გონსალესი (პორტუ), ხონას გუტიერესი (ნიუკასლი), ხავიერ მასკერანო (ლივერპული), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), ხოსე ერნესტო სოსა (ბაიერნი);

**თავდამსხმელები** - სერხიო აგუერო (ატლეტიკო), ხერმან დენისი (ნაპოლი), ესეკილ ლავესი (ნაპოლი), ლეანდრო ლოპესი (პორტუ), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი).

შალვა ბიბილაშვილი

ამბები

## ნესტა კარიერას ასრულებს?

**ალესანდრო ნესტა** ტრავმებმა გატანჯეს და არაა გამორიცხული, უახლოეს პერიოდში კარიერის დასრულებამაც მოუწიოს, - იუწყება იტალიური „ლა სტამპა". „მილანის" უკანახაზელმა ბოლო წლებში დროის უდიდესი ნაწილი მკურნალობაში გაატარა, ვითარება არც წლეულს შეცვლილა. ერთი ხანობა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნესტა მოედანს სულ მალე დაუბრუნდებოდა, თუმცა ეს ამბავი რეალობისგან შორს ყოფილა. ალესანდრო რამდენიმე დღის წინ ფლორიდაში გაფრინდა, იქ მას დეტალურ გამოკვლევას ჩაუტარებენ და დადგინდება, საჭიროებს თუ არა ფეხბურთელი ოპერაციას. თუ ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნესტა მოედანს ველარ დაუბრუნდება. საქმე ისაა, რომ იტალიის ნაკრების ყოფილ მცველს წელის ქრონიკული ტრავმა აქვს და ნაოპერაციევზე, სარეაბილიტაციო კურსს გაცილებით დიდი დრო სჭირდება, ვიდრე ნებისმიერი სირთულის ფეხის ტრავმის დროს. ამჟამად ფეხბურთელი მაიამიშია, რამდენიმე დღეში ანალიზის პასუხი გახდება ცნობილი, რომელიც შესაძლოა ალესანდრო ნესტას საფეხბურთო კარიერისთვის ფატალურიც გამოდგეს.

## დე ბიაზი ოპტიმისტია

მიმდინარე სეზონში ძალიან ცუდად ასპარეზობს „ტორინო". გუნდი სერია A-ში თამაშს თამაშზე აგებს და სატურნირო ცხრილში მე-16 პოზიციაზეა გამაგრებული. ერთ-ერთი უძველესი იტალიური გუნდის ტიფოზები მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას ითხოვენ და ხშირად პროტესტს ხმაურიანადაც გამოხატავენ. ვითარების განსამუხტავად პრესასთან საუბარი „ტორინოს" მთავარმა მწვრთნელმა **ჯანი დე ბიაზიმ** მოისურვა და გუშინ ბრიფინგიც გამართა. აქვე მის ნააზრევს მცირე შემოკლებით გთავაზობთ: *„ასეთი წარუმატებელი სტარტით ყველანი იმედგაცრუებულნი ვართ, მაგრამ ვითარების დრამატიზება საჭირო არაა. გუნდი თანდათან პოულობს თავის თამაშს და წესით, უახლოეს მომავალში გამარჯვებებმაც არ უნდა დააყოვნოს. გავიხსენოთ სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრა, „სამპდორიას" არაფერი დავუთმეთ, რიგ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც და სადაც სამართალია, სამი ქულაც უნდა აგველო. მაგრამ, ფორტუნამ ზურგი გვაქცია და სულაც დავმარცხდით. მთავარია, ენთუზიაზმი არ დავკარგოთ, მოვინდომოთ და შედეგი არ დააყოვნებს".*

ლაშა წიკლაური

მანჩესტერ იუნაიტედი

# ჰარგრივსს მორიგი ოპერაცია სჭირდება

## ფერგიმ ნახევარდაცვის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა, ის პორტსმუთის ფრანგ ლეგიონერს აკვირდება...



ოუენ ჰარგრივსი

სეზონის დასრულების შემდეგ "იუნაიტედი", სერ **ალექს ფერგიუსონის** ინიციატივით, **კრისტიანო რონალდოს** გაუმჯობესებულ ხელშეკრულებას შესთავაზებს. მასში პორტუგალიელისთვის ანაზღაურების გაზრდაა გათვალისწინებული. ახლა კვირაში ის 120 ათას გირვანქას იღებს, ხოლო ახალი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში თანხა 150 ათასამდე გაიზრდება, გვამცნობს "ნიუს ოფ ზე ვორლდი". *"რონალდოს წასვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. კალდერონი ძალზე თავდაჯერებული აცხადებს, რომ პორტუგალიელს აუცილებლად გადაიბირებს. მოხარული ვარ, რომ ამ ზაფხულს კრისტიანომ ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ჩვენთან დარჩა,"* – თქვა ფერგიუსონმა.

ამასობაში შემაშფოთებელი ცნობა გავრცელდა **ოუენ ჰარგრივსის** შესახებ. ფერგის იმედი ჰქონდა, რომ ის უახლოეს ტურებში ითამაშებდა. მაგრამ როგორც გაირკვა, ჰარგრივსი მუხლზე მორიგ ოპერაციას საჭიროებს. ეს კი დამატებით ექვსთვიან შვებულებას ნიშნავს. ოუენისათვის მიმდინარე სეზონი ფაქტობრივად დასრულებულია. ფეხბურთელი აპრილის შუა რიცხვებამდე ბურთს ვერ გაეკარება.

ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება "ალისფერი ეშმაკების" კიდევ ერთი ცენტრალური ნახევარმცველი, ვეტერანი **პოლ სქოულზიც. ალექს ფერგიუსონს** ნახევარდაცვის ცენტრში ხალხი შემოაკლდა. აქედან გამომდინარე, მენეჯერებმა ახალი ფეხბურთელის შეძენაზე დაიწყეს ფიქრი. შოტლანდიელის მზერა "პორტსმუთისა" და საფრანგეთის ნაკრების საყრდენმა **ლასანა დიარამ** მიიპყრო. 23 წლის ფეხბურთელი ხარივით ჯანმრთელია და "ოლდ ტრეფორდზე" სათამაშოდ კლასიც ჰყოფნის. ფერგიუსონი მზადაა, მის სანაცვლოდ 15 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

შალვა ბიბილაშვილი

ვარსკვლავი

# შევჩენკოს მილანში დარჩენა სურს

## ანდრეიმ, ჩელსის ლოგოსთვის არ მიკოცნიაო

მიმდინარე სეზონში „მილანი" შესანიშნავად ასპარეზობს და სრულიად დამსახურებულად უკავია სერია A-ში პირველი ადგილი. ამ წარმატებებში არცთუ დიდი წვლილი მიუძღვის **ანდრეი შევჩენკოს.** ის „როსონერიში" გასულ ზაფხულს დაბრუნდა და ჯერჯერობით ვერაფრით გამოიჩინა თავი. იტალიელი ჟურნალისტი უკრაინელს „მილანელოში" ესტუმრა და რამდენიმე საკითხზე ჩამოუგდო სიტყვა, მათ შორის სამომავლო გეგმებზე. გთავაზობთ სახელდახელო ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ნაწყვეტებს:

*„რა დასამალია და, მილანში გაცილებით უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ვიდრე ლონდონში. „როსონერიში" გადმოსვლით თითქოს სახლში დავბრუნდი. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ გულშემატკივრებმა ძალიან კარგად მიმიღეს და ჩემს მიმართ უდიდესი სითბო გამოხატეს. აქვე მადლობას ვუხდი ინგლისელ ქომაგებს, რომლებიც ასევე კარგად იყვნენ ჩემს მიმართ განწყობილნი და მუდმივად მხარში მედგნენ..."*

*„ძალიან მწყინს, როდესაც ვკითხულობ ან ვისმენ იმაზე, თითქოს „ჩელსის" რიგებში პირველი გოლის გატანისას მაისურზე გამოსახულ კლუბის ლოგოს ვაკოცე. კარგად მახსოვს ეს შეხვედრა. გოლი „ლივერპულს" გავუტანე, რის შემდეგაც თანაგუნდელების გარემოცვაში აღმოვჩნდი. შეგიძლიათ ნახოთ ეს კადრები. მე ლოგოსთვის არ მიკოცნია, უბრალოდ, მაისური ხელით მოვქაჩე და თავი ქვემოთ დავხარე. „ჩელსის" და მისი გულშემატკივრების მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად ვერ გავაკეთებდი, ეს სრული აბსურდია..."*

*„ჩემი მიზანია, კარიერის ბოლომდე „მილანში" ვითამაშო. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და არსად წასვლას აღარ ვაპირებ. მართალია, დღემდე „ჩელსის" საკუთრება ვარ და „როსონერიში" მხოლოდ იჯარის წესით ვთამაშობ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მსურს, მილანში დავრჩე და გუნდის წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო. ჯერჯერობით ოპტიმალური ფორმისგან შორს ვარ, თუმცა ბევრს ვვარჯიშობ და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში საუკეთესო თვისებებს გამოვავლენ..."*

ლაშა წიკლაური



ანდრეი შევჩენკო მილანს თავიდან ეჩვევა



ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# ვენგერი სტოკელი კურდღლების წინააღმდეგ

## უოლკოტი მანჩესტერ იუნაიტედთან მაინც ითამაშებს...



სტოკ სიტისთან მატჩისას თეო უოლკოტის არაერთხელ ეუხეშნენ

1 ნოემბერს, პრემიერლიგის მე-11 ტურში, "სტოკ სიტი"-"არსენალის" შეხვედრაში 27 ათასმა გულშემატკივარმა შესანიშნავი თამაში იხილა. "მეთოფეებმა" პრემიერლიგის დებიუტანტებთან ფარ-ხმალი დაყარეს, 2:1. **არსენ ვენგერი** მიიჩნევს, რომ მასპინძელი ფეხბურთელები განგებ გადადიოდნენ სიხისტის ზღვარს, რადგან სურდათ, ფავორიტი ბინძური მეთოდით დაემარცხებინათ. სტუმართაგან **თეო უოლკოტი** და **ემანუელ ადებაიორი** დაშავდნენ. "*ჩემი ფეხბურთელები მამაცი კაცები არიან. ამაში "სტოკთან" შეხვედრაში დავრწმუნდი, რადგან სხვანაირად ვერ ითამაშებ ისეთ გუნდთან, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში სულ არ აინტერესებს ბურთი, მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, გამოიყვანოს მწყობრიდან მეტოქის ლიდერები. ვერ დავიჯერებ, ვინმე იმდენად გულუბრყვილო იყოს, კიდევ სჯეროდეს, რომ თეოსა და ემანუელის ეპიზოდებში მასპინძლები ბურთისთვის იბრძოდნენ. გარწმუნებთ, ჩემს ფეხბურთელებს ტრავმები წინასწარი განზრახვით მიაყენეს. ჩემთვის მამაცი ფეხბურთელი ნიშნავს ბრძოლისთვის გულანთებულ მოთამაშეს, ვინც მინდორზე სათამაშოდ გამოდის, ხოლო ის, ვინც მეტოქის დასახიჩრებას აპირებს და არა მასთან თამაშს, უბრალოდ, მშიშარა კურდღელია,*" – განუცხადა ფრანგმა სპეციალისტმა ბრიტანულ პრესას.

ვენგერის განცხადებას BBC-ით გუშინვე გამოეხმაურა "სტოკის" პრეზიდენტი **პიტერ კოუტსი**. გთავაზობთ მის პასუხს "არსენალის" თავკაცისადმი: "*გულნატკენი ვარ ვენგერის ასეთი გამონათქვამით. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მკაცრ შეფასებას არ ვიზიარებ, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ არ ვართ ისეთი გუნდი, როგორიც მან დაგვხატა. დარწმუნებული ვარ, ჩვენს არც ერთ მოთამაშეს წინასწარი განზრახვით უხეშად არ უთამაშია. სამწუხაროა, რომ ისეთი პატივსაცემი ადამიანი, როგორიც ვენგერია, ასეთ არაეთიკურ შეფასებას აკეთებს. ეტყობა, მან სხვა თამაშს უყურა. მე, გულშემატკივრებსა და მსაჯს მის მიერ აღწერილი მძიმე სურათი არ გვინახავს.*"

სტოკის "ბრიტანიაზე" გადატანილი ომის შემდეგ "არსენალს" არანაკლები ბრძოლა ელის: შაბათს, 8 ნოემბერს, "ემირიტსს" "მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრობს. სასიამოვნოა, რომ ამ დღისთვის გუნდს დაუბრუნდება უოლკოტი, რომლის რამდენიმე კვირით გამოკლება ვენგერს უკვე გამოგლოვილი ჰქონდა. საბედნიეროდ, მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. გუნდს დაუბრუნდება ასევე კაპიტანი **ვილიამ გალასიც**, რომელმაც "ტოტენჰემთან" გამართულ თრილერში მიიღო მცირე დაზიანება და ბოლო ტურში არ უთამაშია. როდის დაუბრუნდება მინდორს ადებაიორი, ეს ჯერ გარკვეული არ არის.

ტოგოელის არყოფნაში ძირითადში თამაში ალბათ 20 წლის დანიელ **ნიკლას ბენდტნერს** მოუწევს. ის, ჯერჯერობით, არ არის ადებაიორის სრულფასოვანი შემცვლელი, ამიტომ თანაგუნდელთა მხარდაჭერა უფრო მეტადაც კი დასჭირდება, ვიდრე მის უფროს მეგობარს. დანიელმა უეფა ა საიტზე თანაგუნდელთა სახელით იმედიანი განცხადება გააკეთა: "*აუცილებელია, მალე დავივიწყოთ "სტოკთან" ნაწნევი მარცხი. საჭიროა, გადავეწყოთ და ისე ვითამაშოთ, როგორც გვჩვევია. ჩვენ ვიცით, რაც შეგვიძლია. ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და გამარჯვებულის განწყობა დავიბრუნოთ,*" – განაცხადა ბენდტნერმა.

აქვე მოკლედ მოგახსენებთ "არსენალის" სატრანსფერო მიზნების შესახებაც. არსენ ვენგერი **მანუელ ალმუნიას** ძალიან დიდი ხანი ბრმად ენდობოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს 31 წლის მეკარის თამაშში რეგრესი შეინიშნება. შესაბამისად, გუნდს კვალიფიციური მეკარის შეძენა აინტერესებს. არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ გუნდის თავკაცმა ყურადღება, პირველ რიგში, ფრანგულ სატრანსფერო ბაზარს მიაპყრო. "ფიფლის" ცნობით, ზამთარში "არსენალი" "პარი სენ ჟერმენისა" და საფრანგეთის ნაკრების გოლკიპერ **მიკაელ ლანდროს** შეიძენს. თუ გარიგება იანვარში არ შედგა, ის აუცილებლად განხორციელდება მომავალი წლის გაზაფხულისთვის. გარდა ლანდროსი, ვენგერს სამიზნეში ჰყავს "ნიუკასლის" ირლანდიელი კარის დარაჯი **შეი გივენი**. "მეთოფეები" ერთ-ერთ მათგანს აუცილებლად შეიძენენ.

"ნიუს ოფ ზე ვორლდის" ცნობით, ლონდონელებს განზრახული აქვთ, "ევერტონს" რამდენიმე მილიონი ევრო შესთავაზონ 17 წლის უნიჭიერეს განაპირა მცველ **ჯეკ როდუელში**. ის 1991 წელსაა დაბადებული და სიმაღლით 188 სმ-ია. სწორედ ჯეკი გახლავთ "ევერტონის" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც ევროთასებზე ითამაშა. ეს 2007-2008 წლების სეზონში, უეფას თასის შეხვედრაში მოხდა. 2007 წლის 20 დეკემბერს ჯეკი 16 წლისა და 284 დღისა გახლდათ.

ჩელსი

# სკოლარი იანვარს ელოდება

მოგეხსენებათ, "ტოტენჰემმა" სეზონის დაწყებამდე "ბარსელონიდან" მექსიკელი ამომავალი ვარსკვლავი **ჯოვანი დოს სანტოსი** გადმოიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ "მამლები" ფეხბურთელს სათანადოდ ვერ იყენებენ. პრემიერლიგის 11 ტურში მან მხოლოდ ორჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში, ხოლო შეცვლაზე ოთხჯერ შევიდა. "დეილი სტარის" მტკიცებით, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** განზრახული აქვს, ფეხბურთელი უკვე ზამთრის სატრანსფერო პაუზისას გადაიბიროს. მოგეხსენებათ, ჯოვანის ბრაზილიური ფესვები აქვს, ფეხბურთელის მამა 70-80-იანი წლების ვარსკვლავი **ზიზინიოა**. მისი ფასი, სავარაუდოდ, 12-დან 15 მილიონ ევროზე იქნება. "ტოტენჰემის" ბოს **დენიელ ლევის** ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

გარდა ჯოვანისა, "არისტოკრატებს" "სევილიიდან" **ლუიშ ფაბიანოს** გადაბირების სურვილი კლავთ. ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელის შეძენაც იანვარში იგეგმება. 28 წლის ფეხბურთელი წლეულს ისე შთამბეჭდავად ვერ ასპარეზობს, როგორც მისგან ითხოვენ, მის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში სულ რაღაც ორი გოლია. ამის მიუხედავად, ესპანური გუნდი მასთან განშორებას მაინც არ აპირებს.

**რომან აბრამოვიჩმა** უარი თქვა იანვრისთვის სერიოზული თანხების გამოყოფაზე. ამიტომ, თუკი სკოლარის გულით სურს თანამემამულის შეძენა, მას "ზედმეტ" ფეხბურთელებთან განშორება მოუწევს. შეგვიძლია პირდაპირ გვარები დაგისახელოთ იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც "ჩელსიში" პრაქტიკულად უფუნქციოდ არიან დარჩენილნი. მაგალითად - **უეინ ბრიჯი** (3 თამაში), **ბრანისლავ ივანოვიჩი** (2), **პაულუ ფერეირა** (3).



ლუიშ ფელიპე სკოლარი

მანჩესტერ სიტი

# ადრიანო სიტიში?

## პეტროვი ისვენებს, ჰიუზი დიდი ტრანსფერებისათვის ემზადება



ადრიანოს ინგლისში ელოდებიან

"მანჩესტერ სიტი" ბულგარელ **მარტინ პეტროვს** უახლოეს თვეებში ვერ დაიხმარს. ნახევარმცველი მენისკის პრობლემამ შეაწუხა. "*მარტინს ესპანეთში ალბათ ოპერაციის გაკეთება დასჭირდება. ვცდილობდით, მკურნალობის პროცესში აღმდგენი ვარჯიშებისა და ფიზიოთერაპიის კურსს დავეჯერებოდით, მაგრამ არ გამოვიდა. როგორც ჩანს, ქირურგიული ჩარევა გარდაუვალი გახდება*, - განაცხადა "ქალაქელთა" თავკაცმა **მარკ ჰიუზმა** – *მისი მკურნალი ქირურგი ტრავმას კიდევ ერთხელ ნახავს და საბოლოო დიაგნოზს დასვამს, ღირს თუ არა ჩვენ მიერ დაწყებული მკურნალობის გაგრძელება. "სიტის" ექიმებს ამის იმედი აღარ აქვთ. თუკი ოპერაცია ჩატარდა, მარტინისთვის სეზონი ამით მაინც არ დასრულდება, თუმცა დიდი ხანი კი გამოგვაკლდება. სავარაუდოდ, პეტროვი 3-4 თვის განმავლობაში ვერ დაგვეხმარება*". შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი უკვე კარგა ხანია, გუნდს არ დახმარებია, მას მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი შეხვედრა აქვს ჩატარებული.

სეზონის დასაწყისში "მანჩესტერ სიტის" ამბიციურ სატრანსფერო გეგმებზე ბევრს ლაპარაკობდნენ. პრესაში აჟიოტაჟი უკვე ჩაცხრა, მაგრამ კლუბის არაბი მესაკუთრეები საკუთარი განცხადებების უკან წაღებას არ აპირებენ. შეიხი **მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი** უახლოესი სატრანსფერო ფანჯრისთვის სოლიდური თანხის დახარჯვას გეგმავს. გუნდის აღმასრულებელი დირექტორიც არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან გახლავთ, მისი სახელია **ხალდუუნ ალ მუბარაქი**. სავარაუდოა, რომ პირველი სამიზნე ბრაზილიის ნაკრების 26 წლის ფორვარდი **ადრიანო** გახდება. თქვენ მშვენივრად იცით, რომ სამხრეთამერიკელს **ჟოზე მოურინიოსთან** რთული ურთიერთობა აკავშირებს და მისი გასხვისებაც ამიტომ არის სავარაუდო. ფეხბურთელს მანჩესტერში ბრაზილიის ნაკრების სხვა წევრებიც დახვდებიან: **ჟო**, **რობინიო** და **ელანო**.

ვარსკ[illegible]



დევიდ ბექჰემი იტალიაში გასამგზავრებლად მზადაა

# ბექჰემს მილანთან ხანგრძლივი კონტრაქტი უნდა

იტალიური "კალჩომერკატო" ამტკიცებს, რომ "ლოს ანჯელეს გალაქსის" ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემი** "მილანთან" საიჯარო კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ სრულფასოვანი ხელშეკრულების დადებას გეგმავს, თანაც ორი წლით. ბექჰი "მილანელოზე" 7 იანვარს უნდა გამოცხადდეს და გუნდში მარტის შუა რიცხვებამდე დარჩეს. ეროვნულ გუნდში ძირითად შემადგენლობაში ბრძოლისთვის მას ძლიერ გუნდში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რასაც "გალაქსიზე" ვერ ვიტყვით. ზედიზედ მეორე წელია, ეს კლუბი ამერიკული ლიგის პლეი ოფს მიღმა რჩება. ამავე თემას ეხება "დეილი მირორიც", რომელიც ამტკიცებს, რომ "სფაის ბოის" სურს, შეთანხმება დადოს ამერიკელებთან, რომ 2010 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე 6 თვით ადრე მას ხელმეორედ გაანათხოვრებენ "მილანში".

ამბები

# ჩავი კამპ ნოუზე რჩება

"ბარსელონის" ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ჩავი ერნანდესმა ჩიკი ბეგირისტაინთან** შეთანხმებას, კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე, უკვე მიაღწია. ფეხბურთელი ხელფასის სახით წელიწადში 7 მილიონ ევროს ითხოვდა, რასაც გუნდის მენეჯერი არ ეთანხმებოდა. საბოლოოდ სენიორ ჩიკიმ ვარსკვლავის ლოგიკური მოთხოვნა გაითვალისწინა. სწორედ ასეთ ხელფასს იღებენ კატალონიელთა ვარსკვლავები, **სამუელ ეტოო** და **ტიერი ანრი**. გუნდში და საერთოდ პრიმერა დივიზიონში კი, **რონალდინიოს** "მილანში" გადასვლის შემდეგ, ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად **ლიონელ მესი** ითვლება. მას **ჟოან ლაპორტას** კანტორა წელიწადში 10 მილიონ ევროს უხდის.

"ბარსელონის" მეორე წამყვანმა ნახევარმცველმა **ანდრეს ინიესტამ** სერიოზული ტრავმა მიიღო და გუნდს თვე-ნახევრით დააკლდება. მან დაზიანება გუშინწინ, "ბაზელთან" შეხვედრაში მიიღო და იძულებული გახდა, 67-ე წუთზე შეცვლა ეთხოვა. მის ნაცვლად თამაშში ეტოო ჩაერთო. **პეპ გვარდიოლამ** მომხდარის გამო შეშფოთება ვერ დამალა.

# ნიუკასლს ეშველა?

ინგლისში **კიტ ჰარისის** სახელი და გვარი საკმაოდ პოპულარულია. 80-იან წლებში მას 8 წლის განმავლობაში პოპულარული სატელევიზიო პროგრამა მიჰყავდა. ამის შემდეგ ჰარისის პერსონა დავიწყებას არ მისცემია. კი მაგრამ, რაში გვაინტერესებს მავანი ბრიტანელი შოუმენი? სწორედ ჰარისი იყო შუამავალი **რენდი ლერნერის** მიერ "ასტონ ვილისა" და **ტაქსინ შინავატრას** მიერ "მანჩესტერ სიტის" შეძენის დროს. ახლა ის **მაიკ ეშლის** "ნიუკასლის" გაყიდვაში ეხმარება.

ამ დღეებში ბრიტანულმა წყაროებმა "კაჭკაჭების" მომავალთან დაკავშირებით მისი კომენტარი გაავრცელეს. აი, რას აცხადებს ზემოთ ხსენებული ადამიანი: "*ორი საკმაოდ სერიოზული წინადადება მივიღეთ, რომელთაც ახლა ვიხილავთ. სიმართლე გითხრათ, დღეს მსოფლიოში შექმნილი კრიზისის პირობებში ძნელია, ასეთი ძვირადღირებული გარიგების დადება, მაგრამ ჩვენ ამას მაინც ვახერხებთ. იანვრისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება*". მიუხედავად გულითადი თხოვნისა, ჰარისმა პოტენციურ მყიდველთა დასახელება არ ისურვა. ეს ინვესტორთა კატეგორიული მოთხოვნა ყოფილა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ტყვიის სროლა



ნინო სალუქვაძე

# ოლიმპიადის გამეორებამდე ცოტა დააკლდა

**ნინო სალუქვაძემ** ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მსოფლიოს თასის ფინალში (ანუ მსოფლიოს სუპერთასზე) იასპარეზა. მას სულ ცოტა დააკლდა ოლიმპიური შედეგის (მესამე ადგილი) გამეორებამდე. სეზონის დამაგვირგვინებელ შეჯიბრებაში მხოლოდ მსოფლიოს თასის ეტაპების მიხედვით რჩეულებსა და ოლიმპიურ პრიზიორებს შეეძლოთ ასპარეზობა. პეკინში 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში ბრინჯაოს მედალოსანმა სალუქვაძემ ბანგკოკში მხოლოდ ამ დისციპლინაში იასპარეზა, რადგან 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში ბანგკოკის საგზური მსოფლიოს თასის ეტაპების მიხედვით ვერ მოიპოვა.

სწორედ ქალთა და ვაჟთა შეჯიბრება 10 მ. დისტანციიდან სროლაში აგვირგვინებდა ბანგკოკის ტურნირს. მოგეხსენებათ, ბანგკოკში მხოლოდ რჩეულები მოხვდნენ, ასე რომ, საკვალიფიკაციო ბრძოლებში 10 სპორტსმენი ჩაერთო. მათ შორის იყო ოლიმპიური ჩემპიონი, ჩინელი **ვენიუნ გუო**, მაგრამ არ იყო ვერცხლის მედალოსანი, რუსი **ნატალია პადერინა**. საკვალიფიკაციო სროლებში ნინომ 96, 96, 94 და 98 შედეგი აჩვენა. ქართველმა მსროლელმა ჯამში 384 ქულა დააგროვა და წინ მხოლოდ ორი სპორტსმენი გაუშვა: ფრანგი **სტეფანი ტიროდე** (389) და ჩინელი **იე რენი** (389). სხვათა შორის, ოლიმპიურმა ჩემპიონმა გუომაც 384 ქულა დააგროვა, მაგრამ ნინო უკეთესი ცდის (98, გუოს მაქსიმალური 97 იყო) წყალობით მესამე ადგილზე იყო. გთავაზობთ ნინო სალუქვაძის ფინალური სერიის შედეგებს: 9,9-9,8-9,4-9,8-10,4-9,2-10,0-9,7-9,3-10,5. ჯამში 98 ქულა დაგროვდა, რაც მაინცდამაინც კარგი შედეგი ვერ იყო. ფინალში ყველას გუომ აჯობა – 100,6 ქულა. მის თანამემამულე **რენს** 99,9 შედეგი ჰქონდა, ხოლო იტალიელ **მიკელა სუპოს** – 98,8. ნინოზე უკეთ ფინალში ტაივანელმა **ჩია ჩენ ტიენმაც** ისროლა – 98,2 ქულა.

საბოლოოდ, ჩვენი თანამემამულე 482,0 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა და კვარცხლბეკის მიღმა დარჩა. მსოფლიოს სუპერთასის გამარჯვებული კი ჩინელი იე რენი გახდა 488,9 ქულით. მეორე ადგილზე სტეფანი ტიროდე გავიდა - 486,5, მესამეზე- ოლიმპიური ჩემპიონი ვენიუნ გუო – 484,6. სხვათა შორის, ეს ტურნირი ნინო სალუქვაძემ წარსულში 7-ჯერ მოიგო, ბოლოს - 2004 წელს, მაშინაც შეჯიბრება ბანგკოკში გაიმართა. 1989 წელს ნინომ (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახელით) დუბლი შეასრულა – 10 და 25 მეტრიდან სროლაში იმარჯვა. დუბლი 1993 წელსაც გაიმეორა. ორივეჯერ მსოფლიოს სუპერთასი მიუნხენის სასროლეთში გაიმართა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ 1993 წელს სალუქვაძე უკვე საქართველოს სახელით ასპარეზობდა. მსოფლიოს სუპერთასი ნინოს 1990 და 1999 წლებშიც აქვს მოგებული. მან ერთხელ მეორე ადგილი დაიკავა, ოთხჯერ კი – მესამე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა

ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

# ახალი სეზონისთვის უკვე ვემზადებით

პეკინის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა არდადეგებიც მოილიეს და კვლავ ხალიჩას დაუბრუნდნენ - მონდომებით ემზადებიან მორიგი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის. ნოემბერში ეროვნული ნაკრებისთვის საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება იგეგმებოდა, მაგრამ „კლასიკოსებმა" შინ ვარჯიშები არჩიეს.

**გვესაუბრება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია:**



- ამ ეტაპზე პარიზში წასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან ეროვნული გუნდის ბირთვი ჩამოუყალიბებელია; ოლიმპიადის შემდეგ ბიჭები ისვენებდნენ და ახლახან განაახლეს წვრთნა. ჩვენმა მთავარმა დამრტყმელმა ძალამ - რამაზ ნოზაძემ და ბადრი ხასაიამ კიევში ოპერაციები გაიკეთეს. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. ხასაია უკვე შეუდგა სარეაბილიტაციო ვარჯიშებს, ნოზაძე კი ხუთიოდ დღეში ისევ კიევს გაემგზავრება, რადგან მკერდის მეორე მხარეც საოპერაციო აქვს.

დეკემბერში ბაკურიანს მივაშურებთ და ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გავივლით. მეტი ყურადღება საერთო-ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც ივარჯიშებენ, რადგან ივნისში ევროპის პირველობა აქვთ და ამგვარი წვრთნა გამოადგებათ. ესეც არ იყოს, ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება და ეროვნული ნაკრების ღირსეული ცვლის მომზადებაზეც უნდა ვიზრუნოთ, მით უმეტეს, რომ ამჟამად უფროსთა გუნდში ორი ადგილი ისედაც ვაკანტურია, რადგან ნოზაძე და ხასაია ევროპის ჩემპიონატამდე ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენას ვერ მოასწრებენ.

**- ნაკრებში მოსახვედრად გადამწყვეტი მნიშვნელობა რას მიენიჭება?**

- უპირველესად, ცხადია, ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც 17-18 იანვარს გაიმართება. ყველა პერსპექტიულ მოჭიდავეს ექნება ნაკრებში მოხვედრის შანსი. მოსალოდნელია, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა დავით ბედინაძემ 66 კილოში გადმოინაცვლოს, რადგან შეჯიბრებების წინ სისტემატურად უხდება წონის დაკლება. 55 და 60 კილოში ლაშა გოგიტაძე და რევაზ ლაშხი გამოირჩევიან. ლაშამ პეკინის ოლიმპიადაზე იჭიდავა, რეზომ - ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები, საერთაშორისო ტურნირებზე საპრიზო ადგილები დაიკავა, თანაც ორივენი ახალგაზრდები არიან, თუმცა ყოველივე ეს მათ ვერ დააიმედებს, რომ ნაკრებში ადგილები დაჯავშნული ექნებათ - სიძლიერე ეროვნულ ჩემპიონატზე უნდა დაამტკიცონ.

ასე რომ, დაველოდოთ იანვრის ორთაბრძოლებს. თუმცა მხოლოდ მათ შედეგებზე ვერ ვიქნებით ორიენტირებული, რადგან ზოგი ფალავანი შინ კარგად ჭიდაობს, უცხოეთში კი საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენს, ზოგიც - პირიქით. ამდენად, ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად წარვდგეთ. კონტინენტის პირველობას აპრილის დასაწყისში ვილნიუსი უმასპინძლებს.

**- იმედია, მანამდე საერთაშორისო სარბიელზე ძალების გამოცდას მოასწრებთ.**

- რა თქმა უნდა. იანვრის მიწურულს პარიზის საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ. შემდეგ კრიტეილში მასპინძლებთან და აზერბაიჯანელებთან 16-დღიან ერთობლივ წვრთნას გავივლით. 20-21 თებერვალს კი კლერმონფერანში (საფრანგეთი) მსოფლიოს გუნდური თასის გათამაშებაზე გამოვალთ. ვეცდებით, წარმატებას მივაღწიოთ.

ევროპის ჩემპიონატამდე სამ ტურნირში მონაწილეობა, ვფიქრობ, საშეჯიბრო გამოცდილების შესაძენად სრულიად საკმარისია. აპრილამდე დარჩენილ დროში შინ ვივარჯიშებთ. შესაძლოა, ორკვირიანი გასვლითი საწვრთნელი შეკრება მინსკშიც მოვაწყოთ.

**- ბატონო ბეგი, ვიცი, რომ მწვრთნელებიცა და სპორტსმენებიც ჭიდაობის დღევანდელი წესებით უკმაყოფილონი ხართ. ცვლილებები თუ იგეგმება?**

- ჯერჯერობით ფედერაციაში მსგავსი არაფერი მიგვიღია, თუმცა კულუარებში უკვე საუბრობენ ექსპერიმენტებზე. ვარაუდობენ, რომ დგომში ერთწუთიანი ჭიდაობა ორ წუთამდე გაიზრდება. მეტოქეები ქულებს თუ ვერ მოაგროვებენ, კენჭისყრით მხოლოდ ერთ-ერთს მოუწევს ჩოქბჯენში ჩადგომა. ამ შემთხვევაში ქულების დარიცხვის წესი უცვლელი დარჩება. მართალი გითხრათ, დგომში ჭიდაობას მივესალმები, მაგრამ მისჯითი ჩოქბჯენის მომხრე არ ვარ - უფრო ჯვარედინი მოვლებისკენ ვიხრები. ყოველივეს მიუხედავად, ჩოქბჯენში პაექრობას მაინც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

ლაპარაკია კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებაზე - ფალავანი რომელიმე რაუნდში 8 ქულას თუ მოაგროვებს, აშკარა უპირატესობის გამო სუფთა გამარჯვება მიენიჭება.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია 12 ნოემბრიდან გერმანიაში მწვრთნელთა სემინარებს გამართავს, სადაც, როგორც ფილას ასოცირებული მწვრთნელი, ერთ-ერთ ორგანიზატორად ვარ მიწვეული. წესებში ცვლილებებზე სწორედ იქ იქნება სჯა-ბაასი. რა გადაწყვეტილებებსაც მივიღებთ, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ გიამბობთ.

**ვაჟა დანელია**

რაგბი

შოტლანდია A-საქართველო
14 ნოემბერი

# ბორჯღალოსანთა დასახვედრად...

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 14 ნოემბერს გლაზგოში „ფერჰილზე" შოტლანდიის A ნაკრებს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნები ბრიტანეთში 10 ნოემბერს გაემგზავრებიან და ედინბურგში დაბანაკდებიან. 18 ნოემბერს კი, ამავე ქალაქის ნაკრებთანაც ითამაშებენ ამხანაგურად.

შოტლანდიის A ნაკრებს, ლეგენდარული **კლაივ ვუდვორდის** ყოფილი თანაშემწე **ენდი რობინსონი** უხელმძღვანელებს. ახლახან მას თანაშემწეებად „გლაზგო ვორიორზის" მწვრთნელი **გრეგორი თაუნსენდი** და „ედინბურგის" თავკაცი **შადე მურნო** დაუნიშნეს. თაუნსენდს რობინსონმა უკანა ხაზის განწრთნა დაავალა. მურნო კი, თავის შეგირდებთან ერთად ბორჯღალოსანთა მძლავრი შერკინებისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება.

შოტლანდიელები საქართველოს ნაკრებთან სასპარეზოდ დიდი მონდომებით ემზადებიან. მატჩზე დასასწრები ბილეთები უკვე იყიდება და მოზარდებისთვის ის 5 გირვანქა ღირს, უფროსებისთვის კი - 10.

რობინსონმა უკვე დაასახელა 23 მორაგბის ვინაობა ვინც ქართველებთან სასპარეზოდ მოემზადება.

შერკინება: **ჯონ ბარკლი (ვატსონიანი), ალასდირ დიკინსონი (შოტლანდია A), როს ფორდი (სელკირკი), სკოტ გრეი (შოტლანდია A), დაგ ჰალი (კარიე), ჯეიმს ჰამილტონი (შოტლანდია A), ნათან ჰაინე (შოტლანდია A), ალან იაკობსენი (ბორუგმური), ევან მურეი (შოტლანდია A), მეტ მუსჩინი (ჰოუვიკი), საიმონ ტეილორი (შოტლანდია A), ჯეისონ ვაიტი (შოტლანდია A).**

უკანა ხაზი: **მაიკ ბლერი (ედინბურგ აკადემიკალ), ბენ კაირნსი (შოტლანდია A), ნიკ დე ლუკა (შოტლანდია A), ტომ ევანსი (გლაზგო ჰოუკსი), ფილ გოდმანი (სელკირკი), სეან ლამონტი (შოტლანდია A), რორი ლოუსონი (შოტლანდია A), მარკ მაკმილანი (სტირლინგ ქანთრი), დენ პარკსი (ჰოუვიკი), კრის პატერსონი (ჰოუვიკი), ჰუგო საუთვილი(ედინბურგ აკადემიკალ).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# შეხვედრები ოლიმპიურ კომიტეტში





საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალარჩეული ხელმძღვანელობა გუშინ წყლის სახეობათა, მშვილდოსნობის და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციათა თავკაცებს შეხვდა.

წყლის სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** აღნიშნა, რომ ადრე სეოკ-ში ფედერაციებთან მსგავსი შეხვედრები არ იმართებოდა. მისი თქმით, 4 წლის შემდეგ ლონდონში ლიცენზიანტი აუცილებლად ეყოლებათ, მთავარია, სპორტსმენებს ტრამვიანობამ არ შეუშალოთ ხელი. იმედად, როგორც სინქრონულ, ისე ინდივიდუალურ ხტომებში **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი** მოიაზრებიან, რომლებიც მსოფლიო რეიტინგში შესაბამისად 36 და 42 პოზიციაზე არიან. ასევე აღინიშნა, რომ გაისად ტამპერეში ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე ეცდებიან კარგად იასპარეზონ და მოცურავეები კვლავ სტატისტის როლში არ იყვნენ. *"ბოლო 2 წელიწადია სპორტის დეპარტამენტი გვაფინანსებს. რაც შეეხება ცურვას აქ ძირითადი აქცენტი გიორგი მთვრალაშვილსა და ირაკლი რევიშვილზე კეთდება"*- თქვა ბართაიამ.

მშვილდოსნობაში შესაძლოა ლიცენზიების მოპოვების სისტემა გაისად კორეაში დაგეგმილ კონგრესზე შეიცვალოს. ამის შესახებ ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ ტერუნაშვილმა** ისაუბრა. თუ გადაწყვეტილება მიიღეს, მაშინ 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ 16 ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად მოხვდება ოლიმპიურ თამაშებზე. გუნდი კი 3 სპორტსმენისგან შედგება და სპორტის ამ სახეობაში ლიცენზიების მოპოვების მაქსიმალური კვოტაც ეს არის.. შეხვედრას ესწრებოდა რამდენიმე ოლიმპიადის მონაწილე მშვილდოსანი **ხათუნა ნარიმანიძე**, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ ავარია შეემთხვა და საოპერაციოა, რაზეც ფინანსური დახმარება აღუთქვა მერიის სპორტის სამსახურიდან **ზაზა დოლიძემ.** გია ნაცვლიშვილი ფედერაციის ხელმძღვანელებს სკას-ს ტერიტორიაზე მდებარე ბაზის აღდგენაში დახმარებას დაპირდა.

2012 წელს ლონდონში თანამედროვე ხუთჭიდის ოლიმპიადის პროგრამაში შესვლიდან საიუბილეო 100 წელი სრულდება და კარგი იქნებოდა, თუ ნისლიან ალბიონზე ქართველი სპორტსმენიც იასპარეზებდა. 1996 წლის ატლანტის თამაშების შემდეგ, სადაც **ვახტანგ იაგორაშვილი** გამოდიოდა საქართველოს ხუთჭიდში ოლიმპიადის მონაწილე აღარ ჰყოლია. ფედერაციის თავკაცთა თქმით, არის ერთი საგზურის მოპოვების შანსი.

შეხვედრები გრძელდება.

**კახა ბერიძე**
სეოკ-ის პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# ესპანეთში უნდა ვაჩვენო, რატომ ამირჩიეს დრაფტზე მეხუთე ნომრად




ნიკა ცქიტიშვილი

**ამ დღეებში** ქართველ ლეგიონერთაგან თითქმის ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ მაინც დაგისვამთ ერთ კითხვას – ვის ინტერვიუს წაიკითხავდით მეტი ინტერესით?

...რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ცქიტიშვილისას, რომელმაც "ბარსელონას" კალათში 7-დან 6 სამქულიანი მოათავსა და თანაგუნდელებს 21 ქულა შესძინა. მისმა "ფუენლაბრადამ" კატალონიელებთან 81:88 წააგო, მაგრამ ამ მარცხმა სკიტას ეფექტური თამაში მაინც ვერ დაჩრდილა.

დაპირებისამებრ გთავაზობთ ნიკასთან ინტერვიუს, რომელიც მან ესპანურ პრესას მისცა და რომელშიც კალათბურთელი ახალ გუნდზეც საუბრობს, "ბარსელონასთან" თამაშსაც იხსენებს და ზოგადად ქართულ კალათბურთზეც ლაპარაკობს.

**- იქნებ გაიხსენოთ შუალედი იტალიური "ტერამოდან" ესპანურ "ფუენლაბრადამდე".**

- გასულ სეზონში "ტერამოს" მაისურით საშუალოდ 10.7 ქულასა და 4.6 მოხსნას ვაგროვებდი. წესით, მეორე სეზონი უფრო კარგად უნდა ჩამეტარებინა, მაგრამ "ტერამოს" დატოვება გადავწყვიტე. ამაზე ნამდვილად არ ვღელავ, რადგან ახლა ესპანურ კლუბში ვარ და აქ ვაპირებ სტატისტიკის გაუმჯობესებას. შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის ესპანეთის პირველობა საუკეთესო ადგილია. საქართველოს ნაკრების სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ (17 სექტემბერს) თბილისში ვემზადებოდი ინდივიდუალური პროგრამით. ველოდი ესპანეთში გასამგზავრებელი საბუთების მოწესრიგებას.

**- 2002 წელს NBA-ს დრაფტზე აყვანის შემდეგ რა შეიცვალა თავად ცქიტიშვილში და რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ სეზონს?**

- ამერიკაში ისე წავედი, რომ სლოვენიურ "სლოვანსა" და იტალიურ "ბენეტონში" დიდი ხნით არ მითამაშია. მართალია, ოკეანის გაღმა საქმე ისე არ აეწყო, როგორც მსურდა, მაგრამ, ვფიქრობ, NBA-ში თამაშით ბევრი შევიძინე და თვალსაწიერი გავიფართოვე. ამერიკიდან სევილიის "კახასოლში" გადმოვედი... მაგრამ მას შემდეგ თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესე და სწორედ "ფუენლაბრადაში" გამოსვლით ვეცდები საზოგადოებას დავანახვო, რატომ ამიყვანეს 2002 წელს დრაფტზე მე-5 ნომრად.

**- ყოველწლიურად საერთაშორისო ასპარეზზე არაერთი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა გამოდის. მათ ემატებიან ნატურალიზებულები, ჯერ შემონდ უილიამსი, შემდეგ ტაირონ ელისი, მაგრამ ნაკრები მაღალ მიზნებს მაინც ვერ აღწევს. რა არის ამის მიზეზი?**

- მართლაც კარგი შემადგენლობა გვყავს. ზოგიერთ ჩვენგანს NBA-ში თამაშის გამოცდილება აქვს (ზაზა ფაჩულია), ზოგი ესპანეთის პირველობაზე ასპარეზობს - ვლადიმერ ბოისა, ტაირონ ელისი. მაღალი კლასის კალათბურთელია ვიქტორ სანიკიძე... ახალგაზრდებს შორის გიორგი შერმადინს გამოვარჩევ, რომელიც ახლახან "პანათინაიკოსში" გადავიდა. იტალიურ "მონტეპასკის" ღირსებას იცავს მეფარე ნიკა მეტრეველი, ხოლო ესპანურ კლუბებში ოთხი ნიჭიერი ქართველია – კოკა ტომარაძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, ბექა ჩიკვილაძე. ასეთი რესურსის მიუხედავად, არ ვიცით გუნდურად თამაში. ამ სექტემბერს შედარებით უკეთესად ვიასპარეზეთ, 4-დან 3 მატჩი მოვიგეთ. შვედეთთან როგორ დავმარცხდით, ახლაც ვერ ამიხსნია. არა უშავს, გაისად სიტუაციის გამოსწორების საშუალება მოგვეცემა. ამასობაში ნიჭიერი ახალგაზრდებიც გამოცდილებას მიიღებენ და დაგვეხმარებიან.

**- ესპანეთის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. "ფუენლაბრადაში" რა როლი გექნებათ?**

- ამ კითხვაზე უკეთეს პასუხს მწვრთნელი გაგცემთ. მე კი დახმარების იმედი ნამდვილად მაქვს: მოხსნებზე, შეტევაში, დაცვაში... ყოველდღიური, თავდაუზოგავი ვარჯიშით ვეცდები თამაში გავიუმჯობესო და ესპანეთის ჩემპიონატში ჩემი კვალი დავტოვო.

**- ყოფილი კლუბის, "კახასოლის" თამაშებს თუ ადევნებთ თვალს?**

- რა თქმა უნდა. ყოველკვირეულად ვეცნობი მატჩების შედეგებსა და სტატისტიკას. იქ ხომ ჩემი თანაგუნდელი (ნაკრებში) ტაირონ ელისი თამაშობს.

**- "ბარსელონასთან" ეფექტური თამაშის შემდეგ ქომაგები თქვენგან რას უნდა მოელოდნენ?**

- მეუბნებიან, კარგი დებიუტი გქონდაო. მე ამ სიტყვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეთანხმებოდი, გამარჯვება რომ დაგვრჩენოდა. დებიუტს ეფექტურს მაშინ დავარქმევდი, "ბარსელონა" რომ დაგვემარცხებინა. აქ "ფუენლაბრადას" დასახმარებლად ჩამოვედი და გაცილებით გამიხარდება გუნდის წარმატება, ვიდრე რომელიმე კალათბურთელის ინდივიდუალური გაბრწყინება.

**- თქვენი გვარი ესპანურად ძალიან რთულად წარმოითქმის. რა ვქნათ?**

- (იცინის). მე კი ნამდვილად არ მეჩვენება რთულ წარმოსათქმელად. სხვათა შორის, ამ მხრივ პრობლემებს ამერიკაშიც აწყდებოდნენ. ამიტომ იქ გვარი შეკვეცეს და სკიტს მეძახდნენ. ასეთი შემოკლება ესპანელებსაც გაუიოლებთ საქმეს...

**ვაჟა სიმონიშვილი**




# მგლებმა თავი ყულფში გაყვეს

**მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" ევროთასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საბერძნეთში "პანელინიოსთან" "ლამაზი ანგარიშით" წააგო - 69:96.

უკრაინელებს აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე კარგი შემადგენლობა ჰყავთ, მეტსახელიც შესაფერისია - "მგლები". მათგან ასეთ სუსტ თამაშს ნამდვილად არავინ მოელოდა. "კიევის" ხელმძღვანელობა ევროთასის ფინალურ ოთხეულში თამაშს გეგმავდა, მაგრამ შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ არათუ ნახევარფინალში, კიეველებმა ჯგუფურ ეტაპზეც ვერ გაალწიონ.

"კიევი"-"პანელინიოსის" განმეორებითი მატჩი 11 ნოემბერს გაიმართება. ამ შეხვედრაში მარკოიშვილის თანაგუნდელებმა მინიმუმ 28 ქულის სხვაობით უნდა მოიგონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფურ ტურნირზე მათ ნაცვლად ბერძნები ითამაშებენ. როგორც ხედავთ, ამოცანა ზერთულის კატეგორიიდანაა, მაგრამ მცირე იმედი მაინც რჩება... გავიხსენოთ თუნდაც ამავე ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე **ცინცაძე-სანიკიძის** "ტარტუ როკის" გამოსვლა. როკერებმა ავსტრიაში "სვანსთან" 25 ქულის სხვაობით წააგეს, თუმცა საშინაო შეხვედრაში პირველივე პერიოდში მოახერხეს 25 ქულის სხვაობით დაწინაურება. თუმცა ესტონელებს ბოლომდე ენერგია არ შერჩათ და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სულ ცოტა დააკლდათ.

დაველოდოთ 11 ნოემბერს და ვნახოთ, რას იზამს "კიევი".

ახლა მანუჩარ მარკოიშვილზე ვთქვათ. მან შეხვედრა კარგად დაიწყო. შეტევაშიც სიზუსტით გამოირჩეოდა და დაცვაშიც კარგად იდგა. თუმცაღა, მატჩის ბოლომდე ჩამთავრება ვერ მოახერხა – ხუთი ფოლის გამო სათადარიგოთა სკამზე სირენამდე 4 წუთით ადრე (63:90) გადაინაცვლა.

მანუჩარმა 23 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა. ზუსტად ისროდაო, ზემოთ ტყუილად არ გვითქვამს – მან 3-დან 2 სამქულიანი და ორიდან ამდენივე საჯარიმო გამოიყენა.

საფინალო ანგარიშიდანაც ჩანს, რომ კიეველებს შეტევაში არ ულხინდათ. ათქულიან ზღვარს მხოლოდ **დროზდოვი** და **რაითი** გადასცდნენ. პირველმა 12 ქულას მოუყარა თავი, მეორემ – 14-ს.

"პანელინიოსს" კი გრანდი გაუძლვა, რომელმაც აქტივში 24 ქულა ჩაიწერა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბურთით მანუჩარ მარკოიშვილი

ძრივი

# ორი მაინც წავიდა

**გუშინ** გაცნობეთ, რომ ბრიტანეთის საელჩომ ორ გამორჩეულ ქართველ მოკრივეს, **კახა ჟვანიასა** და **ლევან ღვამიჩავას** ვიზა არ მისცა. პროტესტის ნიშნად, ქართული დელეგაცია საერთოდ აღარ აპირებდა ლივერპულში გამგზავრებას, მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ ორი მოკრივე, **კობა ფხაკაძე** და **რევაზ ქარელიშვილი** ევროპის ჩემპიონატზე მაინც გამოვა. მათთან ერთად, ბრიტანეთში ნაკრების სრული დელეგაცია გაემგზავრა. ლივერპულში იქნებიან ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თენგის მესხაძე**, ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ახალკაცი** და რეფერი **ტარიელ გოგოჭური**.

ფხაკაძისა და ქარელიშვილის პირველი მეტოქეები დღეს გაირკვევიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**„ლელოს" ჟურნალისტები თანაგრძნობას ვუცხადებთ კოლეგას, გაბრიელ ბარჯაძეს**

**მამის**

**გარდაცვალების გამო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა სპორტი

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლება

## ამ დასკვნამდე მივიდნენ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის ბავშვთა სპორტის კომისიის გუშინდელ სხდომაზე




მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა საქართველოში თითქმის კანონგარეშეა გამოცხადებული. თითქმის და კანონგარეშე იმიტომ, რომ საჯარო სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში აღარ ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, მოიშალა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სისტემა, რის აუცილებლობასაც ითვალისწინებს „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“. პრობლემა ახალი არ არის, რასაც ახლა მთელი სერიოზულობით ეკიდება საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტარი **გია ასანიძე** უდგას სათავეში. კომიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, კომისიები, მათ შორის ბავშვთა სპორტის კომისია. გადაიდგა პირველი ნაბიჯები.

გუშინ ბავშვთა სპორტის კომისიის სხდომა გაიმართა მოსწავლეთა სასახლეში. სხდომაზე მოწვეული საჯარო სკოლების დირექტორებმა ვრცლად ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რასაც ისინი პრაქტიკულად აწყდებიან.

თითოეული მათგანის გამოსვლის ანალიზს არ შევუდგებით. მით უფრო, რომ ყველას სათქმელი ლოგიკურად ჩამოაყალიბა განათლების გამოცდილმა სპეციალისტმა, თბილისის 161-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **მიხეილ მინდაძემ**. აი, რა თქვა მან: *„სასკოლო ფიზიკური აღზრდა, როგორც მოსწავლეთა მასობრივი გაჯანსაღებისა და ნიჭიერთათვის დიდ სპორტში გზის გაკვლევის საშუალება, წარსულში ჩარჩა. დაინგრა ძველი სისტემა, კარგია, რომ ახლის შექმნაზე გვიან მაინც ვიწყებთ სერიოზულ ზრუნვას. შეცდომა იყო, მაგალითად, თბილისში განათლების სისტემიდან ბავშვთა სპორტსკოლების ქალაქის სპორტის სამსახურისთვის გადაცემა. ეს მოხდა სპორტული ობიექტების გასხვისების მიზნით. ასე დაინგრა სისტემა. კადრების საკითხიც მწვავედ დგას, თუმცა სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის პრობლემა წარსულშიც გადაუჭრელი იყო. იქნებ შემოვიღოთ სტუდენტთა ერთწლიანი სტაჟირება სკოლაში, თუ იგივე პრინციპით მომავალ მწვრთნელებსაც მოვუმაგრებენ ერთწლიან სტაჟირებაზე სპორტის სახეობების მიხედვით, დიდი საქმე გაკეთდება, სტაჟიორები შეიცვლებიან, სექციები კი დარჩება.“*

იყო სხვა წინადადებებიც, რასაც კომისია გააანალიზებს და დოკუმენტად წარუდგენს საპარლამენტო კომიტეტს. შეთანხმდნენ, რომ ვითარება საგანგაშოა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

სხდომის მუშაობა კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა **ვაჟა შუბლაძემ** შეაჯამა.

**თენგიზ თომაშვილი**

ხელბურთი



# ჩემპიონატი გადაიდო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას საშველი ვერა და ვერ დაადგა. თავდაპირველად, ფინანსური პრობლემების გამო, პირველობაზე თამაში ქვეყნის 18-გზის ჩემპიონმა სტუ-„შევარდენმა“ თქვა. თუმცა არც სხვებს ულხინთ.

წესით და რიგით, ჩემპიონატი ხუთი გუნდის მონაწილეობით (თბილისი, მამული, ქუთაისი, სამტრედია, რუსთავი) 3 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სამონაწილეო თანხის, 1 000 ლარის გადახდა მხოლოდ და მხოლოდ „მამულმა“ შეძლო. დანარჩენებმა ფედერაციაში ოდენ საგარანტიო წერილის მიტანა შეძლეს და ფულის გადახდის გადავადება ითხოვეს. ამგვარად კი ჩემპიონატი ვერ ჩატარდება, რადგან ფედერაციას საორგანიზაციო ხარჯებისთვის განკუთვნილი სახსრები ახლავე სჭირდება. მოკლედ, საქართველოს პირველობა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

საკითხს ნათელი შეიძლება დღეს, ხელბურთის ფედერაციაში მოეფინოს, სადაც გუნდების წარმომადგენელთა მონაწილეობით პრეზიდიუმის სხდომა გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჭაბუკები ბათუმში ითამაშებენ

10 ნოემბერს ბათუმში 1993-94 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ეტაპი დაიწყება. ქვეყნის პირველობის ეს მონაკვეთი ოთხ დღეს გასტანს. მასში მონაწილეობას რვა გუნდი მიიღებს. აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონის 8 გუნდი ერთმანეთს ჯვარედინი პრინციპით შეხვდება.

| | |
|---|---|
| **10 ნოემბერი** | |
| 11:00 | რუსთავი-ქუთაისი |
| 12:30 | ყვარელი-სამტრედია |
| 14:00 | ბათუმი-ქარიშხალა |
| 15:30 | თელავი-ფოთი |
| **11 ნოემბერი** | |
| 11:00 | სამტრედია-თელავი |
| 12:30 | რუსთავი-ბათუმი |
| 14:00 | ფოთი-ყვარელი |
| 15:30 | ქარიშხალა-ქუთაისი |
| **12 ნოემბერი** | |
| 11:00 | რუსთავი-ფოთი |
| 12:30 | სამტრედია-ქარიშხალა |
| 14:00 | ყვარელი-ბათუმი |
| 15:30 | თელავი-ქუთაისი |
| **13 ნოემბერი** | |
| 11:00 | ბათუმი-თელავი |
| 12:30 | ქუთაისი-ყვარელი |
| 14:00 | რუსთავი-სამტრედია |
| 15:30 | ქარიშხალა-ფოთი |

| | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ქარიშხალა | 4 | 0 | 0 | 8 |
| 2. სამტრედია | 4 | 0 | 0 | 8 |
| 3. ფოთი | 3 | 0 | 1 | 6 |
| 4. თელავი | 3 | 0 | 1 | 6 |
| 5. ქუთაისი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 6. ყვარელი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 7. წყალტუბო* | 1 | 0 | 3 | 2 |
| 8. რუსთავი | 1 | 0 | 3 | 2 |
| 9. ბათუმი | 0 | 0 | 4 | 0 |
| 10. 161-ე სკ.* | 0 | 0 | 4 | 0 |

*„წყალტუბო“ და 161-ე სკოლა გათამაშებას გამოეთიშნენ

**ლევან ჯანეზაშვილი**

წიგნის თარო

# მოგვითხრობს კლასიკოსთა ქურუმზე

ამას წინათ სამზეოზე გამოვიდა სპორტული ჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის **ვაჟა დანელიას** მორიგი წიგნი „ქურუმის ქურაში“, რომელიც საქართველოს და სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენოსნის, 120-ზე მეტი სპორტის ოსტატის დამფრთიანებლის **დამერლანდ (დათო) დავითაიას** ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.




ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ამაგდარი მწვრთნელის მიერ რუდუნებით გავლილ გზაზე, რომელზეც შვიდი ათეული წლით მხრებდამძიმებული „კლასიკოსთა“ ქურუმი კვლავაც ამაყად და თავანეული მიაბიჯებს ახალ-ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

დათო დავითაია წლების განმავლობაში სათავეში ედგა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. მისი გონივრული რჩევა-დარიგებები მრავალჯერ მიუღიათ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ **ვახტანგ ბლაგიძეს**, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **თეიმურაზ აფხაზავას**, მსოფლიოს ჩემპიონებს - **მიხეილ სალაძეს, თემურ ყაზარაშვილს, გურამ გედეხაურს**, ევროპისა და საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს **შოთა მორჩილაძეს**, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს - **ავთანდილ მაისურაძეს, ენდი გოგლიჩიძეს, რაიდ აბრამიშვილს, ზაურ ივანიშვილს**, ხოლო ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი **გიორგი წურწუმია**, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი **ბადრი ხასაია**, მსოფლიოს თასის მფლობელი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი **იოსებ ბერიშვილი**, ასევე, **თენგიზ თედორაძე, გიორგი მაკალათია, დავით ლატარია** სულაც მან მოამზადა საერთაშორისო სარბიელზე სასპარეზოდ.

ვულოცავთ დავით დავითაიას იუბილეს და ავტორს მეათე წიგნის გამოსვლას.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

# კარგი სტარტი გერმანულ ხალიჩაზე

გერმანულ ისმანინგში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. შეჯიბრება დახურულ კორტებზე, სპეციალურ ხალიჩაზე იმართება. ტურნირი ყოჩაღად დაიწყო 25 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (222), რომელმაც რუსი **ეკატერინა ივანოვა** (159) სამ სეტში დაამარცხა – 3:6, 6:4, 6:4. მეოთხედფინალში მაკას მეტოქე, სავარაუდოდ, ბრიტანელი **ელენა ბალტაჩა** (140) იქნება, რომელიც მე-7 ნომრად არის განთესილი. წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი და უკრაინელი **იულია ბეიგელციმერი** (293) მეორე ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ ავსტრიული დუეტი (**პატრისია მაირი** (123) და **ივონ მოისბურგერი** (100)) დაამარცხეს – 6:2, 6:3.



მაკა ჩახნაშვილი

ამერიკულ ოუბერნში (50 ათასი), სადაც **ანა ტატიშვილი** (167) მე-6 ნომრადაა განთესილი, ქართველისა და ამერიკელი **ანჯელა ჰეინესის** (151) მატჩი წუხელ, ჩვენთვის გვიან ღამით გაიმართებოდა. წყვილებში კი ანამ და ამერიკელმა **მედისონ ბრენგლმა** (224) პირველი წრე უკვე გაიარეს. მათ რუსულ-უკრაინული დუეტი (**ალინა ჟიდკოვა, ტატიანა ლუჟანსკა**) დაამარცხეს – 6:3, 6:7 (5), 10:5. მეოთხედფინალში ანას და მედისონს ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ამერიკული წყვილი (რაქელ კოპს-ჯონსი, ებიგეილ სპირსი) ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დეტროიტი ლებრონ ჯეიმსს უმიზნებს




ამერიკულ პრესაში აქტიურად განიხილება წლის ყველაზე ხმაურიანი ტრეიდი, რომელიც ორი დღის წინ განხორციელდა. როგორც იცით, "დენვერიდან" "დეტროიტში" გადავიდა NBA-ის ვარსკვლავი **ალენ აივერსონი**, მის ნაცვლად კი "ნაგეტსის" შემადგენლობა სამი კალათბურთელით (**ჩონსი ბილაპსი, ანტონიო მაკდაისი** და **ჩეიხ სემბი**) შეივსო. პორტალ Yahoo-ს მიმომხილველი **ადრიან ვოინაროვსკი** დარწმუნებულია, რომ ეს გარიგება მხოლოდ ნაწილია იმ გრანდიოზული გეგმისა, რომელიც "დეტროიტის" აღორძინებას ისახავს მიზნად. და ამ აღორძინების მთავარი წინაპირობა უნდა გახდეს ძრავების ქალაქში "კლივლენდ კავალიერზის" ვარსკვლავის, **ლებრონ ჯეიმსის** მიწვევა.

მოკლედ გავეცნოთ "დეტროიტის" ხელმძღვანელობის მიერ ჩაფიქრებულ სატრანსფერო კომბინაციას. "დენვერში" ბილაპსის გაშვებით, "პისტონზმა" სახელფასო ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გამოათავისუფლა. ამ გამთამაშებელს "დეტროიტთან" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა და ჯამში 36 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. ამას ემატება ისიც, რომ წლევანდელი სეზონის ბოლოს კლუბთან კონტრაქტები უმთავრდებათ ალენ აივერსონსა და **რაშიდ უოლასს**, რომლებსაც, სავარაუდოდ, ხელშეკრულებებს აღარ გაუგრძელებენ. ესეც დადებითად წაადგება კლუბის სახელფასო ბიუჯეტს.

"პისტონზის" პრეზიდენტის **ჯო დუმარსის** ვარაუდით, იმ დროისთვის ძირითადი გამთამაშებლის ფუნქციებს ნიჭიერი **როდნი სტაკი** შეასრულებს. ეს კალათბურთელი შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა გახდა. მოკლედ, მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში, 2010 წლის ზაფხულში, როცა ლებრონს "კლივლენდთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურება, "დეტროიტს" თავისუფლად შეეძლება NBA-ის მთავარი ვარსკვლავისთვის წლიური ხელფასის სახით 22 მილიონი დოლარის შეთავაზება.

ლებრონ ჯეიმსით, **რიჩარდ ჰემილტონით** (ამ კალათბურთელმა ორი დღის წინ სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი "დეტროიტთან"), **ტაიშონ პრინსითა** და პერსპექტიული სტაკით, "პისტონზს" ლიგის ლიდერობაზე თამამი პრეტენზიის გამოცხადება შეეძლება.

იმავე Yahoo-ს ცნობით, ჯეიმსის გადასაბირებლად არაოფიციალური მუშაობა უკვე დაწყებულია. "ოპერაციას" სათავეში დუმარსი უდგას და მას რამდენიმე აგენტი ახვევია თავს. თუმცა ამ ბრძოლაში "დეტროიტი" მარტო არ არის. ვარსკვლავურ ფორვარდზე ნადირობა "ნიუ იორკ ნიქსსაც" აქვს გამოცხადებული.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი–ფინიქსი 86:114**

27:32, 28:31, 22:29, 9:22

**ნ-ჯ:** ვ. კარტერი (19+3 ჩაჭრა), იი იანლიანი (15+8 მოხსნა), ბ. სიმონსი (11), დ. ჰარისი (11+7 პასი), რ. ანდერსონი (8+7 მოხსნა).

**ფ:** რ. ბელი (22), შ. ო'ნილი (18), ა. სტაუდმაიერი (14), ნეში (12+11 პასი), ბარბოზა (12), გ. ჰილი (11), ბარნსი (10+7 მოხსნა).

**ჰიუსტონი–ბოსტონი 99:103**

22:28, 31:30, 25:23, 21:22

**ჰ:** მაკგრეიდი (26+6 პასი+3 ჩაჭრა), სკოლა (21+9 მოხსნა), არტესტი (15+7 მოხსნა), იაო მინი (8+7 მოხსნა), ელსტონი (4+7 პასი).

**ბ:** რ. ალენი (29), პერკინსი (15+7 მოხსნა+4 დაფარება), გარნეტი (14+11 მოხსნა), პირსი (13+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), რონდო (10+7 მოხსნა+7 პასი).

**სან ანტონიო–დალასი 81:98**

16:23, 20:31, 22:22, 23:22

**ს-ა:** ტ. პარკერი (22), დანკანი (19+15 მოხსნა), რ. მეისონი (11), ჰილი (11).

**დ:** ნოვიცკი (30+7 მოხსნა), ტერი (29+6 პასი), ჰოვარდი (14+12 მოხსნა), კიდი (9+8 მოხსნა+10 პასი).

# ორი კრისის აღიარება

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო კალათბურთელები გამოავლინა. დასავლეთ კონფერენციაში ყველას აჯობა "ნიუ ორლეან ჰორნეტსის" გამთამაშებელმა **კრის პოლმა**, რომელმაც თავის გუნდს სამიდან სამ შეხვედრაში გაამარჯვებინა. პოლი საშუალოდ მატჩში 21.7 ქულას აგროვებდა და 10 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პირველი კალათბურთელია ლეგენდარული **ოსკარ რობერტსონის** შემდეგ, ვინც სეზონის საწყის სამ მატჩში ერთდროულად 20 ქულასა და 10 გადაცემას აგროვებდა.

აღმოსავლეთში საუკეთესოდ "ტორონტოს" ფორვარდი **კრის ბოში** აღიარეს. კანადურმა გუნდმაც სამი მატჩი მოიგო და ამაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ ბოშმა შეიტანა. მისმა სტატისტიკურმა მონაგარმა 26.0 ქულა, 10.0 მოხსნა და 3.7 შედეგიანი პასი შეადგინა.





ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ეშმაკები მეკარის გარეშე დარჩნენ




რთულ მდგომარეობაში ჩავარდა აღმოსავლეთი კონფერენციის ბინადარი "ნიუ ჯერსი დევილზი". ამ გუნდის ძირითადმა მეკარემ **მარტინ ბროდომ** იდაყვის ტრავმა მიიღო და დაახლოებით 3-4 თვე ვერ შეძლებს თამაშს. ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს უკვე გაუკეთეს ოპერაცია.

ასე რომ, "ნიუ ჯერსის" ხელმძღვანელობას ბროდოს შემცვლელის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. თავდაპირველად კლუბის შეფობამ ის უნდა გაარკვიოს, ბროდოს ადგილას ახალი ჰოკეისტი მიიწვიოს თუ სათადარიგო გოლკიპერებით - **კევინ უიკსითა** და **სკოტ კლემენსენით** გავიდეს ფონს.

ბოლო ინფორმაციით, ბროდოს პოტენციურ შემცვლელებად "ედმონტონის" მეკარე **დუეინ როლოსონი** ან ჩიკაგოელი **ნიკოლაი ხაბიბულინი** ითვლებიან. ორივე გოლკიპერს მომავალ ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი, მათი წლიური ხელფასი კი შესაბამისად 3 და 6.75 მილიონ დოლარს შეადგენს.

"ჩიკაგო" ამ ზაფხულში ისედაც აპირებდა ხაბიბულინის გაშვებას. იმ შემთხვევაში, თუ "ბლეკ ჰოქსი" რუსს მოიშორებს, ლეგენდარული შვედი ფორვარდის **მატს სუნდინის** მიწვევას შეძლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ "ნიუ ჯერსის" სახელფასო ბიუჯეტში მხოლოდ 500 ათასი დოლარი აქვს თავისუფალი და თუ როლოსონისა ან ხაბიბულინის მიწვევა სურს, რომელიმე ჰოკეისტის გაშვება მოუწევს.

**რეინჯერსი–აილენდერსი 1:2**

0:0, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 ნ. ტომპსონი-1 (ნილსონი-4, პოკი-2), 0:2 პარკი-2, 1:2 ნესლუნდი-5 (რედენი-3, ჟირარდი-8).

**ტორონტო–კაროლინა 4:5 (ო)**

1:4, 2:0, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ტ. რუუტუ-4 (ლაროუზი-2), 0:2 საიდენბერგი-1 (კორვო-2, რეი უიტნი-7), 0:3 ლაროუზი-4 (ბებჩუკი-1, მელიხარი-1), 1:3 ჰაგმანი-4 (კულემინი-4, გრაბოვსკი-2), 1:4 ბაიდა-3 (რეი უიტნი-8), 2:4 გრაბოვსკი-4 (ჰაგმანი-6, კულემინი-5), 3:4 ვან რინი-3 (ანტროპოვი-6, სტაიანი-5), 4:4 გრაბოვსკი-5 (ტ. კაბერლე-6, კუბინა-4), 4:5 ვალინი-1 (ტ. რუუტუ-4, სამსონოვი-2).

**ოტავა–ვაშინგტონი 2:1 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ჰიტლი-8 (ფიშერი-1, ალფრედსონი-8), 1:1 ფლიშმანი-4 (სიომინი-9, ნიულანდერი-7), 2:1 ფიშერი-1 (ალფრედსონი-9, კუბა-13).

**კალგარი–ფინიქსი 2:4**

2:2, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ლენგკოუ-3 (მოსი-3, გლენკროსი-3), 1:1 მორისი-1 (ტიხონოვი-2, ჰანჟალი-4), 1:2 დოუნი-7 (პ. მიულერი-3, ო. იოკინენი-7), 2:2 ბოიდი-3 (მოსი-4, ჯორდანო-4), 2:3 ჟოვანოვსკი-1 (დოუნი-5, პ. მიულერი-4), 2:4 რაინპრეხტი-1 (პორტერი-3, ბოდკერი-2).

**ვანკუვერი–ნეშვილი 4:0**

0:0, 1:0, 3:0

გოლები: 1:0 უელვუდი-5 (დ. სედინი-7, ჰ. სედინი-8), 2:0 რეიმონდი-5 (ბერნიე-4, ბიეკსა-6), 3:0 უელვუდი-6 (პიატი-3), 4:0 დ. სედინი-4 (ჰ. სედინი-9, უ. მიტჩელი-6).

**ლოს ანჯელესი–ანაჰაიმი 0:1 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 პრონგერი-4 (სელიანე-5, გეტცლაფი-11).

**სან ხოსე–მინესოტა 3:1**

1:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 კოლანოსი-1 (კ. იონსონი-5, პუიო-2), 1:1 გრირი-2 (ქლოუ-4, პლიჰალი-2), 2:1 მაკგინი-2 (რიონიკი-2, მარლო-7), 3:1 ქლოუ-6 (გრირი-7, ლუკოვიჩი-2).

# ვალენსიამ მწვრთნელი გაუშვა

ესპანეთის ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და უკვე პირველი სამწვრთნელო გადადგომის მოწმენი გავხდით - "ვალენსიას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს ბერძენი სპეციალისტი **ფოტის კაცირაკისი**. ვალენსიელმა კალათბურთელებმა ესპანეთის ჩემპიონატის ექვს ტურში სამი მარცხი იწვნიეს და სწორედ ეს არ აპატიეს კაცირაკისს.

*"ჩემი გუნდისგან უფრო წარმატებულ სტარტს ველოდი,* - აცხადებს "ვალენსიას" პრეზიდენტი **მანუელ ლორენტე**. - *მართალია, ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ მწვრთნელის განთავისუფლება გუნდს გამოაფხიზლებს. ბოლო დროს მართლაც ღრმა ძილში ვიყავით".*

კაცირაკისმა "ვალენსია" 2006 წლის დეკემბერში ჩაიბარა და კლუბი ორჯერ გაიყვანა ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს ბერძენი მწვრთნელის ადგილს.

ველოსპორტი

# ბეტინი სიკვდილს გადაურჩა

უილბლოდ დაასრულა თავისი ბრწყინვალე კარიერა იტალიელმა ველომრბოლმა **პაოლო ბეტინიმ**. ცნობილმა სპორტსმენმა დარბაზში მიმდინარე რბოლის ("ექვსი დღე მილანში") დროს თავის მძიმე ტრავმა მიიღო. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა უკრაინელი **იაროსლავ პოპოვიჩი** იტალიელი ველომრბოლის წინ დაეცა, რის შემდეგაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავი ვერ შეიკავა და წაქცევისას დამცავ ბარიერს ჩამოარტყა თავი. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბეტინის ჩაფხუტი ნამსხვრევებად იქცა.

ბეტინის კისრის დამცავი სპეციალური საყელო გაუკეთეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იტალიელს გონება არ დაუკარგავს და ლაპარაკიც შეუძლია, მაგრამ ექიმები მისი ტრავმის ხარისხს საიდუმლოდ ინახავენ - წერს "გაძეტა დელო სპორტი".

შეგახსენებთ, რომ 34 წლის პაოლო ბეტინიმ ამა წლის სექტემბერში კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რადგან მისმა გუნდმა - "ქუიქ სტეპმა" ველომრბოლთან კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა. მილანში რბოლა ბოლო უნდა ყოფილიყო ბეტინის კარიერაში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### E ჯგუფი

**სელტიკი-მანჩესტერი 1:1**

**სელტიკი:** ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, უილსონი, ჰარტლი, ს. ბრაუნი, რობსონი, მელონი (78. ო'დი), მაკდონალდი (82. ჰათჩინსონი), შერიდანი (64. დონატი).

**მანჩესტერი:** ფოსტერი, რაფაელ და სილვა (66. ევრა), ფერდინანდი, ვიდიჩი, ო'ში, კრისტიანო რონალდო, ფლეტჩერი, ქერიქი, ნანი (46. ბერბატოვი), ტევესი (71. რუნი), გიგზი.

**გოლები:** 1:0 მაკდონალდი (53), 1:1 გიგზი (84)

**მსაჯი:** ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**მაყურებელი:** 58 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** სელტიკი

**პირველი ჯარიმა:** მანჩესტერ იუნ

**პირველი კუთხური:** მანჩესტერ იუნ

**პირველი გაფრთხილება:** მანჩესტერ იუნ

| | | |
|---|---|---|
| 6(3) | დარტყმა | 26(8) |
| 14 | ჯარიმა | 6 |
| 4 | კუთხური | 12 |
| 1 | თამაშგარე | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

**ოლბორგი-ვილიარეალი 2:2**

**ოლბორგი:** ზაზა, ბოგელუნდი (75. ნილსენი), ოლფერსი, მ. იაკობსენი, პედერსენი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი, დუე, იოჰანსონი, კაკა (79. რისგარდი), კურტი (72. საგანოვსკი).

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, კაპდევილია, გოდინი, გონსალო როდრიგესი, ხავი ვენტა, სანტი კასორლა, ედმილსონი (82. მატი ფერნანდესი), მარკოს სენა, პირესი (62. კანი), როსი (64. ფრანკო), ლორენტე.

**გოლები:** 0:1 როსი (41), 1:1 კურტი (54), 1:2 ფრანკო (75), 2:2 დუე (81)

**მსაჯი:** ბერტრან ლეიეკი (საფრანგეთი)

**მაყურებელი:** 10 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ოლბორგი

**პირველი ჯარიმა:** ოლბორგი

**პირველი კუთხური:** ვილიარეალი

**პირველი გაფრთხილება:** ვილიარეალი

| | | |
|---|---|---|
| 12(7) | დარტყმა | 16(8) |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 0 | თამაშგარე | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 48% | ბურთის ფლობა | 53% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-1 | 8 |
| 2. ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-5 | 8 |
| 3. სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| 4. ოლბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-11 | 2 |

### F ჯგუფი

**ფიორენტინა-ბაიერნი 1:1**

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური, გამბერინი, დაინელი, გობი, კუჟმანოვიჩი (79. ოსვალდო), ფელიპე მელო, მონტოლივო, სანტანა (62. ალმირონი), ჯილარდინო, მუტუ.

**ბაიერნი:** რენსინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ზე რობერტო, ბოროვსკი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (79. კროოსი), რიბერი, პოდოლსკი (89. ოტლი), კლოზე.

**გოლები:** 1:0 მუტუ (11), 1:1 ბოროვსკი (78)

**მსაჯი:** უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 40 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბაიერნი

**პირველი ჯარიმა:** ფიორენტინა

**პირველი კუთხური:** ბაიერნი

**პირველი გაფრთხილება:** ბაიერნი

| | | |
|---|---|---|
| 12(6) | დარტყმა | 17(4) |
| 23 | ჯარიმა | 14 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 1 | თამაშგარე | 1 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

**ლიონი-სტიაუა 2:0**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, ბუმსონგი, კრისი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, ჟუნინიო, კეიტა (70. დელგადო), ედერსონი (70. კალსტრიომი), ბენზემა (82. პიკიონი).

**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გიონეა, გოიანი, მარინი, რადოი, ტიაგო გომეში, ნიკოლიტა, სტანჩუ (60. მორენო), ჟეკელი (46. სემედო/81. არტურო), კაპეტანოსი.

**გოლები:** 1:0 ჟუნინიო (44), 2:0 რევეიერი (89)

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 38 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** სტიაუა

**პირველი ჯარიმა:** ლიონი

**პირველი კუთხური:** ლიონი

**პირველი გაფრთხილება:** ლიონი

| | | |
|---|---|---|
| 12(4) | დარტყმა | 7(3) |
| 24 | ჯარიმა | 17 |
| 5 | კუთხური | 0 |
| 2 | თამაშგარე | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-6 | 8 |
| 2. ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| 3. ფიორენტინა | 4 | 0 | 3 | 1 | 3-6 | 3 |
| 4. სტიაუა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |

### G ჯგუფი

**არსენალი-ფენერბაჰჩე 0:0**

**არსენალი:** ფაბიანსკი, ტურე, ჯურუ, სილვესტრი (83. სონგი), კლიში, რამსეი (59. დიაბი), ფაბრეგასი, დენილსონი, ნასრი, ბენდტნერი (60.ველა), ვან პერსი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გიონული, ლუგანო, ედუ დრასენა, რობერტო კარლოსი (69. ვედერსონი), მალდონადო (68. ხოსიკო), სელჩუქ საჰინი, ქაზიმ ქაზიმი (59. ბილგინი), უგურ ბორალი, სემიჰ შენთურქი, გუისა.

**მსაჯი:** რობერტო როსეტი (იტალია)

**მაყურებელი:** 55 000



სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** არსენალი

**პირველი ჯარიმა:** ფენერბაჰჩე

**პირველი კუთხური:** არსენალი

**პირველი გაფრთხილება:** ფენერბაჰჩე

| | | |
|---|---|---|
| 17(6) | დარტყმა | 6(3) |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 0 | თამაშგარე | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

**დინამო-პორტუ 1:2**

**დინამო:** ბოგუში, ბეტაო, დიახატე, მიხალიკი, ნესმაჩნი, გიოანე (60. ბანგურა), ერიომენკო, ელ-ქადური, ვუკოევიჩი, ალიევი, მილევსკი.

**პორტუ:** ჰელტონი, საპუნარუ (68. პელე), ბრუნო ალვეში, როლანდო, პედრო ემანუელი (77. ლინო), ლუჩო გონსალესი, სექტიუი (46. ჰულკი), ფერნანდო, რაულ მეირელესი, კრისტიან როდრიგესი, ლისანდრო ლოპესი.

**გოლები:** 1:0 მილევსკი (21), 1:1 როლანდო (69), 1:2 ლუჩო გონსალესი (90)

**გაძევება:** ლუჩო გონსალესი (90. პორტუ)

**მსაჯი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

**მაყურებელი:** 15 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა:** პორტუ

**პირველი კუთხური:** პორტუ

**პირველი გაფრთხილება:** დინამო

| | | |
|---|---|---|
| 14(4) | დარტყმა | 14(9) |
| 17 | ჯარიმა | 21 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 0 | თამაშგარე | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 5 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-3 | 8 |
| 2. პორტუ | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 3. დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 4. ფენერბაჰჩე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |

### H ჯგუფი

**ბატე-ზენიტი 0:2**

**ბატე:** ვერემკო, ხაგუში (79. სივაკოვი), რჟევსკი (58. კაზანცევი), სოსნოვსკი, იურევიჩი, კრივეცი, ლიხტაროვიჩი, ნეხაიჩიკი (76. მირჩევი), ბლიზნიუკი, სტასევიჩი, როდიონოვი.

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, პუიგრენიე, კრიჟანაცი, შირლი, ტიმოშჩუკი, დენისოვი, ზირიანოვი, პოგრებნიაკი (90. შიროკოვი), დანი, არშავინი (78. ჰუბოკანი).

**გოლები:** 0:1 პოგრებნიაკი (34), 0:2 დანი (90+4)

**გაძევება:** პუიგრენიე (73. ზენიტი)

**მსაჯი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**მაყურებელი:** 30 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ზენიტი

**პირველი ჯარიმა:** ზენიტი

**პირველი კუთხური:** ბატე

**პირველი გაფრთხილება:** ზენიტი

| | | |
|---|---|---|
| 11(2) | დარტყმა | 11(4) |
| 9 | ჯარიმა | 27 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 0 | თამაშგარე | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

**რეალი-იუვენტუსი 0:2**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე (82. სავიოლა), მასრელო, დიარა, სნეიდერი (65. იგუაინი), გუტი, რაული, ვან ნისტელროოი (84. ვან დერ ვაარტი), დრენტე.

**იუვენტუსი:** მანინგერი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მარკიონი, სისოკო, ტიაგო, ნედვედი, დელ პიერო (90+3. დე ჩელიე), ამაური (84. იაკინტა).

**გოლები:** 0:1 დელ პიერო (17), 0:2 დელ პიერო (67)

**მსაჯი:** პიტერ ფინკი (ჰოლანდია)

**მაყურებელი:** 55 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** იუვენტუსი

**პირველი ჯარიმა:** რეალი

**პირველი კუთხური:** რეალი

**პირველი გაფრთხილება:** იუვენტუსი

| | | |
|---|---|---|
| 17(3) | დარტყმა | 6(3) |
| 12 | ჯარიმა | 24 |
| 13 | კუთხური | 1 |
| 4 | თამაშგარე | 1 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 60% | ბურთის ფლობა | 30% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. რეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 3. ზენიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 3 |
| 4. ბატე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ფიურტი A-ვეენი A | 0:2 |

**პორტუგალია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოლანენსე-ნავალი | 2:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ლევსკი | 2:2 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბაკტალორატაზა-რეაკ | 0:2 |
| დებრეცენი-ვაც | 4:0 |
| დუნაუივაროში-უიპეშტი | 1:3 |
| მტკ-ბუდაორსი | 1:2 |
| ნირედიაზა-გოკსი | 2:0 |
| კაპოშვარი-პეჩი | 1:4 |
| ზალაეგერშეგი-პაკსი | 3:1 |
| დიოშდიორი-ვაშაში | 2:2 |
| ვიდეოტონი-ჰონვედი | 2:2 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| ალ. ატლეტიკო-სპორტი | 4:0 |
| ატ. მინერო-ხოსე გალვესი | 2:1 |
| სენსიანო-სან მარტინი | 2:1 |
| სპორტ ანკაში-ხუან აურიჩი | 2:0 |
| კორონელი-მელგარი | გადაიდო |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ეფესი-პანიონიოსი | 69:78 |
| პროკომი-ჟალგირისი | 65:60 |
| ნანსი-პანათინაიკოსი | 70:80 |
| ტაუგრესი-ალბა | 106:65 |
| პარტიზანი-მილანი | 81:76 |
| აველინო-უნიკახა | 72:70 |

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ასკ რიგა-კახასოლი | 83:69 |

### ჰოკეი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| გერმანია-კანადა | 3:0 |

### ხელბურთი

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-კოპენჰაგენი | 29:17 |
| კილი-დრამენი | 40:28 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ალინგსასი-ჰამარბიუ | 34:30 |
| გუიფი-ჰ43 | 28:27 |
| ლინდესბერგი-ტუმბა | 36:20 |
| სავეჰოფი-ისტადსი | 32:21 |
| ისტადი-ტრელებორგი | 26:30 |

### ჩოგბურთი

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ივანოვიჩი-ზვონარევა | 3:6, 7:6, 4:6 |
| ვ. უილიამსი-დემენტიევა | 6:4, 4:6, 6:3 |
| ს. უილიამსი-საფინა | 6:4, 6:1 |

## TV სპორტი

### 6 ნოემბერი. ხუთშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფიორენტინა-ბაიერნი.
09:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბატე-ზენიტი.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. არსენალი-ფენერბაჰჩე.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სელტიკი-მანჩესტერ იუნ.
15:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რეალი-იუვენტუსი.
17:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბატე-ზენიტი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
23:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო-პორტუ.
01:20 საფეხბურთო კლუბი.
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:05 სასტვენი.
02:35 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
04:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
06:40 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:05 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
09:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
09:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
11:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
11:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო-პორტუ.
13:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლბორგი-ვილიარეალი.
15:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბატე-ზენიტი.
17:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:05 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. არგ. ხუნიორსი-პალმეირასი.
20:00 ნიჩბოსნობა.
20:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტაკი-უდინეზე (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. III ტური. რეალი-ცსკა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
01:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
03:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი-ინტერნასიონალი.
05:00 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
05:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩივასი-ინტერნასიონალი.
07:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-სტ. ლუისი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
13:00 ფიგურული სრიალი. ჩინეთის გრან-პრი. აუცილებელი ცეკვა (LIVE).
14:00 ფიგურული სრიალი. ჩინეთის გრან-პრი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა (LIVE).
15:30 ფიგურული სრიალი. ჩინეთის გრან-პრი. ქალები. მოკლე პროგრამა (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი (LIVE).
23:15 პროფესიული კრივი. IBF/IBO-ის ვერსია. აშშ.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბრაზილია. ახალი ზელანდია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
15:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. საკვალიფიკაციო რაუნდი. რიგა (ლატვია)-კახასოლი (ესპანეთი).
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-საფრანგეთი. ახალი ზელანდია.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბრაზილია. ახალი ზელანდია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჰამბურგი (გერმანია)-კოპენჰაგენი (დანია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ველოსპორტი. BMX. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
22:00 თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 არმრესტლინგი.
00:00 სუპერკროსი. ბრიტანეთის ჩემპიონატი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. კილი (გერმანია)-დრამენი (ნორვეგია).
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

დევისის თასი

# არგენტინამ შემადგენლობა დაასახელა

## რაფაელ ნადალმა შეიძლება დევისის თასის ფინალშიც ვერ ითამაშოს



**დევისის** თასზე არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ალბერტო მანჩინიმ** ესპანეთთან ფინალური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა.

ნახევარფინალურ შეხვედრასთან შედარებით, სამხრეთამერიკელთა რიგებში ერთი ცვლილება მოხდა. **გილერმო კანიასის** ნაცვლად ნაკრებში **ხოსე აკასუსო** მიიწვიეს, თუმცა მანჩინის ამ ცვლილებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. სხვა მხრივ, არგენტინელთა რიგებში ნაცნობ სახეებს ვხედავთ. აქ არიან **ხუან მარტინ დელ პოტრო, დავიდ ნალბანდიანი** და **აგუსტინ კალერი.**

როგორც ვარაუდობენ, ერთეულთა მატჩებს დელ პოტრო და ნალბანდიანი ითამაშებენ, ხოლო წყვილებში კალერისა და აკასუსოს დუეტი ცდის ძალებს.

ჯერჯერობით უცნობია ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა: ამ გუნდის კაპიტანი **ემილიო სანჩესი** ექიმების დასკვნას ელოდება. უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს, შეძლებს თუ არა ფინალში თამაშს მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი,** რომელსაც ბოლო პერიოდში მუხლის ტრავმა აწუხებს. სანჩესი მხოლოდ ამის შემდეგ დაასახელებს თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობას.

ნადალმა პირველი სამედიცინო შემოწმება სამშაბათს გაიარა. გამოკვლევამ დაადასტურა დაზიანება მარჯვენა მუხლში, რამაც ნადალს, შესაძლოა, არგენტინაში თამაშის საშუალება არ მისცეს.

ესპანეთის ნაკრების ექიმი **ანხელ რუის კოტორო** აცხადებს, რომ რაფა ამ კვირის ბოლომდე სამედიცინო პროცედურებს ჩაიტარებს, ორშაბათს კი მორიგი გამოკვლევა ჩატარდება. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, მოხვდება თუ არა გუნდში მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ემილიო სანჩესი აცხადებს, რომ თუ რაფაელი ბოლომდე ჯანმრთელი არ იქნება, მას გუნდში არ მიიწვევს.

შეგახსენებთ, რომ დევისის თასის ფინალი 21-23 ნოემბერს არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში ჩატარდება.

2008 წელს რაფაელ ნადალს ძალიან გადატვირთული სეზონი ჰქონდა - მან ჯამში 111 მატჩი ჩაატარა, ზედიზედ მეოთხედ მოიგო როლან გაროსი, პირველად კარიერაში მოიპოვა უიმბლდონის ტიტული და ოლიმპიადის ოქროს მედალი. რაც მთავარია, ესპანელმა აგვისტოში ბოლო მოუღო ATP-ის რეიტინგში **როჯერ ფედერერის** ბატონობას და კლასიფიკაციაში პირველი ნომერი გახდა.

როგორც იცით, მუხლის ტრავმამ ესპანელს გასულ კვირას პარიზის მასტერსზე თამაშის საშუალება არ მისცა. მეოთხედფინალში რაფამ **ნიკოლაი დავიდენკოსთან** შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო. ნადალმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს წლის შემაჯამებელ ტურნირში, რომელიც 9 ნოემბერს შანხაიში დაიწყება.

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი

# ბლედისლოუს თასს ცალკე გაითამაშებენ



ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ ბლედისლოუს თასის მატჩების ცალკე ჩატარების სურვილი გამოთქვეს. ადრე ამ პრიზისთვის შეხვედრები სამი ერის თასის გათამაშების რანგში იმართებოდა. გუნდის ხელმძღვანელთა სურვილი იმით არის განპირობებული, რომ შაბათს ჰონკონგში გამართულმა შეხვედრამ არნახული ფინანსური მოგება (18 მილიონი დოლარი) მოიტანა. ბლედისლოუს თასი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის საუკეთესო გუნდის გამოვლენას ისახავს მიზნად. გამარჯვებული სამი ერის თასის სამი მატჩისა და ჰონკონგის შეხვედრის შედეგების მიხედვით ირკვევა.

*"ბლედისლოუს თასი ცალკე უნდა გათამაშდეს. ჩვენ არ გვსურს სამი ერის თამაშების სხვა ქვეყანაში გამართვა, რადგან ვშიშობთ, რომ ამ შემთხვევაში საკუთარი გულშემატკივრები ზურგს შეგვაქცევენ. მაგრამ მეორე მხრივ, იმ ფინანსურ მოგებაზე უარის თქმაც არ გვინდა, რასაც ნეიტრალურ ტერიტორიაზე მატჩების გამართვა იძლევა",* - აცხადებს ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **სტივ ტიუ**.

*"მსგავს სიტუაციაში ბალანსი უნდა შევინარჩუნოთ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე თამაში ზიანს არ უნდა აყენებდეს ჩვენს ბაზარს. სამი ერის მატჩების სხვა ქვეყანაში გამართვას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, თუმცა ბლედისლოუს თასთან მიმართებაში მსგავსი გადაწყვეტილება მართებულად მიმაჩნია",* - ტიუს მისი ავსტრალიელი კოლეგა **ჯონ ო'ნილი** ეთანხმება.

წელს ბლედისლოუს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები გახდა, რომელმაც ოთხიდან სამი მატჩი მოუგო ავსტრალიას.

**გია თვალაბეიშვილი**

რაგბი ლიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ირლანდია და ფიჯი ნახევარფინალისთვის იბრძოლებენ

ავსტრალიაში მიმდინარე რაგბი ლიგის მსოფლიოს ჩემპიონატზე B და C ჯგუფებში ბოლო შეხვედრები გაიმართა. ყველაზე საინტერესო C ჯგუფელების - ირლანდიისა და სამოას დაპირისპირება გამოდგა. ირლანდიელ „ნაგაზებს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ექვსი და მეტი ქულით გამარჯვება სჭირდებოდათ. დავალებას მათ წარმატებით გაართვეს თავი და კუნძულელები 18 ქულის სხვაობით - 34:16 დაამარცხეს.

ტონგასთან განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ „ნაგაზებმა" ძალების სრული მობილიზება მოახერხეს და თითქმის შეუძლებელი შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ სამოელები იშტაზე იყვნენ და თავდასხმაში უკეთესად ირჯებოდნენ, ვიდრე დაცვაში, ირლანდიის ნაკრებმა მათ გამარჯვების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა.

შეხვედრის გმირი „ვიაგანის" ფულ ბეკი **პატ რიჩარდსი** შეიქნა, რომელმაც მეტოქეს სამი ლელო და ხუთი გარდასახვა გაუტანა. ჯამში 22 ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად განაპირობა „ნაგაზების" წარმატება.

შედეგად ირლანდიის ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ახლა ნახევარფინალში გამსვლელ მატჩში B ჯგუფის გამარჯვებულ ფიჯის ნაკრებს დაუპირისპირდება. მათ შორის გამარჯვებული კი ნახევარფინალში A ჯგუფის ფავორიტს, ავსტრალიის ნაკრებს შეხვდება.

ფიჯიმ, თავის მხრივ, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა შოტლანდიის ნაკრებთან დათმო ორი ქულის სხვაობით - 16:18. თუმცა ამას ადგილების განაწილებაზე გავლენა არ მოუხდენია.

**ირლანდია-სამოა 34:16**

**ირლანდია:** 6ლ - რიჩარდსი (3), ფინიგანი, გლესონი, ფინი. 5გ - რიჩარდსი.

**სამოა:** ვაგანა, ტალაუპაპა, სოლომონა. 2გ: რობერტსი.

**შოტლანდია-ფიჯი 18:16**

**შოტლანდია:** 3ლ - სტილი, რობერტსონი, ვილკესი. 3გ: ბრუგი.

**ფიჯი:** 3ლ - ტადულალა (2), ბუკუა. 2გ - ნაიგამა.

**სატურნირო მდგომარეობა**

**A ჯგუფი**

ავსტრალია - 4 ქულა, ზელანდია - 2, ინგლისი - 2, პაპუასეთი -0

**B ჯგუფი**

ფიჯი - 2 ქულა, შოტლანდია - 2, საფრანგეთი - 2.

**C ჯგუფი**

ირლანდია - 2 ქულა, ტონგა - 2, სამოა - 2.

**8 ნოემბერი**

შოტლანდია - ტონგა
ინგლისი - ზელანდია

**9 ნოემბერი**

საფრანგეთი - სამოა
პაპუასეთი - ავსტრალია

**10 ნოემბერი**

ფიჯი - ირლანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

კრივი

# კალზაგე, ჯონსი, ჰატონი... ნოემბერში დიდი ბრძოლებია

**გთავაზობთ პროფესიულ კრივში ნოემბერში გასამართი ყველაზე საინტერესო ბრძოლების ანონსს. უახლოესი კვირების განმავლობაში კრივის მოყვარულებს მოსაწყენად არ ეცლებათ.**



### აბრაჰამი vs მარკესი
### *8 ნოემბერი. ბამბერგი, გერმანია*

ეს ბრძოლა, რომელშიც გერმანელ **არტურ აბრაჰამს** საშუალო წონაში IBF-ის ვერსიით საჩემპიონო ქამარი უნდა დაეცვა, ჯერ კიდევ 4 ოქტომბერს იყო დანიშნული, მაგრამ აბრაჰამმა იავადმყოფა და ბრძოლაც ერთი თვით გადაიდო.

სომხური წარმოშობის გერმანელისთვის ეს იქნება ტიტულის რიგით მერვე დაცვა. აბრაჰამი 2005 წლის დეკემბერში გახდა IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი.

ვეტერანმა ამერიკელმა **რაულ მარკესმა** აბრაჰამთან ჩხუბის უფლება დომინიკელი **ჯოვანი ლორენცოს** დამარცხების შემდეგ მიიღო. რაული ჯერ კიდევ 90-იან წლებში იყო ჩემპიონი, შემდეგ კრივიდან წავიდა და კომენტატორად მუშაობდა. ახლა კი, რინგზე დაბრუნების შემდეგ, მარკესისთვის ეს ბრძოლა "გედის სიმღერად" უნდა იქცეს. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ გერმანელის გამარჯვებაში.

### კალზაგე vs ჯონსი
### *8 ნოემბერი. ნიუ იორკი, აშშ*

ეს გახლავთ ბრძოლა ნახევრადმძიმე წონით კატეგორიაში, რომელშიც არანაირი ტიტული არ თამაშდება და ამის მიუხედავად, თვის დაპირისპირებად არის მიჩნეული. უელსელი **ჯო კალზაგე** კვლავაც დაუმარცხებლად გამოდის პროფესიულ რინგზე. მან სუპერსაშუალო წონაში ყველა ტიტული დათმო იმის გამო, რომ კრივის ლეგენდასთან, რამდენიმე წონით კატეგორიაში (მათ შორის სუპერმძიმე წონაში) მსოფლიოს ექსჩემპიონ, **როი ჯონსთან** ჩხუბისთვის მიეღწია.

ამ ბრძოლის შემდეგ კალზაგე სამუდამოდ აპირებს ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდებას. ბუკმეკერები ფავორიტად უელსელ მოკრივეს მიიჩნევენ - ჯოს კოეფიციენტი 3-დან 3.5-მდე მერყეობს.

### ტეილორი vs ლეისი
### *15 ნოემბერი. ნეშვილი, აშშ*

ორი ცნობილი ამერიკელი მოკრივე WBC-ის ვერსიით სუპერსაშუალო წონაში ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსისთვის იჩხუბებს.

ლეისიც და ტეილორიც ყოფილი ჩემპიონები არიან, უფრო მეტიც, ჯერმეინი აბსოლუტური ჩემპიონიც კი იყო. მაგრამ შემდეგ მათ წინ გაცილებით მაღალი დონის მოკრივეები გადაელობნენ და სასტიკადაც გაუსწორდნენ ჩვენს გმირებს. ლეისი 2006 წელს ჯო კალზაგემ გაანადგურა, ტეილორისთვის კი საბედისწერო აღმოჩნდა **კელი პავლიკთან** ორი დაპირისპირება. ახლა ორივენი ისევ აპირებენ პროფესიული კრივის მწვერვალზე ასვლას.

ბუკმეიკერები ფავორიტად ტეილორს ასახელებენ. ამ ბრძოლაში გამარჯვებული ბრიტანელ **კარლ ფროჩსა** და კანადელ **ჟან პასკალს** შორის საუკეთესოს შეხვდება. სწორედ ფროჩისა და პასკალის დუელში მოგებული მოიპოვებს ჯო კალზაგეს მიერ ივნისში ნებაყოფლობით ჩაბარებულ WBC-ის ტიტულს.

### ჰეი vs ბარეტი
### *15 ნოემბერი. ლონდონი, ინგლისი*

ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** პირველ მძიმე წონაში ყველა ტიტული დათმო და სუპერმძიმე წონაში გადავიდა. ჰეისთვის ეს დებიუტი იქნება ახალ კატეგორიაში. სანამ სუპერმძიმეწონოსანთა ელიტარულ წარმომადგენლებს შეხვდება, ჰეი საკუთარ შესაძლებლობებს საშუალო დონის **მონტი ბარეტთან** ბრძოლაში მოსინჯავს. ამერიკელმა თავის ბოლო სამ ბრძოლაში ნაკლებად ცნობილ მეტოქეებთან ვადაზე ადრე გამარჯვებები მოიპოვა.

### ჰატონი vs მალინიაგი
### *22 ნოემბერი. ლას ვეგასი, აშშ*

ლეგენდარული ბრიტანელი **რიკი ჰატონი** ნახევრადსაშუალო წონაში ნაკლებად ცნობილი ვერსიით (IBO) ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოლებს.

ჰატონი გასული წლის დეკემბერში, **ფლოიდ მეივეზერისგან** განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ შელახული რეპუტაციის აღდგენას ცდილობს. ბრიტანელმა მაისში IBO-ს ვერსიით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და IBF-ის ჩემპიონთან, ამერიკელ **პოლ მალინიაგისთან** ჩხუბი გადაწყვიტა. მაგრამ IBF-მა ამ ბრძოლაზე სანქციის გაცემა არ ისურვა. მალინიაგიმ კი ტიტულზე უარი განაცხადა, რადგან ჰატონთან ჩხუბი მას სოლიდურ ჰონორარებს მოუტანს.

ბრძოლაში ფავორიტად ჰატონი მიიჩნევა, რომლის კოეფიციენტიც 2.5-ს უტოლდება.

### არეოლა vs უოკერი
### *29 ნოემბერი. ონტარიო, აშშ*

ორი ამერიკელი სუპერმძიმეწონოსანი IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ, **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შეხვედრის უფლებისთვის იბრძოლებს.

მართალია, უკრაინელმა 13 დეკემბერს თავისი ტიტულების დასაცავად ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანთან** უნდა იჩხუბოს, მაგრამ IBF მას კიდევ ერთ ახალ მეტოქეს უმზადებს.

**გია თვალაბეიშვილი**